ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს და პარასკევს | №23 (1653) | 3-6 აპრილი, 1998 წ. ● ფასი 50 თეთრი

## „.... არ გამომიტოვებია არც ერთი მთავრობა, არც ერთი თანამდებობა, არც ერთი წოდება...“



მეორე გვერდი

## რატომ მოკლეს გოჩა ესებუა?!.



მეორე გვერდი



## „ხელისუფლებას მარცხენა ხელში შერიგების სიგელი უჭირავს, მარჯვენათი კი მშვიდობიან მოსახლეობას არბევს!“

მეორე გვერდი



## ვარდიკო არაფერს აჭარბებდა, მაგრამ ჟურნალისტები მაინც იცინოდნენ...

მესამე გვერდი

## „ვის უშლის ხელს შევარდნაძე?“

მერვე გვერდი



## მეფე ერეკლეს ტრაგედია და დღევანდელობა ანუ საქართველოს დღესაც ისევე უკიდია ცეცხლი, როგორც აღამაჰმადხანობის დროს



მეექვსე გვერდი

## პარასკევის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

მეოთხე გვერდი

## სპორტის სამყარო




გაიმართა საქართველოს თასის ნახევარფინალების კენჭისყრა. გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**დინამო ბთ. — თსუ**

**დინამო თბ. — დილა**

მეათე გვერდი

# რომან გვენცაძე:

## „... არ გამომიტოვებია არც ერთი მთავრობა, არც ერთი თანამდებობა, არც ერთი წოდება"...

რომან გვენცაძის სახელს საზოგადოებისთვის შეხსენება არ სჭირდება. იგი ჩვენი უახლესი ისტორიულ-პოლიტიკური ქარიშხლების უშუალო მონაწილეა — ბევრი შეურაცხყოფა, უსამართლობა და თვით ძმათამკვლელი ომის ამგორებელი, უმისამართოდ გასროლილი პირველი ტყვიაც მას აქვს მოხვედრილი. შეხსენება. სჭირდება მხოლოდ იმას, რომ ყველაფრის მიუხედავად, ყველასგან განსხვავებით, იგი არც ერთ ხელისუფლებაზე, არც ერთ პოლიტიკურ ლიდერსა თუ თანამდებობის პირზე განაწყენებული არ არის.

ბ-ნი რომანი, ყოველგვარი თანამდებობიდან განთავისუფლებული, დღედაღამ თავისსავე უშუალო მონაწილეობით აღდგენილი წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ეზოშია, თვალყურს ადევნებს ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს და ზუსტად იგივე პოზიციაზეა, როგორზედაც ყოველთვის იდგა: „ისტორიულად უთანხმოება ყოველთვის იყო საქართველოში. ბუნებაში ქართველ კაცს ჰქონდა ჩხუბისკენ მიდრეკილება, მაგრამ მთავარია, მიმართულება იყოს ერთი, ქვეყნის ერთიანობისათვის პირადული გვერდით უნდა გადავდოთ, მისი ტერიტორიების აღდგენისათვის, აყვავებისათვის, ყველა უნდა წავიდეს დათმობაზე!"



დამერბიოს ან რალაც არაკაცური გამეკეთებინოს. დღესაც ასე მწამს, რა ხელისუფლებაც არ უნდა მოვიდეს, პოლიციას ერთი სამსახური აქვს — წესრიგის დამყარება და დაცვა...

1978 წლის 14 აპრილს მე ურსთაველზე ვიდექი და მახსოვს, რომ შევარდნაძე მაშინ ფეხით ჩავიდა სანაპიროზე და იმ ხალხის გვერდით დადგა, ვინც სიმართლეს და მშობლიურ ენას იცავდა...

... ედუარდ შევარდნაძესთან სახელმწიფო საბჭოსა და პარლამენტში ერთი წელი ვიმუშავე. იმდენ შეურაცხყოფას იტანდა თვითონ, მათქვა და დაიწერა. ხალხმა მაშინ დააფასა ქართული მილიცია...

... მახსოვს, ერთი ჯარისკაცი ჩაიგდო ხალხმა ხელში და ჩაქოლვა უნდოდათ, რუსლან მიქაბერიძე აღშფოთებული ყვიროდა, არ მოკლათ, თორემ დავიღუპებითო. ერთი ჯარიკაციც რომ მოეკლათ, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა. ირაკლი წერეთელი წაიქცა და გადათელეს, რუსმა ჯარისკაცმა ააყენა იგი. მსხვერპლი ნამდვილად არავის არ უნდოდა. როდესაც მიტინგის დაშლის ღონისძიებას მსხვერპლი მოჰყვა, გუშინდელი დღესავით მახსოვს, საკავშირო სამინისტროს შინაგანი ჯარების უფროსი გენერალი ეთიმოვი (იგი მომიტინგეთა დაშლის ოპერაციას ხელმძღვანელობდა) შოთა გორგოძის კაბინეტში რა დღეში ჩააგდო მაშინდელმა საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველმა მოადგილემ, ტუშინმა.

ალმოჩნდა, რომ გენერალს არანაირი პრაქტიკული გამოცდილება მიტინგების დაშლის საქმეში არ ჰქონდა, თორემ ხალხის დახოცვა რომ ნაბრძანები ყოფილიყო, მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა...

**ზვიად გამსახურდია დაარწმუნეს, რომ მე ვიყავი მისი პრეზიდენტობის წინააღმდეგი**

როცა ხელისუფლებაში „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო" მოვიდა, თანამდებობიდან წასვლა ჩემით გადავწყვიტე, მიზეზად გადაღლა დავასახელე. ვაჟა ადამიამ ზვიადთან შემიყვანა. როცა ვუთხარი საჭირო აღარ ვარ-მეთქი, გული დაწყდა და თვითონ შემომთავაზა ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსობა. უარი ვუთხარი. ერთი თვის შემდეგ სიგუამ და კიტოვანმა გვარდიის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება მთხოვეს და ამაზე დავეთანხმე. დავიწყეთ იარაღის შეძენა...

ცოტა ხანში ზვიად გამსახურდიამ პირდაპირ მითხრა, უნდა დაბრუნდე სამინისტროშიო. უნდა აღვნიშნო, რომ დილარ ხაბულიანს კარგ პიროვნებად ვიცნობ.

მერე გამოჩნდნენ პიროვნებები, რომლებმაც დაარწმუნეს გამსახურდია, რომ მე მისი პრეზიდენტობის წინააღმდეგი ვიყავი... ინფორმაცია ჩემი განთავისუფლებ-

გაგრძელება მესამე გვერდზე

**შევარდნაძის დროს დაჯილდოებული ვარ წითელი ვარსკვლავის ორდენით...**

სპეციალობით მშენებელი ვარ. 1974 წლის დასაწყისში პირადი სურვილითა და სამშენებლო მექანიკის ინსტიტუტის რეკომენდაციით მოვედი თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოში, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში ინსპექტორის თანამდებობაზე, რიგით თანამშრომლად. ამ ხაზით 20 წელი ვიმუშავე. არ გამომიტოვებია არც ერთი თანამდებობა, არც ერთი წოდება, არც ერთი მთავრობა. ყოველთვის ვამბობდი, რომ ვიყავი პროფესიონალი მილიციელი, არც ერთი მთავრობისათვის არ მიღალატია. ეროვნულ მოძრაობას შინაგანად ყოველთვის მხარს ვუჭერდი, ვერც ერთი პოლიტიკური ლიდერი ვერ იტყვის, რომ სამმართველოს უფროსობის ხანაში რომელიმე მიტინგი

გრამ არ მახსოვს, გამსახურდიას მისამართით როდესმე ცუდი ეთქვა. შეიძლება ეს პოლიტიკაც არის, მაგრამ ის, რაც მან 31 მარტს ზვიადზე თქვა, დარწმუნებული ვარ, ნალდად გულიდან ამოსული სიტყვები იყო, სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს. მისი ასეთი გამოსვლა უკვე შერიგებისთვის დათმობაზე წასვლას ნიშნავს. მე ვერც იმას დავიჯერებ, რომ ამ დღეს ფილარმონიის წინ პოლიციელებსა და ზვიადისტებს შორის ცემა-ტყეპა მოხდა. ესებუას რაც შეეხება, რა ექნა სამართალდამცავ ორგანოებს შეიარაღებული კაცის წინაშე, 31 მარტის გულისთვის გადაედოთ სამართალდაცავი ღონისძიება?..

**9 აპრილს ხალხის დახოცვა რომ ნაბრძანები ყოფილიყო, მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა...**

ცხრა აპრილზე ბევრი

# რატომ მოკლეს გოჩა ესებუა?!

თებერვალში განხორციელებული ტერაქტების შემსრულებელთა მიმართ ხელისუფლების ერთგვარმა ლმობიერმა დამოკიდებულებამ და შემდგომში ხმამაღალმა განცხადებებმა საყოველთაო შერიგების, ეროვნული გაერთიანების შესახებ გარკვეული იმედი დაგვისახა იმისა, რომ ამ განცხადებებს საქმეც მოყვებოდა და დაიწყებოდა მართლაც დიდი შერიგება.



მართალია, ტერაქტების მონაწილეთა მიმართ სამართალდამცავებმა ჰუმანური დამოკიდებულება გამოამჟღავნეს, მაგრამ შერიგებისათვის საქმიანი ზრუნვა სახელისუფლო სტრუქტურებიდან, როგორც ჩანს, ამით დამთავრდა, თუმცა ლაპარაკი შერიგების, ერთად დგომის აუცილებლობის შესახებ კვლავ ინტენსიურად მიმდინარეობს და ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებიც უფრო და უფრო საპირისპირო ხასიათს იღებს. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ყოფილი მინისტრის გურამ აბსანძის დაკავებისა და ყოფილი ვიცე-სპიკერის ნემო ბურჭულაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ფაქტები. შესაძლოა, ყოფილ ფინანსთა მინისტრს მართლაც მიუძღვის ბრალი სახელმწიფო ქონების გაფლანგვაში, როგორც მას ადანაშაულებენ სამართალდამცავები, თუმცა ცოტა არ იყოს, საეჭვოა ბრალდება იმის შესახებ, რომ მან 180 მილიონი დოლარის ეკვივალენტი თანხა მიითვისაო. ყოველ შემთხვევაში, ამ ბრალდებისა და იმისი დამტკიცებაც, რომ ტერაქტები მის მიერ

ფინანსდებოდა, სასამართლოს პრეროგატივაა და მის დანაშაულსა თუ უდანაშაულობაში, თუ ძიებაც და სასამართლოც სწორად წარიმართა, ახლო ხანებში დავრწმუნდებით. მე არ ვიცი, რა კონკრეტული ბრალი მიუძღვის ნემო ბურჭულაძეს სახელმწიფოს წინაშე, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ მის მიმართ სამართალდამცავებმა გარკვეული ინტერესი გამოიჩინეს, გვაფიქრებინებს ხელისუფალთა შერიგებისაკენ გადადგმული ნაბიჯების ერთგვარ, შეიძლება ითქვას, ბუნდოვანებაზე, ანუ იმაზე, რომ სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოები სიტყვით ერთს ამბობენ, საქმით კი საპირისპირო მიმართულებით მოძრაობენ.

იმის წინააღმდეგი, რა თქმა უნდა, არავინ იქნება, რომ კაცს, თუ დანაშაული ჩადენილი აქვს, მისი ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში იგი უნდა დაისაჯოს და ამ შემთხვევაში ზემოთხსენებული პირების მიმართ ეს უკვე ხორციელდება კიდეც, მაგრამ საზოგადოების გარკვეულ წრეებში არსებობს საფუძვლიანი ეჭვი და მოარული ხმებიც, რომ ყველაფერი ეს ე. წ. რეპრესიების სახეს იღებს და ეს რეპრესიები მხოლოდ ამ ორი პიროვნებით არ შემოიფარგლებაო. თუ ეს მართლაც ასე მოხდება, მაშინ ხელისუფლების პოლიტიკა შერიგებისაკენ ისეთივე ფარსი აღმოჩნდება, როგორც აფხაზეთის დაბრუნებისაკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი (კიდევ ერთი ნაბიჯი ამ დღეებშიც გადაიდგა) აღმოჩნდა ფარსი და ხალხისთვის

გაგრძელება მეცხრე გვერდზე

# რა ღუპავს ხოლმე ხალხს და სახელმწიფოს?

## ნუთუ მათი ხსოვნა სამუდამოდ წარიშლება?

ადამიანთა ისტორიითა და სახელმწიფოებრიობით დაკავშირებული ერთობა, რომელსაც შეუმუშავებია და შეუქმნია საუკეთესო ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციები, ურთიერთსიმპათია, ერთგულება თაობათა მანძილზე და ყოველივე [illegible] პრაქტიკით, არამედ წერილობითაც — აი, რა არის ერის ერად ყოფნის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი. არა მარტო ადამიანთა სიცოცხლის, არამედ მათ მიერ მოპოვებულისა და შექმნილის დასაცავად — როგორც სულიერი, ისე მატერიალური ღირებულებებისა — იქმნება კანონები, წერილობით (დოკუმენტურად) ფიქსირდება და შთამომავლობას გადაეცემა ის, რაც ყველაზე არსებითია, და სწორედ ეს შეადგენს სახელმწიფოებრიობის ხერხემალს. ამის დამცავი ინფორმაციულ-დოკუმენტური ცენტრების განადგურება სახელმწიფოსთვის კატასტროფაა, ცივილიზაციათა დამღუპველი და გამაქარწყლებელია. თუ ნადგურდება ხალხის მიერ აღიარებული პრიორიტეტებისა და მის მიერ მეცნიერებაში, ტექნიკაში, სულიერებისა და გმირობის [illegible] მალე გადაგვარდება უგვარტომოთა ბრბოდ, რომელიც თავის საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეღა ფიქრობს და ეს ჯოგი ადვილად ხდება იმ ექსპლოატატორთა სათარეშოდ და საბატონოდ, ვინც მეტს მისცემს. იგი მორალისა და ჰუმანიზმისაგან „თავისუფალი" მანიაკისთვის მასალად იქცევა. ზნეობრივი „ტვირთისაგან" განთავისუფლებულ მასათა ენერგია ამ მანიაკს ხელში საკუთარი პოზიციის გამაგრებისა და ხალხის შემდგომი შებორკვის იარაღი ხდება, მისი სულის დამონების საშუალებად; ხოლო ამგვარი მანიაკებისაგან განთავისუფლება — თუკი მოხერხდა — ახალ მსხვერპლად, ათობითწლიან ნგრევად და ხალხის მეხსიერების — მისი დოკუმენტირებული ისტორიის — ახალ დაზარალებად ჯდება.

[illegible] ის მწვერვალზე იდგა. მას ცოდნის. ყველა დარგი მოიცვა და ადამიანს უმაღლესი მორალური, ფიზიკური და ინტელექტუალური მოთხოვნები წაუყენა. როგორც ამას ობიექტური მონაცემები მოწმობს, საქართველოს წვლილი ამ დარგში (მოსახლეობის რაოდენობისადმი პროპორციით) განსაკუთრებით დიდია. მაგრამ კატაკლიზმებით სავსე 70 წლის მანძილზე ისე მოხდა, რომ არც საქართველოს ეროვნულ არქივებში და არც სსრკ არქივებში არ მოხვდა

გაგრძელება მესამე გვერდზე

# „ხელისუფლებას მარცხენა ხელში შერიგების სიგელი უჭირავს, მარჯვენათი კი მშვიდობიან მოსახლეობას არბევს"...

პოლიციელებით გადაჭედილი რუსთაველის პროსპექტი და ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორია შინაურს თუ გარეულს, ნაცნობ-უცნობს, უცხოს და მახლობელს ერთნაირად აფიქრებინებდა, რომ 31 მარტი ძალზე მნიშვნელოვანი დღე იყო თბილისის და საერთოდ, მთელი საქართველოს ცხოვრებაში. რეფერენდუმის 7 წლისთავს აღნიშნავდა ქვეყანა. რეფერენდუმისა, რომელიც პირველი ნაბიჯი გახლდათ დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ თავის გამოცხადებისა.

— მე მინდა, დღეს მადლობა ვუთხრა ყველას, რომელ პოლიტიკურ მიმდინარეობასაც არ უნდა ეკუთვნოდეს ესა თუ ის პიროვნება, რომელმაც რეფერენდუმის მომზადებას, ჩატარებას და ასეთ დიდ წარმატებას შეუწყო ხელი... ისტორია არავის აპატიებს ცალკეულ ღირსეულ პიროვნებათა დავიწყებას, ქვეყნის განვითარებიდან ამა თუ იმ ეტაპის ამოგდებას, უგულვებელყოფას...

ქართველი ხალხის ამ დიდი ზეიმის ერთი მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი გახლდათ მაშინდელი ხელმძღვანელი ზვიად გამსახურდია და მე არ შემიძლია, არ ვთქვა ეს, — განაცხადა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის სარკეებიან დარბაზში საზეიმოდ შეკრებილ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენელთა წინაშე.

რეფერენდუმის შვიდი წლისთავი ოპოზიციამაც აღნიშნა, მაგრამ არა ხელისუფლებასთან ერთად. ალბათ, ამიტომ იყო, ფილარმონიის მოპირდაპირე მხარეს გამართული მიტინგი ვერანაირად ზეიმს რომ ვერ დაემსგავსა. პოლიციელებით ალყაშემორტყმული მომიტინგეები საშინელ სივიწროვეს განიცდიდნენ.

„ხელისუფლებას მარცხენა ხელში შერიგების სიგელი უჭირავს, მარჯვენათი კი მშვიდობიან მოსახლეობას არბევს" — ისმოდა ორატორის მრისხანე ხმა.

— მსვლელობის არდაშვების მიზნით რუსთაველზე კანალიზაციის მილებიც კი გადათხარეს. ამ კანალიზაციის არხს ხელისუფლება თავისთვის იშენებს და ერთხელაც იქნება, გაყვება კიდეც მას, — ამბობდნენ ყველაზე „საზრიანნი" და „კეთილ" სურვილებს ხმამაღლა ამჟღავნებდნენ ხელისუფალთა მისამართით.

— მოგვეცით გზა, — დროდადრო ერთხმად იძახდა ასობით ადამიანი.



ისინი რამდენიმე საათის განმავლობაში ამაოდ ცდილობდნენ დათქმულ ადგილას — ფილარმონიის წინ, მიტინგის ჩატარებას. ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი მათთვის საგულდაგულოდ იყო დაკეტილი, მისი წინამდებარე ტერიტორია კი — პოლიციელებით დაცულ-გამაგრებული.

ერთ მხარეს აფიშებით მორთული ფილარმონია იყო, მეორე მხარეს კი მოზეიმე ზვიადისტები (რეფერენდუმთან ერთად პირველი პრეზიდენტის დაბადების დღესაც აღნიშნავდნენ). უზარმაზარი პლაკატი „ბარი ბარში" კონცერტის შინაარსთან ერთად სიმბოლურად ძველი და ახალი ხელისუფლების ამდღევანდელ ურთიერთობაზეც ცხადად მეტყველებდა. მოკლედ რომ ვთქვათ, თითქმის ბარი-ბარში იყვნენ ერთმანეთთან მომიტინგეები და პოლიციელები, თუმცა ეს უკანასკნელნი ცოტას (?) სძალავდნენ კიდეც (მაგრამ, ვერ აშინებდნენ) გულადულებულ ხალხს.

— რა აზრი ჰქონდა, მიტინგი ოცი მეტრით იქით ჩატარდებოდა თუ ოცი მეტრით აქეთ. ჩვენ ჩვენი ხომ გავაკეთეთ, — ლოგიკურ დასკვნამდე მივიდნენ უკვე მერაბ კოსტავას ეზოში შეკრებილი მიტინგის მონაწილეები და თავიც დაიმშვიდეს.

ხელისუფლების ლანძღვა-გინების მიუხედავად, მიტინგი, საბედნიეროდ, მშვიდობიანად დასრულდა, რაც ცოტა არ იყოს, პრეზიდენტის ქვრივისთვის — მანანა არჩვაძე-გამსახურდიასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

— უარესს ველოდით, რადგან წინა დღის ინციდენტმა სრული უფლება მომცა, მეფიქრა, რომ რაღაც საშინელება მოხდებოდა. პოლიციამ რეფერენდუმის წინა დღეს ჰელსინკის კავშირის წევრი სამი ქალბატონი დააკავა იმ მოტივით, რომ ქალაქს ანაგვიანებდნენ. სინამდვილეში ისინი განცხადებებს აკრავდნენ მიტინგის შესახებ — განაცხადა მერაბ კოსტავას სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარემ ქალბატონმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ, რის შემდეგაც დეტალურად მოუთხრო ჟურნალისტებს, დაკავებულთა ბედით დაინტერესებულთ, როგორი დიალოგი გაუმართა მთაწმინდის რაიონის პოლიციის უფროსმა ელგუჯა ჯამბურიამ. მას ქალბატონ მანანა არჩვაძისათვის უთქვამს, რომ პარლამენტის მიერ 28 მარტს მიღებულ გადაწყვეტილებას ასრულებდა იმის შესახებ, რომ 31 მარტის მიტინგისათვის ხელშესაშლელად ნებისმიერი ღონისძიება ეხმარათ (?!).

ხანმოკლე სატელეფონო საუბარი მთაწმინდის პოლიციის შეფსა და პრეზიდენტის ქვრივს — მანანა არჩვაძე-გამსახურდიას შორის უცნაურად დასრულებულა. როგორც ქალბატონმა მანანამ თქვა, ჯამბურიამ უკანასკნელი სიტყვებით დედა შეაგინა.

— გაოცებისაგან დავმუნჯდი. მე არ ვიცი, ზურგს უკან ჩემზე ვინ რას ამბობს, მაგრამ პირში ეთქვას ასეთი რამ ვინმეს, ჩემთვის არავის უკადრებია, — თქვა ქალბატონმა მანანამ და ჟურნალისტებს შთაბეჭდილებებიც გაუზიარა.

ეჭვი და დაუზუსტებელი ხმები, რომ მიტინგის ჩასაშლელად ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარეს დააკავებდნენ, ნამდვილად არსებობდა. ანონიმური წერილი „პრესკონფერენციის შემდეგ მოსალოდნელია თქვენი დაკავებაო", პრესკონფერენციის ორგანიზატორებს ახალს არაფერს ეუბნებოდა, ჩვენ კი ამ წერილმა მართლაც გაგვაოცა, აკი მიტინგი უკვე ჩატარდა?

ჩვენი შეხვედრა 9 აპრილს დიდი საპროტესტო აქციის მოწყობის დაპირებით დასრულდა. ბოლო ინფორმაციით, პრესკონფერენციის ორგანიზატორები არავის დაუკავებია.

**მანანა ლოგჯანიძე**

# რომან გვენცაძე:

## „... არ გამომიწვევია არც ერთი მთავრობა, არც ერთი თანამდებობა, არც ერთი წოდება“...

მეორე გვერდიდან

ის შესახებ ხარკოვში მივიღე.

... 1991 წლის 2 სექტემბრის დარბევის მეორე დღეს პრეზიდენტმა კვლავ დამიბარა და გამაცნო, რომ ჩემი დამბეზღებელი ხალხი ყველა განთავისუფლებული იყვნენ თანამდებობებიდან (გვარები არ დაუსახელებია, მაგრამ მე



მივხვდი, ვიზეც ამბობდა). მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ დამნიშნა.

**პრეზიდენტს და კიტოვანს შორის არც მეტი, არც ნაკლები, ხუთჯერ მივიყვანე საქმე შერიგებამდე...**

... მახსოვს, კიტოვანის ხალხი „მზიურში“ იყვნენ გამაგრებულნი. თენგიზის განცხადება ჩავიწერე, ზვიადს მიტინგზე მივუტანე და ვაჩვენე, ძალიან მოეწონა და გაუკვირდა, მითხრა, ხმამაღლა წაიკითხეო. სანამ მიკროფონი გათავისუფლდა, მის შემოგარენში ყველამ მოასწრო ამ განცხადების გადახედვა. ცოტა ხანში ზვიადმა მითხრა, წაკითხვა აღარ არისო საჭირო...

იყო ასეთი შემთხვევაც: მაშინ კიტოვანი ტელევიზიაში იყო გამაგრებული. პრეზიდენტს რომ შერიგება შევთავაზე, გამოთქვა თანხმობა, თენგიზიც თანახმა იყო... სანამ მათი სატელეფონო საუბარი შედგა, ვილაცამ ამბავი მოიტანა, ვაჟა ადამია პრეზიდენტის სახლს დაესხაო. გავიქეცით ყველა იქ, არავითარი თავდასხმა, ადამია თავისი ხალხით შეიარაღებული ცხინვალში წასასვლელად ემზადებოდა. ამ პე-

რიოდში დაურეკავს კიტოვანს... შერიგება ისევ ჩაიშალა... ასეთმა ინციდენტებმა საბოლოოდ გამოიწვია ის, რაც არ უნდა მომხდარიყო...

**ხელისუფლება ძალით არ უნდა დაემხოთ. იარაღის ხელში აღებამ მსოფლიოს თვალში ლამის პაპუასებად გვაქცია...**

22 დეკემბრის დილა რომ გათენდა, შევეცადე პიკეტი გამეკეთებინა, რათა ორივე მხარის მომიტინგეები არ არეულიყვნენ და ინციდენტი არ მომხდარიყო. ვერ ვიტყვი, რომ ვინმეს ომის დაწყება უნდოდა. ომი გამორიცხული იყო.

ლოთი ქობალიას ხალხმა იფიქრა, სროლის ხმაზე მოწინააღმდეგეები, რომლებიც იქ ლამეს ათევდნენ, შეშინდებიან და გაიქცევიანო, მაგრამ არ გაიქცნენ და სროლით უპასუხეს...

... ის განკარგულების გარეშე ნასროლი ტყვია მომხვდა მეც... საავადმყოფოში ორივე მხრიდან მოდიოდნენ სანახავად, ვთხოვდი საკაცით წავეყვანე, რათა სროლის შეწყვეტა მეთხოვა, მაგრამ მაშინ ვის ეცალა ჩემთვის...

კიდევ ვიმეორებ, ომი ნამდვილად არავის არ უნდოდა, არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას. ეს იყო ვილაცის ემოციებზე აგებული სისხლისღვრა.

**შინაგან საქმეთა მინისტრად რომ თემურ ხაჩიშვილი დაამტკიცეს, მე საწინააღმდეგო არაფერი მქონდა...**

როცა დავიჭერი, ვიფიქრე, გადარჩენის შემთხვევაში პოლიციაში აღარ ვიმუშავებ-დი... სიგუას თხოვნით მაშინდელი მინისტრის მოადგილე დავით სალარიძე მოვიდა... საავადმყოფოდან გამოვედი და შევუდექი დაშლილი და უიარაღოდ დარჩენილი პოლიციის შეკოწიწებას. მალე მას შეეძლო ნებისმიერი ძალისთვის წინააღმდეგობა გაეწია... მერე დამიბარეს და მითხრეს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრად თემურ ხაჩიშვილი დაამტკიცეს, რადგან ამ ეტაპზე ასე იყო საჭირო. მე საწინააღმდეგო არაფერი მქონდა.

**კახა თარგამაძე ჩემგან განსხვავებით, ჩეკისტის ოჯახში გაზრდილი კაცია...**

დღეს პოლიციაში გამოცდილი ხალხი მუშაობს. მამამისი, ჩემი ხელმძღვანელი და დიდად დაფასებული პიროვნება იყო. ჩეკისტის ოჯახში გაზრდილი კაცი არ შეიძლება ცუდი ხელმძღვანელი იყოს.

ადამიანურად გაეუბნებით, მის კისერზე ბევრმა გადაიარა, იყო ძალებთან შებმაც, რასაც შეიარაღებული ფორმირებები ჰქვია, ვერავინ ვერ შეძლებდა, მათ განიარაღებასა და დაპატიმრებას სხვა ვერ გაბედავდა. დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნამდვილად შესწევს ძალა ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად და მის შესანარჩუნებლად.

**ნოდარ ნათაძეს გაცნობის დღიდან დიდ პატივს ვცემ. ყოველთვის ოპოზიცია იყო, მაგრამ შინაგანად სუფთა კაცია.**

ყოველთვის, როცა მიტინგები ტარდებოდა, მთელი მილიცია წვიმის მოსვლას ვნატრობდით, რომ მალე დაშლილიყვნენ. ერთხელ, ჩვენც



და თვითონ მომიტინგეებიც ძალიან დავილალეთ. გამოვიძახე მთელი ავტოინსპექციის მანქანები. მხატვრის სახლის წინ დაშლილებს ცალცალკე ვეკითხებოდი, საით მიდიხართო და მანქანებში ვსხამდით. ბ-ნ ნოდარსაც შევთავაზე დაბრძანებულიყო. მან ეჭვის თვალით შემომხედა, ეგონა მიჭერსო. ერთმანეთისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება გვქონდა, მაგრამ მილიციას მტერი ენდოო, იფიქრა ალბათ... მეორე დღეს ისევ სიცილით შემხვდა...

**ხათუნა ხატიაშვილი.**

# ვარდიკო არაფერს აჭარბებდა, მაგრამ ჟურნალისტები მაინც იცინოდნენ...

პარადოქსული თარიღი აღმოჩნდა წლევანდელი 31 მარტი. ეს დღე განსვენებული პრეზიდენტისა და დღევანდელი საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ვარდიკო ნადიბაიძის 59 წლისთავი იყო.

დაბადების დღეს ბ-ნმა მინისტრმა პრესკონფერენცია გამართა ჟურნალისტებისათვის. მართალია, აშშ-ში ვიზიტის შემდეგ თბილისში დაბრუნებულ ნადიბაიძეს ადგილობრივი ვირუსი შეჰყროდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია გენერალიტეტისა და საინფორმაციო საშუალებების მუშაკთათვის დაწვრილებით წაეკითხა იმ დიდი სიამოვნებების შესახებ, რაც მისთვის აშშ-ში ოფიციალურ ვიზიტს მიუნიჭებია.



აღნიშნული ვიზიტის წინაპირობა, როგორც ბ-ნმა ვარდიკომ ბრძანა, საქართველოსა და აშშ-ს შორის გასულ წელს დადებული ხელშეკრულება იყო, რომელიც ეხებოდა მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობაზე შეთანხმებასა და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების საკითხებს.

მთავარსარდლობა აშშ-ს თავდაცვის მინისტრის, უილიამ კოენის ხელმძღვანელობით პენტაგონზე ეროვნული ზალპით შეხვედრია ქართულ დელეგაციას, რასაც ბ-ნ ვარდიკოზე მეტად ამაღელვებლად უმოქმედია. ყველა რიტუალური სცენისა და მუსიკალური პროგრამის შესრულების შემდეგ საპატიო დაცვით პენტაგონში შეუბიჯებიათ. სავიზიტო შეხვედრაზე კოენს დაუფარავად განუცხადებია, რომ ამერიკისთვის დიდი პატივია საქართველოს თავდაცვის მინისტრის ოფიციალური სტუმრობა, რომ აშშ-სთვის მთავარია თანასწორუფლებიანი ურთიერთობა და თანამშრომლობა ამ ორ ქვეყანას შორის. უილიამ კოენს თავის მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელ გამოსვლაში კმაყოფილება გამოუხატავს სამხედრო კონტრაქტების რიცხობრივი და ხარისხობრივი გაფართოების საკითხებთან დაკავშირებით.

ამერიკის თავდაცვის მინისტრმა სავიზიტო მუშაობისას დიდი ყურადღება დაუთმო საქართველოსთვის სამხედრო კადრების მომზადების საკითხს; ბ-ნი ნადიბაიძე არ უარყოფს, რომ აშშ-ს სამხედრო გამოცდილება ჩვენს ქვეყანას ჯარის მშენებლობისა და მისი ფორმირების საქმეში ძალიან წაადგება. მან ასევე მიიღო სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობის პროგრამის შემოთავაზება, რომელიც მოიცავს დახმარებას დაწყებულ სამხედრო ხომალდებითა და დამთავრებული ინფრასტრუქტურებით. კონგრესმა კი მფრინავების, სამხედრო ინჟინრებისა და მეკავშირეების მოსამზადებელი საჭირო თანხა გამოყო.

გამოთხოვების ჟამს აშშ-ს თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძეს საჩუქრად ორ სამხედრო კატარღას დაპირებია. აქედან ერთი აპრილის თვეში ჩამოვა, ხოლო მეორე — საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს. კონგრესში დაყენებულია საკითხი, რომლის მიხედვით კატარღებს თან ჩამოყვება სათადარიგო ნაწილები და მომსახურე პერსონალი.

პრესკონფერენციის მიმდინარეობისას, ბ-ნმა მინისტრმა ერთხელ მოსწყვიტა თვალი სამოხსენებო ფურცლებს და დარბაზში მომღიმარე ჟურნალისტების სახეებს წააწყდა. რა გაცინებთ, მე ხომ არაფერს ვაჭარბებო, — უკმაყოფილება გამოთქვა და შეეცადა ზეპირად გაეგრძელებინა; მრავალთაგან ნადიბაიძეს არ დაავიწყდა აღენიშნა, რომ განცვიფრება მოჰგვარა სამხედრო სტრუქტურებში მომუშავე ამერიკელი ქალების დისციპლინამ და ტემპერამენტმა...

**ხ. ხ.**

# „სასურველია გაერთიანება, მაგრამ ეს არ მოხდება“ (?!)

ეროვნული ძალების გაერთიანების შესახებ ლოზუნგები ამ ბოლო დროს ხშირად გაისმის როგორც ზვიადისტური, ისე არაზვიადისტური ორგანიზაციების მხრიდან. შერიგების პროცესიც კი, ხელისუფლებამ რომ წამოიწყო, აქეთ არის მიმართული, თუმცა მასთან თანადგომას ყველა როდი აპირებს, უფრო მეტიც, ზოგიერთი ეროვნული ძალების გაერთიანებას ხელისუფლების კანონიერი, მშვიდობიანი გზით დამხობისათვის მიიჩნევს საჭიროდ.

პირველ აპრილს სასტუმრო „ივერიის“ სააქტო დარბაზში ჩატარებულ „ეროვნული ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის“ პრესკონფერენციაზე პრესკონფერენციის ორგანიზატორებმა ყველა პოლიტიკურ პარტიას კიდევ ერთხელ მოუწოდეს გაერთიანებისკენ, ხოლო დამსწრე საზოგადოებას ეროვნული ყრილობის ჩატარების აუცილებლობის შესახებ აუწყეს.

პარლამენტის გარეთ დარჩენილი ყველა ეროვნული ძალა თუ არ გაერთიანდა, ეროვნული ყრილობის ჩატარებას აზრი არ ექნება, — ითქვა პრესკონფერენციაზე, თუმცა აქვე ითქვა ისიც, რომ, „სასურველია გაერთიანება, მაგრამ ეს არ მოხდება (?!), ამის თქმის საბაბს დღევანდელი სიტუაცია გვაძლევს, ამიტომ ჩვენ ამ გაერთიანებას ვერ დაველოდებით.“

პრესკონფერენციაზე ხაზი გაესვა ხალხის ნების გამოხატვის აუცილებლობას ამა თუ იმ გლობალური მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

— ეროვნულმა ხელისუფლებამ 31 მარტის რეფერენდუმით მოსახლეობას საშუალება მისცა, გამოეთქვა აზრი, სურდა თუ არა დამოუკიდებლობა, დსთ-ში შესვლისას კი ხალხისთვის არავის უკითხავს, უნდოდა თუ არა მასში გაწევრიანება, — სინანულით ამბობდნენ პრესკონფერენციის ორგანიზატორები.

— ეროვნულმა ყრილობამ ძველი ადათ-წესის მიხედვით უნდა აირჩიოს დარბაზის ტიპის წარმონაქმნი — საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც საკანონმდებლო აქტების რევიზიას მოახდენს.

არცერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის კანონი ხალხის მსჯელობის საგნად არ გამხდარა, დარბაზს რეფერენდუმის ძალა ექნება და ხალხის აზრს გამოთქვამს. რეფერენდუმის ჩასატარებლად საჭირო თანხებიც აღარ დაიხარჯება. თუ პარლამენტი ეროვნული იქნება, ასეთი ორგანოს არსებობა მისთვის სასარგებლო უნდა იყოს,“ — მსჯელობდნენ იდეის ავტორები ეროვნული ყრილობის მიერ ასარჩევი დარბაზის ფუნქცია-მნიშვნელობაზე და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ბიუჯეტის დანახარჯების შემცირებას ლამობდნენ.

ეროვნული ყრილობის ჩასატარებლად თუ ზემოთ აღნიშნული დარბაზის საარსებოდ საჭირო ბიუჯეტი კი საიდან შეივსება, ცოტა არ იყოს, გაუგებარია. თუმცა იდეის ავტორები იმასაც ამბობდნენ, რომ „ბიუჯეტი“ მთლიანად შემოწირულობების ხარჯზე იარსებებს.

ჩვენ კი, ჩვენის მხრიდან სიამოვნებით დავამატებდით, რომ საინტერესო და საქმიანი წინადადებები თუ საპირველაპრილო ხუმრობად არ დარჩება, უკეთესი იქნება.

**მანანა ლოგუაშვილი**

# რა ღუპავს ხოლმე ხალხს და სახელმწიფოს?

## ნუთუ მათი ხსოვნა სამუდამოდ წარიშლება?

მეორე გვერდიდან

პრაქტიკულად, არაფერი იმ უდიდესი მემკვიდრეობიდან, რომელსაც ქართველი ერის თვითცნობიერებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. 1968 წელს პირველად მოხდა, რომ ქართველის, საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ ნანეიშვილის თაოსნობით შეიქმნა საორგანიზაციო კომისია, რომელსაც უნდა მოეძებნა საქართველოს ისტორიის ამ მხარის ამსახველი მასალები. შეიკრიბა ძალიან მდიდარი და მნიშვნელოვანი მასალა, რომელმაც ასახა და დაადასტურა საქართველოს პრიორიტეტები მსოფლიო თანამეგობრობაში, მაგრამ... ეს მასალა უკანონოდ იქნა ამოღებული კომისიის კუთვნილებიდან და გაქრა. იმ დროის სახელმწიფოებრივ-პარტიული ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ არ დაუშვას ამ მასალის დაბრუნება და კომისიის მუშაობის განახლება. ხოლო პროკურატურიდან, ისევე როგორც პარტიული ორგანოებიდან, ქრება ამასთან დაკავშირებით მათ სახელზე მიმართული ოფიციალური დოკუმენტები. ავიაციის ვეტერანთა ძალისხმევით 1980 წელს კვლავ ხდება ორგანიზაციული კომისიის აღდგენა, მაგრამ დოკუმენტაციის არდაბრუნება და კომისიის მუშაობის არგანახლება უკვე გადაწყვეტილია საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ. ეს ხელმძღვანელობა ჯიუტად ბოიკოტს უწევს სსრკ უმაღლესი ინსტანციების სერიოზულ მომართვებსაც კი. იმ ოცდაათი წლის მანძილზე, რაც გრძელდება საზოგადოებრიობის ბრძოლა ხელისუფლებასთან ამ საკითხის გარშემო, სამუდამოდ იკარგება და ისპობა დოკუმენტების დიდი ნაწილი, ხოლო იმის მიმართ, რაც გადარჩა, იღებენ ზომებს მისი განადგურების მიზნით. ამ ბოლო სამი წლის მანძილზე, რაც თავდაცვის ახალი მინისტრი მოვიდა, მოისპო მისდამი რწმუნებული საქართველოს სამხედრო ისტორიის მუზეუმი, დარბეულ იქნა ავიაციის მუზეუმის ფონდები. პარლამენტისა და მინისტრთა საბჭოს მიმართვა მინისტრისადმი, რათა გამოიყოს შენობა — საქართველოს ავიაციის ისტორიის ძეგლი — და რათა იქ დაცულ იქნას სამუზეუმო ფონდები — ჯიუტად იგნორირებულია. მართალია, ამ მიმართვათა შედეგად საუწყებო შენობიდან გამოყვანილია კერძო ავტოსერვისი, მაგრამ შენობა გადაცემული არაა, იგი ინგრევა და მისი ხის კონსტრუქციები შეშად მოიხმარება. თითქოს ცოტა იყოს ფაქტები ჩვენი ხალხის მატერიალური „უკონტროლობისა“, იმის დაცვის, გაფრთხილების ნაცვლად, რასაც არმია პირველ ყოვლისა წმინდად უნდა იცავდეს, მისი ყველანაირად განადგურება ხდება. საქართველოში აღარ ახსოვთ ბერიაშვილი (საუკეთესო და მსოფლიოში ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ჰიდროავიაცია), ყინოსაშვილი (საავიაციო ძრავათმშენებლობა), მუსხელიშვილის ღვაწლი ამ საქმეში (მისი ფუნდამენტური მეცნიერული გამოკვლევები, რომლითაც ისევე, როგორც არაერთი სხვა ქართველი სპეციალისტისა, უცხოეთშიც სწავლობენ) არ მინდა გამოვყო ვინმე ჩვენ გმირ ავიატორთა შორის, რომელთა წვლილი საზღვარგარეთაც შეშურდებათ, მაგრამ საქართველოში დავიწყებულნი არიან. დღეს ჩვენი ქვეყნის „მამებს“ მზე ამოსდით სადაც გნებავთ, მაგრამ არა სამშობლოში. ჩვენს რჩეულებს პარლამენტში კარგად მოეხსენებათ, დოკუმენტურად ის, თუ რა ხდება, და თუმცა ერთ-ერთი ფრაქციის ხელმძღვანელის პატიოსნური და საქმით დადასტურებული განცხადება, „ჩვენთან ეს ვერავის დააინტერესებსო“ დამახასიათებელია ჩვენი პოლიტიკური ელიტისათვის, მაინც არის იმედი, რომ ეროვნული ხასიათის საუკეთესო თვისებები თავს იჩენს და ჩვენი რჩეულნი უახლოეს ხანებში ამას დაამტკიცებენ პრიორიტეტთა სწორი და დროული განსაზღვრით იმ საქმიანობაში, რომელიც მათ ვალს შეადგენს სამშობლოს წინაშე.



**კონსტანტინე ლომიძე**

რადიოსადგური „თავისუფლება“ იუწყება

# რისთვის განაიარაღეს „თეთრი ლეგიონი“?!..

27 მარტს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციამ წალენჯიხისა და ზუგდიდის მიდამოებში ქართველ პარტიზანთა კუთვნილი იარაღი ამოიღო, რამაც შეაშფოთა არა მარტო აფხაზეთიდან დევნილები და რიგითი მოქალაქეები, არამედ საქართველოს პოლიტიკური ელიტის ზოგიერთი წარმომადგენელიც. რატომ და ვინ განაიარაღა ქართული პარტიზანული შენაერთი „თეთრი ლეგიონი“, რომელსაც იძულებით ანგარიშს არძინებს ხელისუფლებაც კი უწევს? როცა საქართველოს უმიმრობის ოფიციალური წარმომადგენლები ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ საკუთარ კარმიდამოში დევნილთა დაბრუნების გარეშე ისინი უძლურნი იყვნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე პარტიზანული მოძრაობა აღეკვეთათ ყველასათვის მოულოდნელად საქართველოს პოლიციამ „თეთრი ლეგიონი“ განაიარაღა. „თეთრი ლეგიონის“ ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება.

მოგვითხრობს რადიო „თავისუფლების“ ზუგდიდელი კორესპონდენტი **ლაშა ბერულავა**.

— „ქართველ პარტიზანთა ბოლოდროინდელი გააქტიურების გამო აფხაზური ხელისუფლება რომ შეშფოთდა და ყოველ ბუჩქს უკან ჩასაფრებული პარტიზანი ელანდებოდა, ასე თუ ისე, გასაგები იყო, მაგრამ გაუგებარია რამ შეაშფოთა სამეგრელოს სამხარეო პოლიციის შეფები და ბევრისთვის მოულოდნელად რატომ მოიცალეს პარტიზანებისათვის. 27 მარტს წალენჯიხისა და ზუგდიდის მიდამოებში არსებული პარტიზანული შენაერთის „თეთრი ლეგიონის“ საწყობებიდან ამოიღეს 30-მდე ავტომატი და ერთ-ერთი მეთაურის კუთვნილი „სტეჩკინის“ ტიპის პისტოლეტი. ქართველმა პარტიზანებმა, რომლებიც საწყობს დარაჯობდნენ, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და შეიარაღებული დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად იარაღი უმტკივნეულოდ ჩააბარეს. როგორც პარტიზანული შენაერთის ერთ-ერთმა ინკოგნიტო მეთაურმა გვითხრა, ამ ოპერაციას უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის უფროსი, ალეკო კუხალაშვილი. მართალია, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებმა კატეგორიულად უარყვეს გავრცელებული ინფორმაცია, მაგრამ სამაგიეროდ იგივე ინფორმაცია დაადასტურეს კომპეტენტურმა წყაროებმა მაღალი ეშელონებიდან.

გარკვეულ წრეებში გაჩნდა ეჭვი, რომ ეს ოპერაცია ალეკო კუხალაშვილმა საკუთარი პოზიციის გასამაგრებლად განახორციელა, რადგან ბოლო დროს გამოჩენილი აშკარა არაპროფესიონალიზმის გამო მისი სავარძელი საგრძნობლად მოფამფალდა. შეგახსენებთ, რომ გასული წლის სექტემბერში სვანეთში უმხვანების წინააღმდეგ ჩატარებულ ოპერაციას, რომელსაც ძმები უმხვანების გარდა ოთხი პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა, სწორედ კუხალაშვილი ხელმძღვანელობდა, თუმცა იმ პერიოდში პოლიციის შეფის არაპროფესიონალიზმს მხოლოდ მასმედია უსვამდა ხაზს, დღეს კი ჟურნალისტებს პოლიტიკოსებიც შეუერთდნენ, მაგალითად, მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერი ბეჟან გუნავა, რომელმაც აღნიშნა, რომ კუხალაშვილს თანამდებობაზე დარჩენის მორალური უფლება არა აქვს.

ქართული პარტიზანული შენაერთი 1994 წლის ნოემბრიდან არსებობს და მასში ათასამდე დევნილია გაერთიანებული. ოთხწლიანი ისტორიის მანძილზე მან არაერთი სისხლიანი სიურპრიზი მოუმზადა აფხაზ ბოევიკებს. აპრილის დასაწყისიდან კი, შესაძლოა, შენაერთის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყოს. თუკი პარტიზანები ენგურს გაღმა აფხაზეთთან არკვევდნენ ურთიერთობას, შეიძლება იგივე მოუწიოთ ენგურს გამოღმა ქართველ პოლიციელებთან.

როგორც იტყვიან — წინ წყალია, უკან კი მეწყერი.

# პარასკევის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე



პრეზიდენტი მართალს ამბობს

პრეზიდენტის გასული ორშაბათის რადიოინტერვიუს წამყვანი რამდენიმე თემა. მათ შორის ეკონომიკა (როგორც ყოველთვის) და 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე

### ეკონომიკა

ეკონომიკურ ნაწილში პრეზიდენტი, როგორც ყოველთვის, ანგარიშს აბარებს საზოგადოებას ეკონომიკის იმ მხარეზე, რომელზედაც ლაპარაკი საჭიროდ თვლის. იგი გვაცნობებს, რომ ამუშავდა კასპის ცემენტის ქარხანა და რუსთავის „აზოტი“, აგრეთვე „თითით ახალი პატარა საწარმო“. ზესტაფონის ფეროში „კარგი მდგომარეობაა“ და ქუთაისის ავტოქარხანაში „საიმედო ძვრებია“, ხოლო 10 აპრილიდან უნდა ამუშავდნენ მეტალურგები. ეს ფაქტები სასიხარულოა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ წინა ინტერვიუების შესახებ, ასეთი ინფორმაცია მაინც ინფორმაცია არ არის. **ჯერ ერთი**, ჩვენ არ ვიცით, **ვისია** რეჟიმის შემდეგ ეს საწარმოები: სახელმწიფოსია ისევ, საქართველოს მოქალაქეთა კაპიტალისაა, თუ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებისაა. თუ სხვადასხვისაა, მაშინ **ვისია** აქციების საკონტროლო პაკეტი? და თუ უცხოელებისაა, მაშინ **რომელი** უცხოელებისაა — საქართველოს მეგობრებისა ანუ სტრატეგიული მოკავშირეებისა, საქართველოში მხოლოდ ეკონომიკური ინტერესის მქონეებისა (ანუ „ნეიტრალურების“) თუ მტრებისა ანუ საქართველოს მიმართ „შემოტევითი“, ე. ი. აგრესიული გეგმების მქონეებისა? **მეორეც**, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით (თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისი არ არსებობდეს) ჩვენ გვაინტერესებს, როგორ მოხდა ან ხდება მრეწველობის ამ ძირითადი ობიექტების ამუშავება, დაზარალდა თუ არა — და თუ დაზარალდა, რამდენად — ამით სახელმწიფოს და, მაშასადამე, სახელმწიფოს მფლობელის, ანუ ხალხის ჯიბე? ამ კითხვის აქტუალობას მსმენელის თვალში მოწმობს თუნდაც მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, რომ რუსთავის „აზოტი“, რომელიც საქართველოს სავალუტო შემოსავლების ერთერთი უმნიშვნელოვანესი წყარო იყო ტრადიციულად და არის (მისგან პლატინის დიდი რაოდენობის დაუსჯელად მოპარვის შემდეგაც კი) გაპრივატდა ასიათას ლარად, იმ დროს როცა რუსთავის ბაზრობა ნახევარ მილიონად გაპრივატდა. მსმენელის ინტერესი ამ საკითხისადმი ბუნებრივია. **მესამეც** — და ეს მთავარი გახლავთ — უნდა ვიცოდეთ ამ საწარმოთა მუშაობის მიმართულება, მაშასადამე — მათი ადგილი და როლი საქართველოს ეკონომიკურ სისტემაში. რა იქნება, თავისი პერსპექტივითა და ჩანაფიქრით, მათი ადგილი, ფუნქცია და როლი საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში მთლიანად? ეს კითხვა ფუჭი არ გახლავთ, რადგან კარგად ცნობილია, რომ საწარმოს გადასვლა ყველაზე „ტიპიური“ უცხო პარტნიორის, სახელდობრ, მარტოოდენ ეკონომიკური ინტერესების მქონე ანუ პოლიტიკურად ნეიტრალური პარტნიორის ხელში იწვევს მასში არა ადგილობრივი, არამედ უცხოელი კადრის დასაქმებას საკვანძო ფუნქციებით, ხოლო ადგილობრივი კადრის საწარმოს გარეთ დარჩენას, აგრეთვე საწარმოს მიერ ადგილობრივ ბაზარში მოპოვებული თანხების ნაწილის გატანას და „მასპინძელი“ სახელმწიფოს მთელ მონაპოვრად ამ ოპერაციიდან მხოლოდ მის ბიუჯეტში ჩარიცხული გადასახადების დატოვებას. კარგა ხანია, ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როცა ინვესტიციების მიმართულება განმსაზღვრელი ერთერთი ძირითადი ფაქტორი ადგილობრივ იაფ მუშახელზე ორიენტაცია იყო. დღეს ნაკლებგანვითარებულ ქვეყანაში ინვესტორს იზიდავს, ძირითადად, ეკოლოგიური ჯარიმებისაგან თავის დაღწევის პერსპექტივა და ადგილობრივი ნედლეულის რესურსები, ხოლო დასასაქმებლად მას (თავისიანი პირდაპირი და არაპირდაპირი სტიმულირების წყალობით) თავისი საკუთარი ქვეყნის მოქალაქეები ურჩევნია. (ისევე, როგორც საქართველოს სესხად აღებული ან მუქთად მიღებული თანხებით დაფინანსებულ მრავალგვარ პროექტებში დასაქმებულთა ძალიან დიდ ნაწილს მაღალხელფასიანი უცხოელები შეადგენენ). ამგვარი განვითარების შემთხვევაში (რაც ყველაზე უფრო ბუნებრივი გზაა) ადგილობრივი მუშახელის უმუშევრობა და მასობრივი ემიგრაცია ლარის (არაპრესტიჟულ სამუშაოებზე დასაქმებით), ხოლო საქართველოში არსებულ მატერიალურ ფასეულობებს — თანდათანობითი გაცლა (თვით მიწის ჩათვლით), ანუ საქართველოში არსებული მთელი სიმდიდრის გადასვლა უცხოელთა ხელში. ამ ბუნებრივი პროცესის სარეგულიროდ და მისი მომაკვდინებელი შედეგების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სახელმწიფოს ეკონომიკურ-სტრატეგიული პროგრამის არსებობა, პროცესთა მიმდინარეობის ყველა შესაძლო ვარიანტის გათვლით. ამგვარი გეგმის არც ერთი ელემენტი პრეზიდენტს დღემდე არ დაუსახელებია და ადვილი სავარაუდებელი გახლავთ, რომ ამგვარი გეგმა არც არსებობს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამჯერადაც, ისევე როგორც აქამდე ხდებოდა, ინტერვიუს ეკონომიკურ ნაწილში ნახსენები არაა საქართველოს ორმილიარდდოლარიანი საგარეო ვალი, მისი გაჩენის მიზეზები ან მისი გადახდის პერსპექტივა. უნიკალური ობიექტების გაყიდვის გეგმა, როგორიცაა, მაგალითად ფოთის პორტი (პორტი, მოგეხსენებათ, იმდენი ვერ აშენდება, რამდენიც გსურს, მას ადგილი სჭირდება) სწორედ ამ პროცესის რეალური საშიშროების მაჩვენებელია.

ინტერვიუს ამავე ეკონომიკურ ნაწილში ფართოდაა ლაპარაკი უცხოური ინვესტიციების ძალიან საინტერესო პროექტებზე — ლაპარაკია მყოფად დროში ანუ მხოლოდ იმაზე, რა გაკეთდება, და არა იმაზე, რა გაკეთდა. ვისურვოთ, რომ ყველა ამ ჩანაფიქრმა ხორცი შეისხას, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ მომავლისთვისაც — ისევე, როგორც აწმყოსთვის — საჭიროა სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების საერთო გეგმა, რათა ვიცოდეთ, ჩამორჩენისკენ მივდივართ თუ წინსვლისკენ, ერთიანი ეკონომიკისკენ (რომელიც საქართველოს კუთხეთა ურთიერთკავშირის, მაშასადამე, სახელმწიფოს ერთიანობის ერთერთი ძირითადი ფაქტორია) თუ, პირიქით, კომპრადორულ ეკონომიკურ წამონწყებათა ქაოსისკენ, ჩვენი ნაწარმით საგარეო ბაზრისათვის ბრძოლისაკენ თუ, პირიქით, ჩვენი შიდაბაზრის სხვებისათვის დათმობისაკენ და ა. შ.

ინტერვიუდან ვგებულობთ, რომ მეჩაიეობის რეაბილიტაციისათვის ბიუჯეტიდან დღეს გაჭირვებით გამოყოფილია 3 მილიონი ლარი და ეს ფული უკვე ხმარდება გადაბარვას, გასხვლასა და სხვა სამუშაოებს, აგრეთვე იმას, რომ დარგი „მხოლოდ ამ დახმარების ფარგლებშივე“ 4-5 მილიონ ლარს გადმოურიცხავს ბიუჯეტს. ნამდვილად სასიხარულო ცნობაა თანხის ასე მწარმოებლურად ხარჯვის ამბავი და უნდა ვისურვოთ, რომ მსგავსი შემთხვევები მრავლად იყოს!

### 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისადმი დამოკიდებულება

სასიხარულოა, რომ პრეზიდენტი მკაფიოდ და ნათლად უსვამს ხაზს ამ რეფერენდუმის ისტორიულ მნიშვნელობას და მისი ჩამტარებლების [illegible]

[illegible] ტივით 1993 წლის 1 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ დადგენილების მიღებას „ქსენგეს“ წესდებასთან საქართველოს შეერთების შესახებ, დავინახავთ, რომ ამჯერად პრინციპულად განსხვავებული ვითარება გვაქვს: არც შევარდნაძის, არც პარლამენტში წარმოდგენილ რომელიმე პარტიის საარჩევნო პლატფორმა არ ითვალისწინებდა „ქსენგესთან“ შეერთებას. ამდენად, პარლამენტის წევრებს არ ჰქონდათ ამომრჩევლისგან მიცემული ამ ნაბიჯისათვის ხმის მიცემის რწმუნება.

### ენერგეტიკა

პრეზიდენტი თვლის, რომ ენერგოკრიზისი აღარ გვექნება, თუ ენერგიის საფასურის გადახდის პრობლემა მოგვარდა. გამოდის, რომ ენერგიის კრიზისი ენერგიის წარმოების სიძნელეში კი არ მდგომარეობს, არამედ წარმოებული ენერგიის ყიდვის სიძნელეში. მაგრამ თუ ასეა, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ამ დარგში წარმოებული პოლიტიკის და, საერთოდ, ქვეყნის მთელი ეკონომიკური ცხოვრების რეგულირების მასშტაბით წარმოებული არასწორი პოლიტიკის ბრალია. ერთის მხრივ, შეუძლებელია, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ე. წ. „ურჩი არგადამხდელების“ კატეგორიას განეკუთვნებოდეს. ისინი ფულს არ იხდიან მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ იხდიან. მაშასადამე, მათი პრობლემა დენი კი არაა, არამედ მოსახლეობის მასობრივი გაღატაკების საერთო პრობლემაა, ანუ ნომერი პირველი სოციალური პრობლემა, რომელიც დღეს გვაქვს, მეორე მხრივ, პრობლემაა ისიც, თუ რატომ ღირს საქართველოში ელექტროენერგია ეს ფასი, რომელიც აქვს, და არა სხვა ფასი (მუშახელის სიიაფისა და წყლის ენერგიის რესურსთა სიუხვის პირობებში). რა განსაზღვრავს ამ შემთხვევაში ფასწარმოქმნას? ცუდი მართვა? ცუდი პრივატიზება? მაფიების ბატონობა და მონოპოლიზმი? ეკონომიკური დივერსია ხომ არა, ისევე როგორიცაა, მაგალითად დენის გაუმართლებელი გამოთიშვა „მეზობელ“ მაფიებთან, მაგალითად, ნავთით მოსპეკულანტე მაფიებთან შეთანხმების შედეგად? როგორც ვხედავთ, ენერგეტიკული კრიზისის პრობლემა „გადახდის“ პრობლემა კი არ ყოფილა, არამედ შეუდარებლად უფრო ღრმა და მომცველი [illegible]

### წესრიგის პრობლემა

[illegible]

გამოდის, რომ პრეზიდენტს კვლავაც იმედი აქვს, აფხაზეთის პრობლემა „ქსენგეს“ საშუალებით მოაგვაროს. ეს იმედი დაუჯერებელია (ანუ შეუძლებელია, დღევანდელი ინფორმაციის მქონე კაცს ეს იმედი გულწრფელად ჰქონდეს) იმიტომ, რომ „ქსენგეს“ სამხედრო მოქმედება ჩვენს მხარეზე გამორიცხულია — (იგი თუ მოქმედებს, მხოლოდ ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებს). რუსეთის 345-ე ავიასადესანტო პოლკის პირადი შემადგენლობა რომ გამზადებულია არძინბას დაქირავებული სამსახურისთვის, ესეც ცნობილია. ცხადია, ეს მდგომარეობა გაგრძელდება მანამდე, სანამ საქართველო პოლიტიკური გზით, მათ შორის — დიპლომატიური დემარშებით გაეროში და სხვაგან არ აღკვეთს რუსეთის გამოუცხადებელ ჩარევას ამ ომში. პრეზიდენტი ამას არ აპირებს. ხოლო თუ არ აპირებს, რატომ ეწევა იგი მსმენელის დეზინფორმირებას, თითქოს აფხაზეთის პრობლემის მოგვარების იმედი აქვს?

### ცხინვალის თემა

პრეზიდენტი „მიესალმება“ ჩიბიროვის მზაობას „დაიწყოს ამ რეგიონის — სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის პრობლემების განხილვა საქართველოს ხელმძღვანელობასთან“.

რაკი მიესალმება, ალბათ, იმედი აქვს, რომ სასარგებლო შედეგს მიაღწევს. ეს ტყუილი გახლავთ! ცხინვალში ყოველგვარი ტერიტორიული ავტონომიის შექმნა, მით უმეტეს — „ოსეთის“ სახელით ასეთი ავტონომიის შექმნა კი არ დააცხრობს, არამედ, პირიქით, გაღვივებს კონფლიქტს და დაამძიმებს საქართველოს მდგომარეობას ამ კონფლიქტში. ეს ნაბიჯი 600 ათასიანი ოსი ხალხის წინაშე პირველ ნომერ „ეროვნულ“ ამოცანად დასვამს ორი „ოსეთის“ „შეერთების“ ანუ შიდა ქართლის ნაწილის მიტაცების ამოცანას. ზემოხსენებული პოზიციის ჭერა პრეზიდენტის მხრიდან საქართველოს ინტერესების პირდაპირი და შეგნებული გაწირვაა.

პრეზიდენტის სიტყვები ბადებს იურიდიულ კითხვას: უკანონო „სამხრეთ ოსეთი“ შექმნილია ოკუპანტის მიერ (თვით საქართველოს მარიონეტული საკანონმდებლო ორგანოების თანხმობის გარეშეც კი) 1922 წელს. საქართველო ოკუპირებულ და ანექსირებულ [illegible] ყველა სამართლად არის ცნობილი ამ ოკუპირებული ქვეყნის მიერ ოკუპაციის დროს განცდილ შევიწროებათა მთელი კატეგორია. უკანონო „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომია კანონიერადაა გაუქმებული კანონიერი უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 11 დეკემბერს. სარკ ხელისუფლების მიერ (რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ არსებობდა) ამ აქტის გაუქმების რაიმე მცდელობა ან კითხვის ქვეშ დაყენების მცდელობა არ არის. მაშ რა ან ვინ აძლევს უფლებას საქართველოს მოქალაქეს — ამ შემთხვევაში, პრეზიდენტს — კანონის წინააღმდეგ წავიდეს და გამოთქმა „სამხრეთ ოსეთი“ იხმაროს? მისი მოქმედება ამ შემთხვევაში კანონსაწინააღმდეგო ანუ დასჯადი მოქმედებაა.

### „ზვიადისტების“ თემა

ფაქტია, მაგრამ უცნაურია, რომ „ბუნტისთავებში, ბანდიტებში, ქვეყნის ავის მოსურნეებში“, რომელთაც პრეზიდენტი მკვეთრი სიტყვებით ემუქრება, იგი გულისხმობს არა ცხინვალელ ექსტრემისტებს, არძინბას ხროვას, საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ ღიად გამომსვლელ კომუნისტებს, არამედ ე. წ. „ზვიადისტებს“ (მათ გარკვეულ ნაწილში) ანუ იმათ, ვისაც იურიდიულად ან ფაქტობრივად შესაძლებლად მიაჩნიათ საქართველოს კანონიერი, მაგრამ ძალადობით დამხობილი ხელისუფლების უფლებამოსილებათა აღდგენა. პრეზიდენტი არ ლაპარაკობს ამ გეგმის არც იურიდიულ, არც ფაქტობრივ შესაძლებლობა-შეუძლებლობაზე. იგი მხოლოდ იმუქრება, ერთის მხრივ, და შერიგებისკენ მოუწოდებს, მეორეს მხრივ. ფაქტობრივად ეს ხდება რეპრესიების ფონზე, როგორიცაა მიტინგების რბევა, და პოლიტპატიმართა ყოლის ფონზე. ეს პოზიცია იურიდიულად ყალბია (გარდა იმისა, რომ ეს ფსიქოლოგიურად ყალბია და ტაქტიკურად თეთრი ძაფითაა შეკერილი) მანამდე, სანამ პრეზიდენტს არ გაუბათილებია მის მიერ 1992 წლების გადატრიალების შეფასება, როგორც „საერთო სახალხო აჯანყებისა“ და „ზვიადისტებთან“ დიალოგის ამოცანა ოფიციალურად არ აღიარებულა არა „შემორიგების“, არამედ „შერიგების“ ამოცანად.

### კითხვის ნიშნის ქვეშ

დასასრულ, დაგვრჩა პრეზიდენტის მიერ ნახსენები უმნიშვნელოვანესი თემა, რომელიც ვერც ერთს ჩვენი სამი ტრადიციული სვეტთაგანს ვერ მივაკუთვნეთ და იძულებულნი ვართ კითხვის ნიშნის ქვეშ დავტოვოთ. ეს გახლავთ ბატონ ე. შევარდნაძის ადმინისტრაციისა და ბატონ ა. აბაშიძის ადმინისტრაციის ურთიერთობის თემა. სრული ინფორმაცია ამ თემაზე სამსჯელოდ არც ჩვენ, არც, ალბათ, სხვას ვისმე არ გააჩნია, ხოლო არასრულის საფუძველზე მსჯელობა დანაშაულია. ამიტომ ისღა შეგვიძლია, რომ წმინდა-თეორიული მოსაზრება გამოვთქვათ და არ ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად მიბმულია ეს ჰიპოთეზა სინამდვილეზე. სახელდობრ:

არც შევარდნაძის შეცდომებს ცალკე, არც აბაშიძის შეცდომებს ცალკე არ ძალუძთ ტრაგედია გამოიწვიონ. ეს შეუძლია მხოლოდ ორმხრივ მცდარ მოქმედებას სიტყვით ან საქმით. საზოგადოებაში არსებობს თეორიულად აგებული ჰიპოთეზა, რომ ორივე ხსენებული პიროვნება ერთი და იმავე — საქართველოსთან ორიათასი კილომეტრის მანძილზე შედგენილი — სცენარის მიხედვით მოქმედებს, რათა ეს კატასტროფა გამოიწვიონ ანუ პრობლემა შექმნან იქ, სადაც იგი არ არსებობს. მაშ მოვუწოდოთ ამ მოვლენათა პერსონაჟებს: ფრთხილად იყონ!



[illegible]

### პრეზიდენტი ცდება ისევ რეფერენდუმის თემა

[illegible]

უფრო საიმედოდ გამოიყურება დღეს“.

ეს ილუზია გახლავთ **იმიტომ**, რომ ტერაქტმა მოსახლეობის ფართო ფენას შეაგნებინა ერთი ისეთი ჭეშმარიტება, რომელიც ყოველ ნორმალურ ადამიანში სტაბილობის გრძნობას კი არა, პირიქით, შიშის ზარს იწვევს: რომ ელემენტარული წესრიგი ანუ განუკითხავი ბანდიტიზმისა და სროლის არარსებობა დამოკიდებული ყოფილა ერთ კაცზე — 70 წლის პრეზიდენტზე, რომელსაც ვიცეც კი არა ჰყავს, რადგან სახელმწიფოში არანაირი სხვა ქმედუნარიანი და პრესტიჟიანი სტრუქტურის შექმნის არდაშვება სახელმწიფოს გენერალურ კურსს წარმოადგენს.

### პრეზიდენტი მართალს არ ამბობს

პრეზიდენტს მიაჩნია, რომ „საკრებულოების არჩევნებითა და ადგილობრივი თვითმმართველობის დაფუძნებით საქართველოში საბოლოოდ მთავრდება არა მარტო ძველი სისტემის დემონტაჟი, არამედ ახალი სისტემის ფორმირებაც. თვითმმართველობის დემოკრატიული ინსტიტუტით განიმსჭვალება სახელმწიფოებრივი სტრუქტურა თავიდან ბოლომდე“.

ეს მსჯელობა შეგნებულად სცილდება სინამდვილეს. პრეზიდენტმა **იცის**, რომ საქართველოს რამდენიმე ძირითად ქალაქში მერობა ანუ ქალაქისთავობა არჩევითი თანამდებობა არაა; იცის ისიც, რამდენად შელახულია არჩევითობის პრინციპი რაიონის გამგებლის პიროვნების განსაზღვრაშიც, რაც გამორიცხავს თვითმმართველობასაც და დემოკრატიასაც. რადგან დანიშნული პიროვნება, რაც უნდა ანგელოზი და დემოკრატი იყოს იგი ბუნებით, არაა იძულებული ანგარიში გაუწიოს მის მიერ მართულ მოსახლეობას, თუკი მისი ამომრჩეველი არ არის.

### აფხაზეთი

პრეზიდენტი არაფერს ამბობს „ქსენგეში“ საქართველოს მიერ წარდგენილი წინადადებების შინაარსზე, მაგრამ კი ამბობს, რომ: „ამჟამად „გამოკითხვის წესით“ მიმდინარეობს მუშაობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ლიდერების პოზიციის დასადგენად იმ წინადადებებისა და იმ დოკუმენტის გამო“.

**შემატკივარი**

რადიოსადგური „თავისუფლება“ იუწყება

## ოსები ცხინვალს სტალინ-ოსს არქმევენ

ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთიდან დევნილ ქართულ მოსახლეობას, მათ აზრის სრული გაუთვალისწინებლობის პირობებში, ცხინვალის ხელისუფლება არცთუ სახარბიელო და სასიამოვნო სიურპრიზებს უმზადებს — ცხინვალს თავისი ისტორიული სახელწოდება შეეცვლება ე. წ. სამხრეთ ოსეთის დედაქალაქად სტალინირის გამოცხადება კი ქართულ მხარესთან სტალინის ეთნიკური წარმომავლობის გულუბრყვილო, მაგრამ აშკარა პრეტენზიაა, როგორც ჩვენი ცხინვალელი კორესპონდენტი ბოცო ჯაყელი განგვიმარტავს, სტალინირი ოსურად სტალინ-ოსს ნიშნავს.

კორესპ: „შიდა ქართლის უძველესი ქალაქის ცხინვალის დაარსების შესახებ ერთ წერილობით წყაროში აღნიშნულია, რომ ქალაქი ლიახვის კიდეზე დააარსა ქართლის მეფე ასმაგურმა, ლიახვისპირელთა ქალაქი ცამეტი საუკუნის განმავლობაში ნაცნობ სახელს ატარებდა, მაგრამ კომუნისტური მმართველობის პერიოდში მას ისტორიული



სახელი წაართვეს და სტალინის პიროვნების მითვისებით დაინტერესებული ოსი პატრიოტების მიერ ხელოვნურად შექმნილი სახელი სტალინირი უწოდეს. აღსანიშნავია, რომ ქალაქი წლების მანძილზე ყველა საერთაშორისო თუ ადგილობრივი მნიშვნელობის დოკუმენტში ამ სახელით მოიხსენიებოდა, მაგრამ ჟამთა ცვლის ისტორიამ უსამართლობას სამართლიანი განაჩენი გამოუტანა და ათასრვაასწლოვან ქართულ ქალაქს ისევ პირვანდელი სახელი დაუბრუნდა. სამწუხაროდ, ბოლო შვიდი წლის მანძილზე შიდა ქართლის ამ რეგიონს ბოლშევიკთა მიერ ხელოვნურად შექმნილ ე. წ. სამხრეთ ოსეთს იარაღის ძალით დაპატრონებულმა ოსმა სეპარატისტებმა ქალაქში ქართული ტოპონიმების მოსპობის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება ცხინვალის სახელწოდების შეცვლაზე გაამახვილეს. ამას წინათ სოციოლოგიური და პოლიტიკური გამოკვლევების ცენტრმა მოაწყო საყოველთაო-სახალხო გამოკითხვა ე. წ. სამხრეთ ოსეთის დედაქალაქს უნდა ეწოდოს თუ არა სტალინირი. გამოკითხული ოსი მოსახლეობის უმრავლესობამ მოითხოვა ძველი ისტორიული სახელის შეცვლა სტალინირით.

ასეთ ვითარებაში პრინციპულად დგება საკითხი: რას ნიშნავს სიტყვა „სტალინირი“ და ოსეთის ხელისუფლება და ხალხი რატომ მოითხოვს ძველი სახელწოდების შეცვლას. თავის დროზე რუსული სიტყვიდან შექმნილ სიტყვა „სტალინს“ ოსებმა ეთნიკური ვინაობის აღმნიშვნელი ბოლოსართი „ირ“ დაუმატეს, რომელიც „ირონის“ ანუ ოსის აღმნიშვნელი შემოკლებული ვარიანტია და, საბოლოო ჯამში, გვაძლევს ეროვნული ვინაობის აღმნიშვნელ სიტყვას „სტალინ-ოსს“. ცხინვალელი პოლიტიკოსების ულოგიკო ნააზრევის ახსნა-განმარტებას დიდი პოლიტიკური გამჭრიახობა არ სჭირდება. ცხინვალის სახელწოდების შეცვლით ისინი ცდილობენ ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას, რათა რეგიონში მოსპონ ქართველთა ყოფიერების კვალი, ხოლო ქალაქისათვის სტალინის სახელის მინიჭებით ხაზი გაუსვან სტალინის ოსურ წარმომავლობას. სტალინის დიდ პოლიტიკურ თუ სახელმწიფო მოღვაწეობას, ამ დიდი პიროვნებისა, რომლის წინაპრების გვარის წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს, მთელი მსოფლიო კარგად იცნობს, მაგრამ ქართველთა მეფის ასმაგურის მიერ 1800 წლის წინათ დაარსებული შიდა ქართლის ქართული ქალაქის ცხინვალისათვის სახელის გადარქმევა და ოსური ვარიანტის — „სტალინირის“ შერქმევა რეალური ისტორიის უცილობელი ღალატია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გავყიდოთ თუ არ გავყიდოთ?

*რედაქციას ისედაც განზრახული ჰქონდა, დაეწერა მტკივნეულ პრობლემაზე — ხე-ტყის ყიდვა-გაყიდვაზე, მაგრამ ეს განზრახვა ერთმა მოულოდნელმა შეხვედრამ დააჩქარა.*

*ჩვენი რესპონდენტი საკმაოდ ენაწყლიანი მოსაუბრე, სატყეო საქმეში ჩახედული და ასე გასინჯეთ, ლიტერატურის მოყვარულიც აღმოჩნდა.*

*რამდენიმე ათეული წელი ვიმუშავე სატყეო დარგში. 10 ლარი ჩემს დამსახურებას ნამდვილად არ შეეფერება, მაგრამ მაინც დამსახურებულ პენსიაზე ვარო, — გვითხრა.*

*10 ლარით აბა რა გაზეთი უნდა ვიყიდო, მაგრამ მე და ჩემისთანები შეროზიას ქუჩაზე რომ ბიბლიოთეკაა, იქ ვიკრიბებით და გაზეთებსაც უფასოდ ვკითხულობთო. ამიტომ შეძლებისამებრ ყველაფერს ვადევნებ თვალსო.*

*მან, გარკვეული მიზეზების გამო, გვარის დასახელებაზე უარი განგვიცხადა და ჩვენც აღარ ჩავძიებივართ, რადგან საუბარი საინტერესო და სასარგებლო გვეჩვენა და ზოგიერთი კორექტურით საჭიროდ ვცანით მისი გამოქვეყნება.*

... გახსოვთ, ალბათ, მეოცე საუკუნე ნიკო ლორთქიფანიძის რეპორტაჟით დაიწყო — „იყიდება საქართველოო" და საუკუნის ბოლოს ისევ იმ პრობლემით მოვედით, ოღონდ ისე, რომ უკვე გასაყიდი აღარაფერი დარჩა და ახლა ტყეს მივადექით.

პოეტ ოთარ შალამბერიძეს ერთი დიდი ლექსი აქვს სათაურით „ვიყიდებით!" და თუ ნებას მომცემთ, მხოლოდ ორ სტროფს მოვიყვან:

... „დიახ! ვყიდით! ფეხქვეშ ყრია
ყველა განძი მონაზიდი,
წინაპართა საფლავებს და
იმ საფლავთა ხსოვნას ვყიდით.
მოვიხედოთ ერთხელ უკან
გასაყიდი რაღა დაგვრჩა?!
დედაენა! — ალბათ მიტომ,
მყიდველი რომ არსადა ჩანს".

სამაგიეროდ ტყესა ჰყავს მყიდველი და ჩვენც თავქუდმოგლეჯილი ვყიდით.

როგორც „ტყის კაცი" გეტყვით, უტყეო საქართველო ჯოჯოხეთზე უარესი იქნება.

. აი, სამოცდაათ წელს გადაცილებული კაცი ვარ და ამ ხნის ხეს რომ მოჭრი, სამაგიეროს მოსვლას ხომ ისევ 70 წელი დაჭირდება?! ამასობაში კი ან ქარი წაგვილებს ან ქარბორბალა.

... საქართველო ტყიანი ქვეყანაცაა და უტყეოც. ტყიანია ჩვენს უტყეო მეზობლებთან — სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარებით; უტყეოა ისეთ ტყიან ქვეყნებთან შედარებით, როგორიცაა ფინეთი, რუსეთი და სხვა.

ამბობენ, ახლა საქართველოს ტყიანობა 40 პროცენტს გადაცდაო. სხვათა შორის, საქართველოს ტერიტორიის ერთი მესამედი უტყეოა, ერთი მესამედიც მცირე ტყიანი და დანარჩენ მესამედზეა ისეთი ტყეები შემორჩენილი, რომლის ჭრაც შეიძლება.

გაზეთში წავიკითხე, მწვანეების



უფროსი წერდა: პრეზიდენტმა ვეტო დაადო ხე-ტყის გაყიდვის კანონსო, რაც იმას ნიშნავს, რომ ახლა ყველას ისევ თავისუფლად შეუძლია საზღვარგარეთ ხე-ტყის გატანა; ეს კი კარგს არაფერს მოგვიტანს და ჩვენ კი ყური არავინ გვათხოვაო...

... წავიკითხე, რომ ახლა ჩვენს სოფლებში 700 ათასამდე ოჯახი ცხოვრობსო; ეტყობა, ამ გაჭირვებისას ბევრმა მიაშურა სოფელს, თორემ არ მეგონა, ამდენი სოფლად თუ ცხოვრობდა.

მერე იცით, რამდენი შეშა სჭირდება ამდენ ხალხს? 7 მილიონი კუბური მეტრი შეშა მაინც უნდა წლიურად; აბა, სვანეთსა და რაჭის მთებში, თუნდაც სხვაგან, კაცი უშეშოდ გაძლებს?

ამის გარდა, აგერ ვაკესა და ვერაზეც კი ხმარობენ შეშას. სხვა პატარ-პატარა ქალაქებზე რომ არაფერი ვთქვათ...

... ჩემს დროს ანგარიშობდნენ, რომ საქართველოს ტყეების წლიური შემატება 3,5 მლნ კბმ-იაო.

გამოდის, რომ დღეს 2-3-ჯერ მეტი მაინც იჭრება იმაზე, რაც ჩვენს ტყეებს შეუძლია.

ეს კი ნამდვილი უბედურებაა და არა მგონია, ბატონმა ედუარდმა ეს არ იცოდეს.

თუ არა და მაშინ მისი მრჩევლები მართლა მოიკოჭლებენ ეკონომიკაშიც და ტყის საქმეშიც.

... გაიარეთ, შვილო, აგერ ქართლის ან კახეთის გზებზე — გზისპირა გამწვანება და ქარსაფრები სულ მთლად გაჩეხილია;. ახლა ტყეები რა დღეში იქნება! და ამის შემდეგ ტყის გაყიდვა იქნება საზღვარგარეთ?

ამას წინათ ერთი გაზეთი წერდა — ჩვენი ტყეები უცხო ქვეყნებში ხე-ტყის გაზიდვას ვერ აიტანსო; მეორე გაზეთი კი ამბობდა, ბოლო წლებში ჩვენმა ტყეებმა 15 პროცენტით მოიმატაო.

ისე, ბოლო ათ წელში რაც ჩვენ ტყეები ვჭერით, ამის შემდეგ თუ მართლა მოიმატა, მაშინ მე მართლაც არაფერი გამეგება ტყისა...

... ჩვენი ელექტროენერგიის მამები ამბობენ — 2000 წლამდე ჩვენი იმედი ნუ გექნებათ და გასათბობად ისევ ტყის იმედზე იყავითო; თუმცა მის შემდეგ რისი იმედი უნდა გვქონდეს, არც ესაა მთლად ნათელი.

... ამის შემდეგ დასკვნა თქვენ გააკეთეთ, გავყიდოთ თუ არა ხე-ტყე უცხოეთში.

**საუბარი ჩაიწერა**
**ქეთინო გეჯაძემ**

---

# აფხაზები და აფსუები

***„ქრისტიანი აფხაზები ქართველებია, წარმართი აფხაზები — ჩრდილოეთ კავკასიელები".***

**ევლია ჩელები (XVII ს.), თურქი მოგზაური.**

აფხაზთა ეთნოგენეზისის საკითხში ყველა გაუგებრობის თავი ისტორიულ აფხაზთა (ქართველთა) და ჩრდილოკავკასიელ აფსუათა (აბაზთა) ერთ ეთნოსად წარმოდგენის აბლაბუდას ქსელში იმალება.

სინამდვილეში აფხაზეთის ავტოქტონური მოსახლეობა — ისტორიული აფხაზები და აფსუები — ორ სხვადასხვა ეთნიკურ წრეს ეკუთვნიან და არავითარი საერთო გენეტიკური წარმომავლობა არ გააჩნიათ. აფსუათა დღევანდელ აფხაზეთში ჩამოსახლების საწყის თარიღად XVI საუკუნე უნდა ჩაითვალოს, რადგან მანამდე საქართველოს შავიზღვისპირეთში ადიღეური ეთნიკური ელემენტების არსებობა არანაირი ფაქტებით არ დასტურდება. თუმცა გამორიცხული არაა, რომ მანამდე ადგილი ჰქონდა ცალკეული ოჯახების მიმოქცევას კავკასიონის წყალგამყოფი ქედის ორივე მხარეზე. მაგრამ მათი არავითარი კვალი არ ჩანს არც ერთ სფეროში. ამ შემთხვევაში ისინი, ცხადია, ქართულ ეთნიკურ პროდუქტად იქცნენ. ან რატომ უნდა ვეძებდეთ ანტიკურ ხანაში ადიღეურ-აბაზურ-აფსუური მოდგმის ხალხს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, როდესაც გაგვაჩნია XV-XVI სს. ამ მხარის მოსახლეობის გვარჩამომავლობითი ნუსხები, სულთა მატიანეები (ბიჭვინთის დიდი იადგარი, ბიჭვინთის დიდი დავთარი, აფხაზეთის საკათალიკოსო სამწყსოს მეკომურთა აღწერები, შეწირულობების წიგნები, აფხაზეთის ეკლესია-მონასტერთა ყმა-მამულების ნუსხები და სხვა წერილობითი ძეგლები), რომელთა მიხედვითაც 1621 წლამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები 250-ზე მეტი გვარიდან არც ერთი ადიღურ-აფსუური არ არის, ყველა ისინი ქართულია (ძირითადად მეგრული). მხოლოდ XVII საუკუნის პირველ მეოთხედში ჩნდება გვარები: ზვანბაია, ლაკირბაია (ბზიფში), შამბაია (სოფელი ჭალა, დღევ. ჭლოუ). ამ გვარების ნუსხა უკვე გამოვაქვეყნეთ (იხ. თ. მიბჩუანი, აფხაზეთის მოსახლეობა XVII საუკუნემდე, გაზ. „ლს", 21-28 ივლისი №29-30 1995).

არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ 1559 წლის შავი ზღვის აუზის რუკაზე, რომელიც ესპანეთის სამეფო კარის კარტოგრაფის დიეგო ჰომემის მიერ არის შედგენილი, არც ერთი ადიღეურ-აფსუური გეოგრაფიული სახელი არაა დაფიქსირებული არამცთუ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, არამედ ამჟამინდელ სოჭის რაიონშიც კი. ყველა ეს გეოგრაფიული სახელი ქართულია (ძირითადად მეგრული). იგივე ითქმის XVII საუკუნემდე შედგენილ სხვა რუკებზეც, რომელთა გამოქვეყნებას აფხაზი ავტორები თავს არიდებდნენ. დასახელებულ რუკაზე აფხაზეთს „სამეგრელო" ეწოდება.

იმ ისტორიულ აფხაზთა შთამომავლები არიან ის გააფსუებული აფხაზები, რომლებიც დღემდე ატარებენ ქართულ გვარებს (აბაკელია, ადამია, აკობია, ანუა, ანჩაბაძე, არდაშელია, ბარქაია, ბარკალაია, ბახია, ბენია, ბერულავა, ბესელია, ბიგვავა, გვაძაბია, გვარამია, გეგენავა, გუბლია, გურგულია, დავითაია, დამენია, დუმავა, კოლონია, კუპრავა, ლაბაზუა, ლაგვილავა, ლასურია, ლომია, მარხოლია, კონჯარია, კილასონია, ბერაია, მარშანია, პაპასკირი, პაპასკუა, ტყებუჩავა, კაშია, შარვაშიძე, შარია, ხარებუა, სალარია, ჩხოტუა და სხვ.). ხოლო ადიღეური მოდგმის გააფხაზებული აფსუები სრულიად განსხვავებულ გვარებს ატარებენ (აბგაუ, ავიძბა, აკაბა, აბუხბა, ადლეიბა, აიბა, აყუსბა, არძინბა, აძიბა, არშბა, ბლაუბა, ბუთბა, გიცბა, დელბა, ეშბა, ლეიბა, მაცბა, ნანბა, ოტირბა, საძბა, ტარბა, შამბა, შინკუბა, ძიბა, ცვიუბა, ხინტყა და სხვ.). ქართული გვარის მატარებელ აფხაზებს მოგვარეები ქართველებში ჰყავთ, აფსუურ გვარის მატარებლებს ნათესავები ჩრდილოეთ კავკასიაში ეგულებათ. სულ სხვაა, რომ ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები ძირძველი აფხაზები (ქართველები) და ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსული აფსუები დროთა განმავლობაში დანათესავდნენ, მაგრამ მათ შორის ეთნიკური სხვაობის ნიშანი დღესაც არაა გამქრალი. ამ თვალსაზრისით აფხაზი სეპარატისტებისა და მათი დამქაშების მიერ საკითხის გაბუნდოვანება გარკვეული პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარეობს, რასაც ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი არამცთუ კრიტიკულად არ ეკიდება, არამედ ამაში აფხაზ სეპარატისტებს სოლიდარობასაც კი უცხადებს. ამის შედეგია რუსულ საცნობარო ლიტერატურაში გაბატონებული აზრი: „აფხაზები" (საკუთარი სახელწოდება — აფსუა"). იგივე მეორდება ქართულ საცნობარო ლიტერატურაში, მათ შორის ენციკლოპედიაში. ამით თავსაც ვიტყუებთ და სხვასაც ვატყუებთ. ეს სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერული უმეცრობა, ან გულუბრყვილობა, ან კიდევ საკითხისადმი ზერელე დამოკიდებულება.

განა დიდი ნიჭი, ალღო და ცოდნაა საჭირო იმისათვის, რომ ეს ორი სხვადასხვა ხალხი, თუნდაც გვარების მიხედვით, ერთმანეთისაგან განვასხვაოთ? დღევანდელი აფხაზების დაახლოებით 80 ქართულ გვარ-მოდგმას ეკუთვნის. დანარჩენებიც აბაზ-აფსუებთან ერთად გააფსუებული ლაზები, თურქები, სპარსელები, ხანგები და რუსები არიან. ქართულ-აფსუური გვარების ერთი და იმავე ეთნოსიდან წარმომავლობის არც მეცნიერული და არც ლოგიკური საფუძველი არ არსებობს. ასეთი ელემენტარული საკითხის არგაგება სამეცნიერო ტიტულის მქონე მკვლევართათვის, ყოვლად გაუგებარია.

„აფსუა" აფხაზთა საკუთარი სახელი კი არა, ნამდვილი სახელია ჩრდილოეთ კავკასიიდან გვიან შუა საუკუნეებში ჩამოსახლებული ადიღურ-აბაზური მოდგმის ხალხისა და არა მთლიანად აფხაზების. ამ ხერხით აფსუებმა შესძლეს ტერმინ „აფხაზის" ქუდქვეშ მოკალათება, რის საფუძველზეც შექმნეს რა ანტიქართული იდეოლოგია, ხალხთან (ისტორიულ აფხაზებთან) ერთად ტერიტორიაზეც მიითვისეს და დღეს ხმამაღლა აცხადებენ, რომ ჩვენ ადიღეური მოდგმის აფხაზები, ამ ტერიტორიის აბორიგენები ვართო და სხვ.

აფსუები დღესაც აბაზურ ენაზე მეტყველებენ, რასაც რატომღაც აფხაზური უწოდეს. ისტორიულ აფხაზთა აბსოლუტური უმრავლესობა ბრწყინვალედ ფლობს ძველ მშობლიურ მეგრულ ენას. უმცირესობამ აფსუურიც იცის.

ისტორიულ აფხაზთა (ქართველთა) გააფსუება აწყობდათ თურქებს, (ვისი გავლენის ქვეშაც აფხაზეთი იმყოფებოდა XVI-XVIII საუკუნეებში) და შემდგომ — რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას.

200-300 წელია, რაც ძირძველ აფხაზთა (ქართველთა) ადიღეურ ეთნიკურ ნიადაგზე მოქცევა მიმდინარეობს, მაგრამ იგი დღესაც არ არის დასრულებული. ვინც ეს სიმართლე აღიარა, მას ისევ ჩვენ ავუმხედრდით. სამურზაყანოელები (გალის რაიონი) XIX საუკუნეშიც კი, როცა იქ არც ერთი აფსუა არ ცხოვრობდა, საკუთარ თავს აფხაზებს უწოდებდნენ, ენგურს გამოღმა მეგრელები ოდიშელებად იყვნენ ცნობილი და ა. შ. რაზე მეტყველებენ ეს ფაქტები, თუ არა იმაზე, რომ ისტორიული აფხაზები — ქართველები (ძირითადად მეგრელები) იყვნენ?!

**ამდენად, ისტორიულ აფხაზთა და აფსუათა ეთნიკური იდენტურობა აბსურდია და იგი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.**

ხელოვნურად შექმნილ აბლაბუდას ქსელში ორიენტაციას უფრო ადვილად კარგავენ დილეტანტები, რომელთა მოძალება ისტორიული მეცნიერებისადმი საგრძნობლად შეიმჩნევა. ისინი პროფესიონალ ისტორიკოსებზე უფრო პრეტენზიულნი არიან. მათ რიცხვს ეკუთვნის ინჟინერი გ. ერაძე, რომელმაც ცრუმეცნიერული ვარჯიშობებით უფრო გაითქვა სახელი, ვიდრე საკუთარი პროფესიით. ბ-ნ გ. ერაძე თავის თავს ყველა დროის ისტორიკოსსა და ენათმეცნიერზე მაღლა აყენებს და ერთნაირი სიმკაცრით „მუსრს ავლებს" ძველი თუ ახალი თაობის სხვადასხვა პოზიციის მქონე მკვლევარებს: ივ. ჯავახიშვილს, არ. ჩიქობავას, ქ. ლომთათიძეს, გ. მელიქიშვილს, ზ. ანჩაბაძეს, პ. ინგოროყვას, მ. იმნაძეს, ალ. ონიანს, ეპისკოპოს ანანიას, ბ. თავაძეს, რ. ჩხეიძეს, თ. მიბჩუანს, ბ. ჭყონიას, დ. გოგოლაძეს და სხვ. ინჟინერი გ. ერაძე წერს: „მათი მტკიცებულების მიმართულებას ერთი საერთო დედააზრისაკენ მივყავართ: „ძველი" აფხაზები არის მოსხი, ხოლო აფსუად წოდებულნი არიან აფხაზეთში ჩრდილოეთიდან XVII საუკუნეში გადმოსულნი. აფხაზი არ უდრის აფსარს" (აფსუას) (ჟურნ. „რიწა", 1996, № 3-4).

მიუხედავად იმისა, რომ ადრე იგი ამ აზრს თითქოს დიდი მონდომებით „ასაბუთებდა", ამჯერად აღნიშნულ მეცნიერთა ასეთ პოზიციას ბ-ნი გ. ერაძე უკვე არ იზიარებს და იქვე კატეგორიულად აცხადებს: „ვდგები რა „აფსუათა პოზიციაზე", ლოგიკურად მებადება კითხვა, ახალი თაობის ისტორიკოსებთან (იგულისხმებიან: ალ. ონიანი, ეპისკოპოსი ანანია, ბ. თავაძე, რ. ჩხეიძე, თ. მიბჩუანი, ბ. ჭყონია, დ. გოგოლაძე და სხვ. თ. მ.): მაშინ რა ვუყოთ „ფს" და „ბზ" ბგერათკომპლექსიდან აღმოცენებულ შავიზღვისპირეთის უძველეს ტერმინოლოგიურ ოაზისებს? რა ვუყოთ „ქართლის ცხოვრებაში" ნათქვამ ფრაზას: „ბედსა და სვესა ზედა ლაშას, რომელი განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა ენითა", თამარ მეფის ვაჟის დაბადებას რომ მიუძღვნა (ლაშ) ქრობა ქართულმა მხედრიონმა?"

დააკვირდით, რა კონტექსტში ხმარობს სიტყვას „ლაშქრობა", რაც მისსავე მოსაზრებებს ეწინააღმდეგება, რადგან ბ-ნი გ. ერაძე ყველაფერის ამოსავალს თითქოს ქართულში ეძებს, მაგრამ საბოლოოდ ყოველივეს ადიღეურის სასარგებლოდ წყვეტს. ბ-ს გ. ერაძის აზრით, რადგან თამარ მეფის შვილს ზედსახელად „ლაშა" შეარქვეს, რომელიც აფსართა ენის კუთვნილებაა, ეს თურმე იმას ნიშნავს, რომ ისტორიული აფხაზები იგივე აფსარები (აფსუები), ანუ ადიღეელები არიან. მაგრამ ბ-ონ გ. ერაძეს იმედი უნდა გავუცრუოთ და მოვახსენოთ, რომ სწორედ ეს ცნობაა ყველაზე ნათელი დადასტურება იმისა, რომ ისტორიული აფხაზები აფსარები არ არიან.

აღნიშნული ცნობა ეკუთვნის თამარ მეფის ანონიმ ისტორიკოსს, რომელიც ავტორია შესანიშნავი თხზულებისა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი". მართალია, ქართველი მემატიანეები ბევრ რაღაცაში სცოდავენ, მაგრამ XIII საუკუნის ზემოთ დასახელებული ავტორი ამ შემთხვევაში არ ცდება. მისი ცნობით „ლაშა" რომ აფსართა ენის კუთვნილებაა და არა აფხაზთა, ეს კვლავ იმაზე მიუთითებს, რომ აფსარები სხვა ხალხია, აფხაზები კიდევ სხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში მემატიანე დაწერდა „აფსართა და აფხაზთა ენითა". XIII საუკუნეში და მანამდეც, არამცთუ ქართველმა, უცხოელებმაც იცოდნენ, რომ „აფხაზი" ქართველს ნიშნავდა. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი ფაქტებიც: „იბერები და აბაზგები ერთი ტომისანი არიან" (იოანე ცეცე, XII ს. ბიზანტიელი კომენტატორი და ფილოსოფოსი);

„აფხაზეთი ქვეყანაა, გურჯებად წოდებული ქრისტიანი ხალხით დასახლებული". (იაკუთი, XII ს. არაბი ავტორი);

„სოხუმი, ამბობენ გურჯთა ქვეყნის ნაწილია" (არაბი ავტორი, ალ-კაკაშანდი, XIII-XIV სს.);

„სოხუმი საქართველოს ქალაქია" (არაბი ავტორი, აბულ ფიდა, XIII-XIV სს.);

„აფხაზეთის მეფეები ქართლის მეფის ვახტანგ გორგასლის ნაშიერნი არიან" (სომეხი მემატიანე ვარდან ვარდაპეტი, XIII ს). მეზობელმა სომეხმა სწავლულმა ნუთუ არ იცოდა, რომ „აფხაზეთი" და „ქართლი" ერთი და იგივე არ იყო. ან რატომ უწოდებს XV საუკუნის რუსი მოგზაური, ათანასე ნიკიტინი სოხუმს „გრუზინსკაია ზემლია"-ს; ან რატომ წერს დიდი ქართველი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი, ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.); „აფხაზები ეგრისის ჩამომავალნი არი-




(გაგრძელება მე-8 გვ.)

# მეფე ერეკლეს ტრაგედია და დღევანდელობა

## ანუ საქართველოს დღესაც ისევე უკიდია ცეცხლი, როგორც აღამაჰმადხანობის დროს

ახლახან შესრულდა 200 წელი ტრაგიკული ბედის მქონე ქართველთა გმირი მეფის, ერეკლე მეორის გარდაცვალებიდან. საქართველოს ისტორიის ეს დიდად მნიშვნელოვანი თარიღი ჩვენში, სამწუხაროდ, ისე არ აღინიშნა, როგორც საქართველოს ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო მოღვაწის ნათელ ხსოვნას ეკადრება.

ერეკლე მეორეს მეტისმეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მოუხდა მოღვაწეობა. XV საუკუნიდან სამეფო-სამთავროებად დაშლილმა საქართველომ ასე თუ ისე გაუძლო ირანის, თურქეთის და მათგან მოსეული ლეკების შემოტევებს; მაგრამ როდესაც რუსეთის იმპერიამაც საბოლოოდ გადაწყვიტა საქართველოში გაბატონება და ამ მიზნით ერთობ ჩახლართული დიპლომატიური საქმიანობა გააჩაღა ერთმორწმუნე საქართველოს გადარჩენის ნიღბით, სისხლისაგან თითქმის დაცლილ ქვეყანას აღარ ეყო ძალა, მოყვრულად მოსულ მტერსაც გამკლავებოდა და მის კლანჭებში აღმოჩნდა. ერეკლე მეორემ ჯეროვნად ალღო ვერ აუღო რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ თუ დიპლომატიურ სვლებს, რის შედეგადაც საქართველო რუსეთის ხელისუფლების მიერ დაგებულ მახეში გაება. ფაქტია, რომ ერეკლეს ერთი წუთითაც არ უფიქრია, რუსეთის იმპერია თუ სამიათასწლოვან ქართულ სახელმწიფოებრიობას მოსპობდა, ეს არ მომხდარა ირან-თურქეთის ბატონობის დროს და ერეკლემ ვერ დაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ ერთმორწმუნე, შევიწროებულ ქრისტიანთა მფარველად მიჩნეული რუსეთი დაამხობდა საქართველოს სამეფო ტახტს.



XVIII ს-ის საქართველო მაჰმადიანურ გარემოცვაში იყო მოქცეული (სომხეთში სომხური სახელმწიფო XI საუკუნიდან აღარ არსებობდა) და, ბუნებრივია, ჩვენი ქვეყანა ეძებდა ქრისტიან მოკავშირეს, მფარველს, რადგან ძალზე ძნელი იყო მაჰმადიან დამპყრობთა წინააღმდეგ დაუსრულებლად ბრძოლა, ცალ ხელში გუთნის, ხოლო მეორეში ხმლის ჭერა. ვინაიდან ევროპის ქვეყნების ხელისუფალნი არ იჩენდნენ ინტერესს საქართველოსადმი, ქართველი ხელმწიფენი იძულებულნი ხდებოდნენ რუსეთისაკენ მიემართათ მზერა, თუმცა ამ მხრივ XVI საუკუნიდან მოყოლებული მათ არაერთხელ გაუცრუვდათ იმედი. ისიც უნდა ითქვას, რომ მთლად მისაღები არ არის ჩვენში გავრცელებული მოსაზრება, თითქოს საქართველოს მიერ რუსეთზე ორიენტაციის აღებას მოჰყვა შედეგად ლეკიანობა საქართველოში. ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის პრობლემა ყოველთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩვენს ისტორიაში. როცა საქართველო ძლიერი იყო, ჩრდილო კავკასიასთან ურთიერთობასაც შედარებით ადვილად აგვარებდა, მაგრამ, როდესაც დამპყრობელი მძლავრობდა, იგი თავისი პოზიციის განსამტკიცებლად ზოგჯერ ჩრდილო კავკასიელთა ერთი ნაწილის გადაბირებასაც ახერხებდა. მას შემდეგ, რაც მამა-შვილი თეიმურაზი და ერეკლე გამეფდნენ ქართლ-კახეთში და საქართველოს გაძლიერების, „გამოხსნისა და აღდგომის“ შესაძლებლობა გაჩნდა, XVIIIს-ის შუა ხანებში თურქეთმა და მეზობელმა სახანოებმა დაიქირავეს ლეკთა დიდრონი რაზმები და ქართლ-კახეთს მიუსიეს. ეს მოხდა იმიტომ, რომ მათთვის ერთნაირად მიუღებელი იყო, საქართველო საკუთარი ძალებით დადგებოდა ფეხზე, თუ სხვისი მხარდაჭერით. გაძლიერებული საქართველო დაკარგული მიწა-წყლის, მაგ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაბრუნებაზე ფიქრობდა. ამიტომ მტერი ყოველი ღონით ცდილობდა მოსულიერებული საქართველო დაუყოვნებლივ კვლავ გაესწორებინა მიწასთან.

ერეკლე მეორე ტრაგიკული პიროვნებაა იმიტომ, რომ მან თავისი დიდი ნიჭი და უნარი შესწირა საქართველოს მკვდრეთით აღდგომას, თვალსაჩინო წარმატებებიც მოიპოვა ქვეყნის საკეთილდღეოდ, მის დაუცხრომელი მოღვაწეობის შედეგად გაძლიერდა ქართული სახელმწიფო, მაგრამ რუსეთის ხელისუფლების ბნელმა საქმიანობამ იმსხვერპლა საქართველოს თვითმყოფადობა და ამაში ბრალი, მისდაუნებურად, ერეკლესაც ედება, საქართველოს ტრაგედია მის სახელს უკავშირდება. ცხადია, საქართველოს დამხობაში საგარეო ფაქტორებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს, მაგრამ იმასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ქვეყნის შიგნითაც არაერთმა მწვავე პრობლემამ იჩინა თავი. ხშირად საგარეო ფაქტორებიც ხელს უწყობდა, განაპირობებდა შინაგანი სენის გაღრმავება-გამწვავებას, ისინი ერთმანეთს იყვნენ გადაჯაჭვულნი.

ალა-მაჰმად-ხანის საქართველოდან წასვლის ორიოდე კვირის შემდეგ [illegible] თუმანიშვილი წერდა სულხან და მანუჩარ თუმანიშვილებს (სამივე მათგანი დაწინაურებული იყვნენ ერეკლე მეორის სამსახურში): „ბატონი (ერეკლე-ა. ა.) თიანეთს წაბრძანდა, თავი ვერ დავახწიე, თან ვიახელ. აქ დარჩა ჩვენი ყუთები, დამტვრეული და უკლიტო, საბლებით შემიკრავს და თვითეულად დამიწერია. აქ დუშეთს მიშკარბაშს და ქალუას მივაბარე... თქვენ რომ მობრძანდებით, მე კი წამოვალ. თუ იშოვნოთ, ცოტა თეთრი წამოიღე ქალაქისა, კარგი დრო არის, ეგების ცოტათი ბევრი ვიშოვოთ“. ეს თუმანიშვილები წარმოშობით სომხები იყვნენ (არსებობდნენ ქართული წარმოშობის თუმანიშვილებიც). ცნობილია, თუ რა საშინელება დაატრიალა ალა-მაჰმად-ხანმა საქართველოში (საქართველოს „მფარველი“ რუსეთის იმპერია ამას შორიდან უცქერდა, მას ხელს აძლევდა კიდეც ქართლ-კახეთის აოხრება, რათა დაუძლურებული ქვეყანა ადვილად დაეპყრო). ერეკლე მეორის ზოგიერთი მოხელე ცდილობდა, ხელი მოეთბო იმ ცეცხლზე, რომლითაც იწვოდა საქართველო. რაღა თქმა უნდა, ასეთი ხალხი ჯაშუშად დაუდგებოდა, როგორც ალა-მაჰმად-ხანს, ასევე რუსეთის იმპერიასაც, საქართველოს გაჰყიდდა ყველა შემთხვევაში, ოღონდ საზღური, გასამრჯელო, ოცდაათი ვერცხლი მიეღო.

კრწანისის ომში ალა-მაჰმად-ხანს საქართველოს მოღალატეებიც რომ მიეშველნენ, ამის თაობაზე ნ. ბარათაშვილიც ხომ იუწყება: „იუდა ჟამს ეძიებდა!“ მთიულეთში გახიზნულ ერეკლესთან მისულან განჯის ხანის, ჯავადის ელჩები. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, უკან დაბრუნებულ ჯავადის ელჩებს მოუხსენებიათ ალა-მაჰმად-ხანისათვის: „ჩვენი არა ნებავდათ გამოტევება (ამ დროს ერეკლე ახალ ჯარს აგროვებდა მომხვდურის წინააღმდეგ საბრძოლველად-ა. ა.) ... მაგრამ იდუმალ მოვიდეს ჩვენ თანა მახლობელნი ვინმე კაცნი მეფისანი, რომელნიცა არიან მეგობარ ჯავად-ხანისა და დაფარვით ღამე გამოგვიტევეს მათ“. მაშასადამე, ერეკლე მეორის სამეფო კარზე ჯავად-ხანსაც კი ჰყოლია აგენტები და მით უფრო ამას მოახერხებდნენ ალა-მაჰმად-ხანი და რუსეთის იმპერიის ხელისუფალნი. ჯავადის აგენტებიც ამავე დროს ხომ ალა-მაჰმად-ხანის აგენტებიც იყვნენ. შეიძლება გვითხრან, რაღა სხვაგან ეძებ მოღალატეებს, კრწანისის ომში ერეკლეს შვილებმა ჯარი არ მიაშველეს და განა ისინიც მოღალატეები არ არიანო? ალბათ, მთლად ასეც არაა საქმე.

მართალია, 1783 წ. რუსეთ-საქართველოს (ქართლ-კახეთის სამეფოს, შორის ტრაქტატის დადების შემდეგ ჩვენი ქვეყნის ბედი უკუღმა დატრიალდა, სხვადასხვა დედისგან შობილი ერეკლეს ვაჟებიც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სამეფო ტახტისთვის, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართლ-კახეთში ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის წინ გავრცელდა ხმები (ალბათ, გარეშე მტრის მოქმედების შედეგადაც), ალა-მაჰმად-ხანის ჯარი და ლეკთა დიდძალი რაზმები ქართლ-კახეთს ყოველის მხრიდან შემოესევიანო. აქედან გამომდინარე, დაასკვნეს, რომ ქართლ-კახეთის ყოველი კუთხე დაცული უნდა ყოფილიყო. ამის გამოც ვერ მოაშველეს ბატონიშვილებმა ჯარი ერეკლეს. ცნობილია, რომ გიორგი XII კრწანისის ომის დროს თავისი ჯარით სიღნაღში იდგა, მაგრამ მისი ვაჟები მხარში ედგნენ ერეკლეს და ბრძოლის ველზე ტყვედ ჩავარდნისაგანაც იხსნეს მოხუცი სარდალი. წარმოუდგენელია გიორგი XII და მისი ვაჟები განსხვავებულ პოზიციაზე მდგარიყვნენ ერეკლესთან დამოკიდებულებაში კრწანისის ომის ჟამს. გარდა ამისა, ქართველები ბოლომდე იმედოვნებდნენ, რომ რუსეთის ხელისუფალნი მათ ჯარს მოაშველებდნენ ალა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ეს ნუგეშისმცემელი იმედი იყო.

ერეკლე მეორემ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ქვეყნის „დიდ ფეოდალებს“, რომლებიც [illegible] მოღალატური მოქმედებით საქართველოს უფსკრულისკენ მიაქანებდნენ. [illegible] მაგრამ იმდენად ფესვგადგმული



იყო ქვეყნის დამღუპველი შინაგანი სენი, რომ იგი ყოველთვის ვერ ახერხებდა განეხორციელებინა თავისი კეთილშობილური მიზანი.

გავიხსენოთ ისიც, რომ XVI-XVIII სს. გარეშე მტრისგან დაქუცმაცებულ, დაუძლურებულ საქართველოში ფართოდ მოიკიდა ფეხი ერთ-ერთმა ყველაზე უფრო საშინელმა ჭირმა — ტყვის სყიდვამ. შექმნილ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში მრავალი ქართველი გადაგვარდა. ისინი იტაცებდნენ თავიანთ თანამოძმეებს, რომლებიც უცხო ქვეყნების ტყვეთა ბაზრებზე იყიდებოდნენ.

შიოშ, სულხან და მანუჩარ თუმანიშვილების, აგრეთვე თანამოძმეების მომტაცებელი და მონებად გამყიდველი ქართველების მსგავსნი, სამწუხაროდ, მრავლად არიან დღევანდელ საქართველოშიც. ისინი მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ფიქრობენ და ქვეყნის ინტერესები არაფრად, გახვრეტილ გროშადაც არ უღირთ. საქართველოს დღესაც ისევე უკიდია ცეცხლი, როგორც ალა-მაჰმადხანობის დროს. რუსეთის იმპერიის ორასწლიანი ბატონობა კარგს რას მოუტანდა ჩვენს ქვეყანას!

ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი დღესაც ისევე ცდილობს ამ ცეცხლზე ხელის მოთბობას, როგორც ხსენებული თუმანიშვილები და ძმანი მათნი ცდილობდნენ. სავალალოა, რომ ეს ითქმის საქართველოს თანამედროვე ინტელიგენციის ერთ ნაწილზეც, კერძოდ, ზოგიერთ პროფესორსა და აკადემიკოსზეც (ამ ფენას სხვა წრეებზე უკეთ ვიცნობ, თავადაც მიწვნევია მათი არაერთი უსამართლობა). ისინი ყოველი ღონით ცდილობენ, საკუთარ დუქნებად გადააქციონ ის სამეცნიერო, ეროვნული დაწესებულებები, რომელთა თავკაცობა საბჭოთა კავშირის არსებობის დროს საეჭვო გზებით ჩაიგდეს ხელში. მიმდევრებსაც, ტაშის დამკვრელებსაც საგანგებოდ ირჩევენ — XXI საუკუნეში საქართველოს ხომ უნდა დაუტოვონ „ღირსეული“ მემკვიდრეები. ქვეყნის, ხალხის უკიდურესი გაჭირვების ჟამს სახელმწიფოს მიერ მეცნიერების გადასარჩენად, კერძოდ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისთვის გამოყოფილ გრანტებსაც ისე ანაწილებენ, როგორც მოეპრიანებათ. ეროვნულ საქმეზე ფიქრით თავი რატომ უნდა გაიცხელონ. შესაძლებლობა რომ იყოს, ისინი ხელის აუკანკალებლად გაყიდნენ ტყვეთა ბაზრებზე იმ მეცნიერებს, რომლებიც თვალში არ მოსდით იმიტომ, რომ მათ შეიძლება სიმართლე წამოსცდეთ. ერთ ასეთ მეცნიერს ჩაუგდეს თემა: „ჯავახეთი ძვ. წ. II საუკუნიდან დღემდე“. ამასთან, გრანტი მისცეს ისტორიის ინსტიტუტის 83 თანამშრომელს. [illegible] ერის იმედითაც აღარ მიაჩნიათ ცა ქუდად და დედამიწა ქალამნად!

რა თქმა უნდა, დიდ უხერხულობას ვგრძნობ, რომ ასეთ საჩოთირო საკითხებზე საუბარი დავუკავშირე ერეკლე მეორის ბრწყინვალე სახელს, მაგრამ იგი ჩვენთვის სამართლიანობის სიმბოლოცაა და, ბოლოს და ბოლოს, საქართველოში ხომ უნდა იზეიმოს სამართლიანობამ, რისთვისაც უამრავმა ქართველმა გასწირა თავი. ჯერჯერობით კი მხოლოდ იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ისევე, როგორც XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველო დაემხო შინაგანი სენის შედეგადაც, XX-XXI სს-ის მიჯნაზეც ჩვენს ქვეყანას არაფერი ეშველება, თუ არ მოხდა საზოგადოების სულიერი, ზნეობრივი გაჯანსაღება.

**ალექსანდრე აბდალაძე**

# ახალი ამბები

### რჩეულიშვილის შეფასებები პრეზიდენტისას ხშირად ემთხვევა

*გეა-ს კორესპონდენტი ესაუბრა სოციალისტთა ლიდერს ვახტანგ რჩეულიშვილს:*

**– როგორია თქვენი დამოკიდებულება 31 მარტისადმი? თქვენი აზრით, რა შეიცვალა ბოლო შვიდი წლის მანძილზე საქართველოში?**

– საქართველომ და ჩვენმა საზოგადოებამ დიდი ნაბიჯი გადადგა მოვლენათა თუ პიროვნებათა შეფასებებში. უკვე ერთმანეთს უახლოვდება ისეთი დაპირისპირებული ძალების პოზიციები, როგორიცაა ძველი და ახალი პარლამენ-



ტის წარმომადგენლები. წინათ ერთი მხარე „ზვიადისტების“ აქციებს აფასებდა როგორც მიტინგომანიას, მეორე მხარე იმ ხალხს, რომელსაც ეროვნულ მოძრაობაში არ მიუღია მონაწილეობა, კომუნისტური მენტალიტეტის მქონეს უწოდებდა. დღეს მოხდა მათი დაახლოება, როცა ყველამ მაღალი შეფასება მისცა რეფერენდუმსაც და იდეოლოგიური ბრძოლის ქაფისაგან გაიწმინდა ეს ისტორიული მოვლენაც.

უნდა შევეჩვიოთ, რომ ისტორიიდან ვერ ამოვგლეჯთ იმ პერიოდს, რომელიც შეიძლება არ მოგწონდეს, მაგრამ როცა მე ვამბობ ამას თუნდაც ჩემს კაბინეტში იმ სამი სურათის ჩამოკიდებით - ერთია, ხოლო როცა ამას ამბობს სახელმწიფოს პრეზიდენტი, ეს უკვე სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი საკითხია. ამიტომ არის, რომ მისი პარტიის მიმართ შეიძლება ცივი დამოკიდებულება მქონდეს, პრეზიდენტის მიმართ კი, პირიქით, ყოველთვის ნორმალურ ურთიერთობას ვინარჩუნებ, იმიტომ, რომ ძალიან ბევრ საკითხებში ჩვენი შეფასებები ემთხვევა.

მე კმაყოფილი ვარ პრეზიდენტის სიტყვისაც და ამ დღის ასე აღნიშვნისაც. ღმერთმა ქნას, ყველა პოლიტიკური მოვლენების შეფასებისას ის იდეოლოგიური ქაფი მოგვეცილებინოს, ჩვენ კი შეგვძლებოდეს ყველა პოლიტიკური მოვლენის პირუთვნელად შეფასება, ეს იქნება 1991-92 წლების მოვლენა თუ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში შესვლა. ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ, მაგრამ არა მარტო მტრობისა და იდეოლოგიური დაპირისპირების საფუძველზე, არამედ რეალური შეფასებების პოზიციებიდან.

**– როგორია თქვენი დამოკიდებულება იმ ფაქტისადმი, რომ დღეს 7 წლისთავი იმ ადამიანების გარეშე აღინიშნება, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით მის ჩატარებაში?**

– როგორც ჩანს, ჯერ შერიგების პროცესი იმ სტადიაში არ შესულა, რომ ისინიც ყოფილიყვნენ აქ. მე კი სიამოვნებით ვიხილავდი აქ მუხრან მაჭავარიანსა და სხვა მნიშვნელოვან პიროვნებებს, რომლებსაც პირობითად „ზვიადისტებს“ ვეძახით. თუ ასეთი ნაბიჯები გადაიდგა, რაც დღეს პრეზიდენტის სიტყვაში გამოიკვეთა, მე ღრმად მწამს, რომ იგივე დარბაზში ჩვენი მომავალი შეხვედრისას ნამდვილად იქნებიან ღირსეული წარმომადგენლები იმ მოძრაობისა, რასაც „ზვიადიზმი“ ჰქვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა გველის ამ ბიუროკრატთა ხელში?

ჩვენთან რომ ბევრი რამ ხდება კურიოზული, ეს ახალი ამბავი არაა და თითქოს შევეჩვიეთ კიდეც ამას, მაგრამ ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტის განკარგულებას არად აგდებენ, ეტყობა, ყველაფერი რიგზე არ არის. ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში მკითხველს გავაცანით ბუნების დაცვის საზოგადოების გასაჭირი და ისიც ვაუწყეთ, რომ ქვეყნის პირველი პირი შეეცადა მრუდე სამართლის გასწორებას, მაგრამ ქვემდგომმა ინსტანციამ, ანუ, ამ შემთხვევაში, მერიამ, ეს არ ისურვა.

თუმცა მიმდინარე წლის 21 მარტს ქალაქის მერიაში გამართულ პრესკონფერენციაზე ქალაქის მერმა შეწუხებულმა ისაუბრა ბუნების დაცვის საზოგადოების სატკივარზე და ჟურნალისტებს დაპირდა პრობლემის მარტის ბოლომდე მოგვარებას. მარტი მიიწურა, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. როდესაც ასეთი რანგის სახელმწიფო მოხელე სიტყვას არ ასრულებს, შემაშფოთებელია და ამიტომაც გადავწყვიტეთ, მცირე ჟურნალისტური მოკვლევა ჩაგვეტარებინა.

იმავე პრესკონფერენციაზე გამოითქვა „მოსაზრება“, რომ ბუნების დაცვის საზოგადოებამ თითქოს დაიწუნა რეკვიზირებულის სანაცვლო შენობა და შედეგად იქ შესახლდა ბავშვთა ფედერაცია. რეალობა კი ასეთია: 1993 წლის 16 მარტს, საქართველოს რესპუბლიკის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის №189გ განკარგულებით ბუნების დაცვის საზოგადოებას ჩამოერთვა მისივე აშენებული მუზეუმ-ლექტორიუმის შენობა მასში თურქეთის საელჩოს განთავსების მიზნით. იმავე განკარგულებით, რეკვიზირებულის სანაცვლოდ, ბუნების დაცვის საზოგადოებას გადაეცა ამიერკავკასიის ყოფილი სამხედრო ოლქის ისტორიული მუზეუმის შენობის ნაწილი 1800 კვ მეტრის ოდენობით. სინამდვილეში ბუნების დაცვის საზოგადოებას იქ უკვე დახვდა საქართველოს ბავშვთა ფედერაცია, რომელმაც იმავე პრემიერ-მინისტრის უფრო ადრინდელი განკარგულებით (1992 წლის 23 ივნისის №409გ) მთლიანად მიიღო იგივე შენობა. სადღა შესულიყო ბუნების დაცვის საზოგადოება? და კიდევ:

თუ „წუნია“ ბუნების დაცვის საზოგადოებამ მართლზომიერად მიიღო რეკვიზირებულის სანაცვლო შენობა, მაშინ რატომ გადასცა მერიამ მას თავისივე მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 7 დეკემბრის №26. 22. 1417 დადგენილებით ყოფილი აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების (კოსტავას ქ. №59) „სამსართულნახევარი შენობა“ საკუთრებაში? ამ დადგენილებაზე უნდა ითქვას, რომ თბილისის მერიას, მიუხედავად ბუნების დაცვის საზოგადოების მესვეურთა მრავალჯერადი თხოვნისა და იმავე მუნიციპალიტეტის კაბინეტის სპეციალური განკარგულებისა, დღემდე არ გაუფორმებია ბუნების დაცვის საზოგადოებისათვის გადაცემული შენობის (რომელიც იმდენად დანგრეულია, რომ „დაბომბილს“ უფრო მოგვაგონებს) მიღება-ჩაბარების აქტი და საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამ დადგენილებას ხომ დღევანდელი მერი თვითონ აწერს ხელს; იმხანად იგი მუნიციპალიტეტის პრემიერი გახლდათ. როგორც ხედავთ, მერია თავისივე დადგენილებებსაც ისეთივე უპასუხისმგებლობით ეკიდება, როგორც თვით პრეზიდენტის განკარგულებებს. ამიტომ, სწორედ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის აღნიშნული დადგენილება გახდა ჩვენი წერილის ერთ-ერთი მთავარი თემა.



ამ დადგენილებით, გარდა ზემოთქმულისა, თბილისის სამხატვრო აკადემიას სამეურნეო გამგებლობაში დაუმაგრდა იგივე აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კომპლექსის მეორე ნაწილი ანუ ხუთსართულიანი შენობა. ამ საკითხის წინაისტორია ასეთია. საქართველოს ყოფილი საქმინსაბჭოს 1990 წლის 15 ივნისის №398გ, შემდეგ კი ყოფილი მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 30 სექტემბრის №806გ განკარგულებებით თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას გადაეცა უკვე ცნობილი აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების შენობა-ნაგებობები, მიმდებარე ტერიტორიებითა და ნაგებობებითურთ". იმავე წლის 4 ნოემბერს შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც აკადემიას გადაეცა თითქმის ყველაფერი, მათ შორის: სავაჭრო პავილიონი, კომუნიკაციები და მრავალი სხვა, საყრდენი კედლის, დეკორატიული ღობისა და ლითონის ჭიშკრის ჩათვლით. საფიქრალი იყო, რომ მერია 1995 წელს, მუნიციპალიტეტის კაბინეტის უკვე ხშირად ნახსენები დადგენილების მიღების შემდეგ იგივე გზას დაადგებოდა; აკადემიასთან გააფორმებდა მიღება-ჩაბარების აქტს და ყველაფერს თავის პატრონს მიუჩენდა. ეს ასე არ მოხდა, რითაც მრავალი ნაგებობა გაურკვეველ სიტუაციაში დატოვა. ვითომ შემთხვევით? თვალსაჩინოებისათვის მოვიტანოთ მაგალითი.

ყოფილი აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ტერიტორიაზე, ეზოს შესასვლელში თავის დროზე იდგა საყარაულო ჯიხური, რომელზეც ოდესღაც მიაშენეს მცირე ზომის პურის საცხობი. წლების განმავლობაში ისინი ამორტიზებული შეიქმნენ და დიდი ხნის წინათ ფუნქციონირება შესწყვიტეს. რამდენიმე ხნის წინ, ჩვენი დროის „დროიძეებმა“ მოინდომეს მათი კვლავ გამოყენება. ისარგებლა რა ზემოთხსენებული გაურკვევლობითა და ბუნდოვანი სიტუაციით, მერიამ საქმოსნებს ადვილად გაუფორმა პრივატიზება. საქმეს ვერ უშველა ვერც სამხატვრო აკადემიის საჩივრებმა. უფრო მეტიც, მერიამ რაღაც მანქანებით, ახლახან თუ შარშან, მათ ტერიტორიაც დაუსაკუთრა. ასე გადაიქცა აბრეშუმის ფაბრიკის ყოფილი საყარაულო ჯიხური კიდევ ერთი ახალგაზრდული კლუბის სამშენებლო მოედნად, რომელზეც განგაში წინა ნომრებში ავტეხეთ. ვფიქრობთ, მაგალითი კომენტარს არ საჭიროებს.

ყოფილი აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების შენობა-ნაგებობების ის ნაწილი, რომელიც ბოლოს, მერიის მრავალჯერ ნახსენები დადგენილებით 1995 წელს გადაეცა სამხატვრო აკადემიას, მათივე განცხადებით იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში და საჭიროებს [illegible] ლარის ღირებულების გასამაგრებელი, აღსადგენი და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებას. ცხადია, რომ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას, რომელიც დოტაციაზეა და მოწინებით შეჰყურებს ჩვენს ისედაც გაძვალტყავებულ ბიუჯეტს, არ ძალუძს და ვფიქრობთ, კარგა ხნის განმავლობაში ვერც შეძლებს ასეთი ძვირადღირებული სამუშაოების ჩატარებას. ასე რომ, თბილისის ერთ-ერთ კოლორიტულ უბანს ემუქრება უფერული და მარადდანგრეული ანსამბლით უვადო დამახინჯება.

ყველაფერს წერტილი დაუსვა ისევ პრეზიდენტის 1997 წლის 31 დეკემბრის №667 განკარგულებამ, რომელმაც თბილისის მერიას დაავალა განეხილა და გადაეწყვიტა საკითხი სწორედ ამ კომპლექსის ბუნების დაცვის საზოგადოებისათვის გადაცემის შესახებ. თუ გავიხსენებთ, რომ თბილისის მერიამ 1995 წელს თავისი უკვე კარგად ცნობილი დადგენილებით აბრეშუმის იგივე ფაბრიკის შენობა-ნაგებობების შუა ნაწილი „სამსართულნახევარი შენობის სახით“ საკუთრებაში გადასცა ბუნების დაცვის საზოგადოებას, ნათელი გახდება, რომ პრეზიდენტის განკარგულებითა და სოლიდური ფინანსური ძალების მიზიდვით ამ საზოგადოებას საშუალება მიეცემა შექმნას ერთიანი არქიტექტურული სივრცე დამშვენებული საქმიანი ცენტრის მრავალათეულსართულიანი სოლიდური ანსამბლით, სადაც თვითონაც განთავსდება. ამით ბუნების დაცვის საზოგადოების პრობლემაც გადაიჭრება და თბილისიც შეიძენს ერთ-ერთ ულამაზეს კომპლექსს.

რაც შეეხება სამხატვრო აკადემიას, პრეზიდენტის იმავე განკარგულებით თბილისის მერიამ უნდა აგრეთვე განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მათთვის ამიერკავკასიის ყოფილი სამხედრო ოლქის ისტორიის მუზეუმის შენობაში 1800 კვ. მეტრის გამოყოფის შესახებ. ეს ის ფართობია, რომელიც 1993 წელს მარეკვიზირებელი განკარგულებით თურქეთის საელჩოსათვის რეკვიზირებული შენობის სანაცვლოდ უნდა გადაცემოდა ბუნების დაცვის საზოგადოებას. თუ გავიხსენებთ, რომ 1992 წელს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა №409გ განკარგულებით, ამ შენობის სხვა ნაწილი გადასცა სამხატვრო აკადემიას, მონუმენტური ხელოვნების ინსტიტუტის შესაქმნელად, ცხადი შეიქმნება, რომ პრეზიდენტის განკარგულება აკადემია გააერთიანებს ორივე ამ ფართს ერთ კარგად მოწყობილ შენობაში. ამით რესპუბლიკის ბიუჯეტიც გადარჩება აკადემიისათვის იმ მრავალმილიონიანი სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისაგან, რომელსაც აბრეშუმის ფაბრიკის კორპუსები თხოულობენ. ამასთან, თვით აკადემიას საშუალება ეძლევა დღესვე დაიწყოს იქ ფუნქციონირება და არ ელოდოს გაუთავებელი მშენებლობის ხანგრძლივი პერიოდის დამთავრებას.

ამრიგად, ჩვენი აზრით, პრეზიდენტის უაღრესად კონსტრუქციული განკარგულებით ერთდროულად მრავალი პრობლემა იხსნება. მაგრამ მერია ჩვეული ტრადიციით რატომღაც კვლავ აჭიანურებს მის შესრულებას. რატომ?

პრეზიდენტის განკარგულებით, აღნიშნულის პარალელურად (მეორე მუხლის მეორე აბზაცით) თბილისის სამხატვრო აკადემიას ჩამოერთვა აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ზემოთ განხილული კორპუსები და მერიას დაევალა გადაეწყვიტა მათი ბუნების დაცვის საზოგადოებისათვის გადაცემის საკითხი. მერიის დადგენილებამდე კი ჩამორთმეული კორპუსები მფლობელის გარეშეა დატოვებული. ესე იგი, ისევ ისეთივე იურიდიული გაურკვევლობა და ბუნდოვანება საყარაულო ჯიხურის შესახებ რომ აღვწერეთ. ამღვრეულ წყალში ხომ... ... უფრო ლოგიკური ახსნა მერიის ქმედებას არ მოეძებნება.

დავძენთ, რომ რეკვიზირებამდე, როდესაც ბუნების დაცვის საზოგადოება ჭავჭავაძის გამზირზე საკუთარი მუზეუმ-ლექტორიუმის შენობაში მოღვაწეობდა, იმჟამინდელ აღმასკომს, შემდგომში მერიას ფიცხელი დავა ჰქონდა მასთან მიმდებარე ტერიტორიის ყოველ კვადრატულ მეტრზე, რომელსაც ღია ცის ქვეშ მწვანე მუზეუმის შესაქმნელად თხოულობდა და რაც თბილისის ერთ-ერთი მშვენება იქნებოდა უდაოდ. ამჟამად კი, ქუჩაში გამოგდებული ბუნების დაცვის საზოგადოება და მისი მესვეურნი გულისტკივილით შეჰყურებენ თურქეთის საელჩოდ ქცეულ, ყოფილი მუზეუმ-ლექტორიუმის შენობას. გარდა უკვე თქმულისა, მათ მაინც აოცებთ ის ფუქსავატური გულუხვობა, რომელიც მერიამ გამოიჩინა თურქეთის საელჩოს მიმართ და საელჩოს ეზო შემოგარენს ასე ფართედ მიუზომა დამატებით მიწის დიდი ფართობი, დღეს რომ რკინის ლამაზი ღობით არის გამოყოფილი დანარჩენი ქალაქისაგან. უფრო მეტიც, „ბოროტი ენები“ ამბობენ, მეცხრე საავადმყოფოცა და ხეჩინაშვილის სახელობის ინსტიტუტის შენობებიც, რომლებიც თურქეთის საელჩოს მიმდებარედ არიან განთავსებული, პრივატიზების სტადიაში არიან. თურქი ბიზნესმენებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მოხელეთა მიერ, რა თქმა უნდა, მერიის მიზანმიმართული „ლოცვა-კურთხევით“.

მკითხველს თავი შევაწყინეთ ამდენი დადგენილებებ-განკარგულებების მოხმობით, მაგრამ ეს აუცილებელი იყო, რომ საქმის ნამდვილი არსი წარმოგვედგინა. ვფიქრობთ, ვინც ამ წერილს ბოლომდე წაიკითხავს, უსათუოდ დაფიქრდება ქვეყნის მდგომარეობაზე ასეთი ბიუროკრატიული აპარატის ხელში და თითოეული ჩვენგანის, თითოეული მოქალაქის ბედზეც. ხოლო თუ რამდენად წაადგება პრეზიდენტის იმიჯს ამ უსულგულო დიდმოხელეთა ასეთი „მუშაობა“, ეს თავად მკითხველმა განსაჯოს.

**ქეთინო გეჯაძე**

# „პატრიციები“ და „პლებეები“ ქართულ მეცნიერებაში

დიდად ვეჭვობთ, რომ დღევანდელ მსოფლიოში მოიძებნებოდეს სხვა რომელიმე ქვეყანა, რომლის სინამდვილეშიც მეცნიერს ან პუბლიცისტს მოაფიქრდეს სტატიის სათაურში გამოტანილი თემა. ასეთი გამონაკლისი მხოლოდ საქართველო გახლავთ. მაგრამ ჩვენშიც იყო მეცნიერების „ოქროს ხანა“, როდესაც საზოგადოებრივი ცნობიერების ამ ფორმას დიდი, ნამდვილი კორიფეები ამშვენებდნენ. ისინი მეცნიერების ნამდვილი არისტოკრატებიც იყვნენ და ამასთანავე „პლებეებიც“, რომლებიც დღენიადაგ მუშაობდნენ არქივებში, ბიბლიოთეკებსა და ლაბორატორიებში. მაგრამ საბჭოთა რეჟიმმა რა არ გააუკუღმართა!

დღეს ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, და ეს გრძელდება რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, — რომ მავანი საშუალო ნიჭის მეცნიერნი დიდად გამოირჩევიან საზოგადოებაში. რასაკვირველია, უნიჭობასთან ერთად მათ არც შრომისმოყვარეობა მოდგამთ. ცოტა აქვთ გამოცემული წიგნები, ან თუ საკმაოდ აქვთ, ძალზედ საშუალო დონისა. მაგრამ ამგვარი ყაიდის ხალხს აქვს დიდი ნიჭიერება თავიანთი სამეცნიერო შესაძლებლობების დიდად წარმოჩენისა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ბამბის ჩხრიალისა. ისინი, — და ბევრი მათგანი ათწლეულობით — ამშვენებენ უმაღლეს ხელისუფალთა ამალას, არ გამოტოვებენ ოფიციალურ თავყრილობებს. ერთი სიტყვით, ამნაირ ადამიანთა თავისებური დიდი ნიჭიერების გამოწვლილვითი ანალიზი ძალზედ საინტერესოა და საგანგებო შესწავლას საჭიროებს.

პირადად მე ორმოცი წელია, რაც სამეცნიერო ბიბლიოთეკებსა და არქივებში (იმდენად არა) ვმუშაობ. ამ ხნის განმავლობაში აღნიშნული დაწესებულებებში სულ რამდენიმე „ბობოლა“ მეცნიერი თუ მინახავს, ისიც ორსამჯერ. მავანი გულუბრყვილონი გვეტყვიან, რომ მათ სახლებში აქვთ სამუშაო. მაგრამ არქივებისა და ლაბორატორიების მხრივ ხომ ეს აბსოლუტურად გამორიცხულია! არა მგონია დიდ ბიბლიოთეკებში მუშაობის აუცილებლობაც არ გააჩნდეთ. სხვას რომ თავი დავანებოთ, განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ნორმალური ქართველი ჰუმანიტარი „ივერიის“, „დროების“ და



სხვათა კომპლექტების გაცნობის გარეშე. მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, ასეთები ძალიან ბევრია სწორედ ქართული მეცნიერების „პატრიციებს“ შორის. სხვათა შორის, ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა შესაძლებლობა ხშირად ემუშავა მოსკოვისა და ყოფილი ლენინგრადის დიდ ბიბლიოთეკებში, სადაც სპეციალურად გამოყოფილ დარბაზებში ბევრი გამოჩენილი რუსი მეცნიერი უნახავს. სამუშაო მაგიდას მიმჯდარი, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ქართველი „პატრიცების“ (სიტყვის ოდიოზური მნიშვნელობით) გარდა ჩვენ გვყავს „პლებეებიც“ (კარგი გაგებით). ისინი შეყვარებული არიან თავიანთ დარგზე და სიცოცხლის დიდ ნაწილს სწორედ ბიბლიოთეკებსა და არქივებში ატარებენ. მათ მშვენივრად იციან, რომ თავიანთ შრომას დიდი აღიარება არ მოჰყვება — დიდი-დიდი მეცნიერების დოქტორები და წოდებით პროფესორები გახდნენ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კარები მათთვის, რასაკვირველია, მტკიცედაა დახშული, არც პრესტიჟულ პრემიებს უწყალობებენ მათ და არც დიდ „ჩინ-მედლებს“. მათთვის გამორიცხულია მაღალი თანამდებობების დაკავება სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ისინი მაინც უდრტვინველად, უპრეტენზიოდ განაგრძობენ მეცნიერებისადმი უანგარო სამსახურს.

დღესდღეობით ვერ ვიტყვით, რომ თუ ოფიციალური ხელისუფლება არა, ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი რაღაცნაირად აცნობიერებს „პატრიცებისა“ და „პლებეების“ პრობლემას ქართულ მეცნიერებაში. აქედან გამომდინარე, წუხილი აღნიშნულის გამო გამორიცხულია. მაგრამ ბუნებით ოპტიმისტი გახლავართ და ვიმედოვნებ, რომ ჯერ საზოგადოებრიობა და შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ოფიციალური ხელისუფლებაც მიხვდება, თუ ვინაა ქართულ მეცნიერებაში ნამდვილი საქმის გამკეთებელი და ვინ ოდენ მოჩვენებით მოფუსფუსე. ამდენად, შრომასა და ნიჭს, ვიმედოვნებთ, სათანადო დაფასება ექნება მეცნიერებაშიც. სხვანაირად ნორმალური საქართველო წარმოუდგენელია.

**გიორგი გვარამაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური პრესის ფურცლებიდან

# «ვის უშლის ხელს შევარდნაძე?»

## სპარსეთის ყური კავკასიაში

**ასეთი სათაურით და რუბრიკით: „ვის უშლის ხელს შევარდნაძე" პოპულარულ პოლონურ ჟურნალში „პოლიტიკა" დაბეჭდილი იყო ამ ორგანოს პოლიტიკური მიმომხილველის იან სიხოკის სტატია. ვფიქრობ, სტატია დააინტერესებს ქართველ მკითხველს.**

როგორც მსოფლიოს არა ერთ ადგილას, საქართველოშიც ნავთობი და პოლიტიკა ერთმანეთში აირია. ყველაფერმა ამან დიდი და ტრაგიკული შედეგები გამოიღო. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმა (სტატია დაწერილია „ცხელ კვალზე", 9 თებერვლის ტერაქტის შემდეგ) ნავთობით მდიდარ კავკასიაში გავლენის სფეროების გადანაწილების ნიშანია.

ნალმსატყორცნის სამი ჭურვი მოხვდა დაჯავშნულ „მერსედესს"; ხანგრძლივი სროლების დროს დაიღუპა პრეზიდენტის დაცვის ორი წევრი და დაახლოებით 20 თავდამსხმელიდან ერთ-ერთი. ამჯერად საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ტერაქტიდან ერთი განაკაწრის გარეშე გამოვიდა. ხელისუფლებამ დაიჭირა ეჭვმიტანილები, მაგრამ შემდეგ მათმა თანამოაზრეებმა მოიტაცა გაეროს მისიის ოთხი ოფიცერი, რომლებიც მეთვალყურედ არიან დანიშნული აფხაზეთში — საქართველოს სეპარატისტულ რეგიონში.

გამტაცებლებმა მოითხოვეს შევარდნაძეზე თავდასხმის ყველა ეჭვმიტანილთა განთავისუფლება და მთელი საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანა. მათ განაცხადეს, რომ წარმოადგენენ ლეგალურ, ანუ 1992 წელს დამხობილი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას.

ამ მოვლენების ახსნას თავად შევარდნაძე შეეცადა. შევარდნაძის აზრით, მასზე თავდასხმაც და გაეროს ექსპერტების გატაცებაც მოსკოვშია დაგეგმილი. „მე არ ვამბობ, რომ ამ საქმეში ელცინია ჩარეული, მაგრამ რუსეთში არიან ძალები, რომლებსაც ძალუძთ მასზეც კი ალმართონ ხელი" — ამბობს იგი. მაინც რა ამოძრავებთ მათ? მათი მიზანია დააშინონ უცხოელი ინვესტორები და შეცვალონ ევროაზიური ნავთობსადენის მიმართულება — დარწმუნებულია პრეზიდენტი.

დღეისათვის, როდესაც სპეციალისტებისთვის უკვე ნათელია, რომ კასპიის ზღვის აუზის ნავთობის მარაგები XXI საუკუნეში ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი იქნება — ნავთობსადენების მარშრუტების დადგენა წააგავს ომის სტრატეგიულ რუკაზე არმიების ადგილგანადაცვლებების აღნიშვნას. აგერ უკვე ექვსი წელია, რაც კავკასიისათვის იბრძვიან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, აშშ და თურქეთი, ერთის მხრივ და რუსეთი, მეორეს მხრივ. საფინანსო და ნავთობის კონსორციუმები ცდილობენ ამ რეგიონის ყველა ქვეყანაში მოიპოვონ გავლენა — აზერბაიჯანში, ყაზახეთში, თურქმენეთში, ასევე ირანში და რუსეთის სამხრეთ რესპუბლიკებში — დაღესტანში და ყალმუხეთში. ნავთობისა და გაზის ყველაზე მდიდარი საბადოებია იმ შელფში, რომელიც მდებარეობს აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ნაპირებთან და ასევე დასავლეთ ყაზახეთის სტეპებში. გაზის ყველაზე დიდი მარაგები კი თურქმენეთშია.






ადრე კასპიის ზღვის შედარებით ადვილად დასამუშავებელი საბადოებიდან, ძირითადად ბაქოს რაიონში, რუსეთი ეზიდებოდა ნავთობს. დღეს მას აღარა აქვს აღარც ფული და არც ტექნოლოგიები, რათა დამოუკიდებლად მოახდინოს ამ საბადოების ექსპლოატაცია კასპიის ზღვის ფსკერიდან ან შუა აზიის უდაბნოებიდან. მაგრამ იგი მაინც მიისწრაფვის კონტროლი შეინარჩუნოს ამ რეგიონზე და ისარგებლოს აქ დაბანდებული ნებისმიერი საზღვარგარეთული ინვესტიციიდან, რამეთუ სსრკ-ს დაშლის შემდეგ უცხოელმა ინვესტორებმა ფართოდ დაიწყეს ინვესტიციების ჩადება ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ქშპ-ი სახელმწიფოებს შორის ამიერკავკასიაზე გავლენის მოპოვების მიზნით, რომელიც ერთგვარ ჭიშკარს წარმოადგენს არა მხოლოდ კასპიის ზღვის რეგიონისაკენ, არამედ უფრო შორს მდებარე პოსტსაბჭოურ შუა აზიის სახელმწიფოებისაკენ. ამიერკავკასიაზე კონტროლი შესაძლებელს გახდის დერეფნის გაკეთებას რუსეთსა და ირანს შორის; აღნიშნულის მიღწევის შემთხვევაში კი ამ დერეფნის გავლით მსოფლიო ბაზრებზე გავიდოდა კასპიის ზღვაში მოპოვებული ნავთობი.

პრეზიდენტის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ იგი დღეს ძალზე დასუსტებულია, საქართველოს შემდგომი დაშლა უკვე ძნელი აღარ იქნებოდა. ორი ავტონომიური რესპუბლიკა — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი — უკვე ისედაც ფაქტიურად დამოუკიდებელი რესპუბლიკები არიან. ძალზე თვითნებურად იქცევა აჭარაც. თუ დედაქალაქში ატყდებოდა ბრძოლა შევარდნაძის მემკვიდრეობაზე, საქართველოს დანარჩენი პროვინციებიც შესაძლოა რომ გასულიყვნენ ცალკე. საქართველოს დაშლას კი რეგიონში სერიოზული დესტაბილიზაცია მოჰყვებოდა.

საქართველო და აზერბაიჯანი დასავლეთის ფინანსური მხარდაჭერით აშენებენ სატრანსპორტო დერეფანს კასპიის ზღვაზე, ნავთობსადენს, საავტომობილო გზებსა და თანამედროვე რკინიგზას — ბაქოდან საქართველოს შავი ზღვის პორტ-ფოთამდე და ახლად აშენებული ნავთობის ტერმინალ — სუფსამდე, ამ ნავთობის თურქეთში შემდგომი გაგზავნის მიზნით.

რეკონსტრუირებულია ასევე, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს არსებული ნავთობსადენი ბაქოდან ბათუმამდე. შესაძლოა აშენდეს ასევე უფრო მძლავრი ნავთობსადენი კასპიის ზღვიდან — ამიერკავკასიის გავლით — ხმელთაშუა ზღვაზე არსებულ თურქეთის ტერმინალამდე. რეგიონში ხორციელდება ასევე ევროკავშირის პროექტიც — ტრასეკას სახელწოდებით. ამ პროექტის მიზანია ამიერკავკასიაში და შუა აზიაში არსებული სარკინიგზო და საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია და ურთიერთდაკავშირება ევროპასა და აზიას შორის კავშირების უფრო განვითარებისათვის.

1997 წელმა ნათლად დაგვანახა, რომ მოსკოვს ძალზე დაკარგული ჰქონდა გავლენა ამიერკავკასიაზე: საქართველომ, უკრაინამ, აზერბაიჯანმა და მოლდოვამ რამდენიმე სატრანსპორტო შეთანხმება დადეს. თუმცა მალე გამოირკვა, რომ ამ ქვეყანათა შორის დადებული კავშირიც უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე ეკონომიკურს.

რუსეთი თანდათან უფრო მეტად დაკარგავს გავლენას ამიერკავკასიაზე. გასულ წელს საქართველოს პრეზიდენტმა მოსკოვის საქმიანობა ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის მოწესრიგების სფეროში შეაფასა როგორც უაღრესად არაეფექტური და დაიმუქრა, რომ დახმარებისთვის შესაძლოა საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართოს. ანალოგიური კრიტიკით გამოვიდა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი მთიანი ყარაბახის კონფლიქტთან დაკავშირებით. ამიერკავკასიაში საერთაშორისო მშვიდობისმყოფელთა რაზმების შეყვანა მომასწავებელი იქნებოდა რუსეთის მონოპოლიური მდგომარეობის დაკარგვისა, მოაგვაროს ასეთი კონფლიქტები დსთ-ს ქვეყნებში.

ყოველივე ეს რუსეთის მმართველ წრეებში გასაგებ განგაშს იწვევს. ამ ქვეყნის გენერალიტეტი და ძალოვანი სტრუქტურები სამხედრო ძალის გამოყენებით ცდილობენ არ დაანებონ დასავლეთს ამიერკავკასიის ქვეყნებზე გავლენის გაძლიერება. რუსეთს ჯერ კიდევ უდიდესი პოტენციალი აქვს ამიერკავკასიაში, მას აქ აქვს სამხედრო ბაზები და ჰყავს ერთგული მოკავშირე სომხეთის სახით.

ამიტომ ადვილი არ არის ზოგიერთი პოლიტიკოსის იმ ვარაუდის უარყოფა, რომ შევარდნაძეზე თავდასხმა მოსკოვში მზადდებოდა. ამიერკავკასიაში დესტაბილიზაცია იმის საკმაოდ მნიშვნელოვანი შანსი იქნებოდა, რომ მომავალში კასპიის ზღვიდან მომავალმა მთავარმა ნავთობსადენმა მის ტერიტორიაზე გაიაროს — ანუ ბაქოდან შავი ზღვის ტერმინალში — ნოვოროსიისკში.

**პოლონურიდან თარგმნა**
**ამბროსი გრიშიკაშვილმა**
**პოლონეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე**

---

*(მე-5 გვერდიდან)*

ან"-ო და სხვ. არაფერს ვამბობთ აფსუათა ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთში ჩამოსახლების შესახებ არსებულ მასალებზე.

„აფსართა ენითა" ქართველი მემატიანე იმიტომ ამბობს, რომ იგი არ იყო მისთვის ნაცნობი აფხაზთა ენა, რომელიც ცხადია, უფრო პოპულარული და ცნობილი იყო. სულ სხვა საქმეა, თუ სად ცხოვრობდნენ იმ დროს აფსარები (აფსუები). უსათუოდ აფხაზეთის მეზობლად, ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც დღესაც ზელენჩუკის რაიონში აბაზთა 16 სოფლიდან ერთის სახელწოდებაა „აფსუა" (იგივე „აფსარი"). დანარჩენი აბაზები იმიერკავკასიის სხვადასხვა რაიონებსა და რეგიონებში ცხოვრობენ, რაც წარსულში მათ მომთაბარულ ბუნებაზე მიუთითებს. მომთაბარე ხალხები თუ ტომები ხშირად დაქირავებულ ჯარში მსახურობდნენ (გავიხსენოთ თუნდაც ლაზიკის მეფე გუბაზი, რომელმაც სამას დინარად ჩრდილოკავკასიელი ალანები და საბირები დაიქირავა სპარსელების წინააღმდეგ).

სხვათა შორის, ლაშა-გიორგი არ იყო გამონაკლისი, რომელიც უცხო ზედსახელს ატარებდა. შორს რომ არ წავიდეთ, განა „გორგასალი" სპარსული სიტყვა არ არის? მაგრამ ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ქართლი სპარსეთად ვიგულისხმოთ, ან სპარსელები მის აბორიგენებად?!

ინჟინერ გ. ერაძეს ადიღეური ენის კუთვნილება ჰგონია აგრეთვე „აფსირტე" (ლეგენდარული მედეას ნახევარძმა და არა ძმა, როგორც იგი წერს) და ფოთის ძველი სახელი „ფაზისი".

არც ერთი და არც მეორე ადიღეური არ არის. მდ. ჭოროხის ბერძნული სახელია „აკამფსისი" და „აფსაროსი". ორივე ბერძნულია და ნიშნავს: „აფსაროსი" („ა-ფსაროს", სადაც ა უარყოფითობის აღმნიშვნელია, ხოლო „ფსაროს"-თევზი) — მდინარე, სადაც თევზი არ არის; „აკამფსისი (ა-კამფსის, სადაც „კამფსის" ნიშნავს მოხრას, მოხრილს) — მდინარე, რომელიც მუხლს არ იკეთებს, ანუ კუთხეუქმნელი. „აფსაროს" ბერძ. ლაქებიანსაც აღნიშნავს.

ბერძნებს თან გაჰყვათ ეს გეოგრაფიული სახელები, ხოლო მდინარეს შერჩა ადგილობრივი სახელი „ჭოროხი", რაც სვანურად სამერცხლეს ნიშნავს („ჭუერ-მერცხალი"). სვანურ წარმოშობისად მიაჩნიათ ტოპონიმი „ბათუმი" (ა. ინაიშვილი, მ. ქალდანი...), „ლანჩხუტი" (ს. ჯანაშია...) და სხვა მრავალი. სახელი „აფსირტე" მომდინარეობს ბერძნული სახელიდან „აფსაროსი". „ტე" — ბერძნულია (შდრ. „აიეტი"-აიელი). „აფსირტე" — ე. ი. აფსაროსის ბინადარი (შდრ. სვანური „აბსასტ"-ნადირთა და მონადირეთა ღვთაება).

რაც შეეხება ფაზისს, ისიც ადგილობრივი წარმოშობისაა. „ფაზ"-ს სვანები უწოდებენ ერთგვარ სამკურნალო ბალახს, რომელიც იშვიათად თუ სადმე მოიპოვება. (იხ.

# აფხაზები და აფსუები



სვანური პროზაული ტექსტები, IV, თბ., 1979, გვ. 255). აქედან გამომდინარე, „ფაზიშ" სვანურად ეწოდება იმ ადგილს, სადაც ხსენებული ბალახი ხარობს. მაგრამ ბერძნებმა იგი მიამგვანეს მათ ენაზე არსებულ სიტყვას „ფაზანს"-ს (ხოხობი), პოლიტიკური მოსაზრებებით ეს გეოგრაფიული სახელი ბერძნულად მონათლეს, რაც ერთადერთი შემთხვევა არ არის.

თვით სახელი „რიონი" უნდა მომდინარეობდეს სიტყვიდან „რივენ", რაც სვანურად „წყალუხვს" ნიშნავს და სხვ.

ბერძნულ სამყაროში ძველი კოლხეთის გეოგრაფიული სახელები უნდა ვეძებოთ იმ შემთხვევაში, როცა მათი ახსნა შეუძლებელია ამ რეგიონის ძირძველ ბინადარ მეგრულ-სვანურ ენებზე. ადიღეურ ენებზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან ისინი ამ ადგილებს არც არასოდეს ფლობდნენ და არც კოლონისტები არ ყოფილან. მათი წინაპრები ამ დროს მეოტის (აზოვის) ზღვის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ. ეს მეოდიტები აერთიანებდნენ კერკეტებს, ზიხებს, ფსესებს, სინდებს...

საქართველოს ტერიტორიაზე ტოპონიმიკასა თუ ონომასტიკონში ასეთივე კვალი დატოვეს სხვა დამპყრობლებმა: არაბებმა, სპარსელებმა, ოსმალებმა, რუსებმა და სხვ.

რაც შეეხებათ აფსილებს, რომლებიც ბერძნულ-ლათინურ წყაროებში I-VIII საუკუნეებში მოიხსენიებიან, ასევე ქართველური ტომია, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავდა აკად. ივ. ჯავახიშვილი. ბერძენთაგან აფხაზეთის განთავისუფლების შემდეგ (VIII ს-ის მეორე ნახევარი) ხმარებიდან ქრება ტერმინი „აფსილოს".

მართალია, „აფსუასა" და „აფსილს" შორის ფონეტიკური მსგავსება არსებობს, მაგრამ შინაარსობრივად ისინი ორ სხვადასხვა ენას ეკუთვნიან, კერძოდ ბერძნულსა და აფსუურს (აბაზურს). ბერძ. „აფსილოს" ნიშნავს „თმიანს (ბანჯგვლიანს)" (შდრ. ბერძ. „მაკრონი"-დიდი; „ფთიროფაგი"-გირჩის მჭამელი და ა. შ). ხოლო „აფსჷ" აფსუურად (აბაზურად) — „სული" (სჷფსჷ თოუპ" — სული მიდგას; „აფსხჷრა დაჭაუპ" — სულს ლაფავს). სხვა გაგებით „აფსჷ" — მკვდარი, ცხედარი, მიცვალებული (აფსჷ აკუბა დთარწეიტ"-მიცვალებული კუბოში ასვენია).

აფსილების განსახლების ტერიტორიაზე ყველა გეოგრაფიული სახელი არის მეგრულ-სვანური (მდ. ღალიძგასა და დღევ. ახალ ათონს შორის). მაშასადამე, აფსილები რომელიმე ამ ენაზე მეტყველებდნენ. უფრო მეტიც, პროკოფი კესარიელის ცნობით აფსილები თავიანთ ციხეს „წიბელს" ეძახიან (გეორგიკა, II, გვ. 162). მაშასადამე, ეს სიტყვა მათი ენის კუთვნილებაა. წიფელი (ასე ეწოდება ამ ადგილს XIX საუკუნეშიც) ქართველური სიტყვაა და ნიშნავს: ქართლურად — წიფელი, бук. Fagus, ჭანურად — წიფრა, წიფური, მეგრულად — წიფური. აფსუები „წიფელს" უწოდებენ „აში"-ს, სვანურად წიფ., წიფრა. ციხე-სიმაგრეს აფსუურად „აბაა" ეწოდება.

თუ აფშილები ადიღეური ტომი იყო, მაშინ რატომ უნდა ეწოდებინათ თავიანთ ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტისათვის ქართველური სახელი?

საგულისხმოა ერთი ფაქტიც: აფსუები თავიან თავს „აფსუა"-ს უწოდებენ. იგი ორი სიტყვის კონგლომერატს წარმოადგენს: აფსჷ (სული)+უაა (ხალხი, ადამიანები). ამასთანავე აფსთა აფსურად „ხეობას" ნიშნავს. ამ ტერმინში — თა აფსუურში გეოგრაფიული სახელებისათვის დამახასიათებელი დაბოლოებაა (შდრ., გუმის-თა, გუდაუ-თა, ბიჭვინ-თა და სხვ.). გამომდინარე აქედან, აფსუაა ნიშნავს „ხეობის ხალხს". გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აფსუებს სამშობლოს აღმნიშვნელი სიტყვა არ გააჩნიათ. ყველაფერი ეს მეტყველებს იმ ისტორიულ რეალობაზე, რომ აფსუებს (აბაზებს) მკვიდრი სამშობლო ქვეყანა არასოდეს არ გააჩნდათ. დღესაც ისინი მიმოფანტულნი არიან მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში, ნაწილიც (აფსუების სახით) საქართველოს ზღვისპირეთში დამკვიდრდა.

„აფსნი" არც ერთ წერილობით საბუთში არ დასტურდება. იგი ხელოვნური შემოქმედების ნაყოფია. ამ ტერმინის გაჩენა ხალხის (აფსუების) თვითცნობიერების (გინა თვითგამორკვევის) ევოლუციასთან არის დაკავშირებული. ეს სიტყვა ჩნდება მას შემდეგ, როცა აფხაზ სეპარატისტთა შემეცნებაში (ცნობიერებაში) დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის იდეა წარმოიშვა...

„სამშობლოს" შემცველი აფსუური სიტყვაა „აფსადგჷილ" (ე. ი. აფსუათა გასახლების ადგილი). ამ ე. წ. „ადგილს" (რომელიც აგრეთვე ქართველურია) დაკონკრეტება არ ახლავს. გააჩნიათ „სამშობლოს", „მამულის" აღმნიშვნელი მეორე სიტყვაც — „აჯჷნჯტილა", მაგრამ მას ისინი აფხაზეთის მიმართ არ ხმარობენ, და საერთოდ ეს ტერმინი უფუნქციოა, პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული.

იგივე შეიძლება ითქვას „ყვა" და „ფს" ელემენტიან ტერმინებზე. ისინი ან ბერძნულია, ან ქართველური (ძირითადად მეგრულ-სვანური). თუ მაინცდამაინც ადიღეური შეიძლება ყოს, მაშინ იგი მხოლოდ XVI საუკუნის შემდგომ არის გაჩენილი. მანამდე მათი არსებობა არც დასტურდება.

ჩვენთვის გაუგებარია, როცა ზოგიერთი ქართველი ავტორი სრულიად უსაფუძვლოდ, მაგრამ დიდის მონდომებით ილწვის ანტიქართული ძალების სასარგებლოდ. მათ რიცხვს ამ შემთხვევაში ბ-ნი გ. ერაძეც ეკუთვნის. გასაოცარია ისიც, რომ ამ „ნალვაწის" გამოქვეყნება მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ბ-ნ გ. ერაძის დასახელებული ვრცელი სტატია გამოქვეყნდა ჟურნალში „რიწა" (რედაქტორი გივი ბერაია). ასეთი ავტორები ამასთანავე თითქოს აფხაზ ავტორებს კიდევაც ძალიან მკაცრად აკრიტიკებენ, სინამდვილეში ბრწყინვალე სამსახურ უწევენ მათ თავიანთი მოხერხებული მეთოდით, ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერას ცდილობენ.

დიდი ტრადიციების მქონე ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელსაც საქვეყნოდ განთქმული მეცნიერები ჰყავდა, ასეთი დაკნინება არ ეკადრება. დღეს ბევრმა, ვისაც თავის სპეციალობაში ხელი მოეცარა, ისტორიასა და ენათმეცნიერებაში (ან კიდევ პოლიტიკაში) ჰპოვა თავშესაფარი, რითაც შესძლეს იმიჯის შექმნა, პოპულარობის მოპოვება, ზოგ-ზოგნი სხვა სიკეთესაც ეზიარნენ, მაგრამ ამით აგებს ქვეყანა, ხალხი და მეცნიერების ცალკეული დარგები.

**თეიმურაზ მიბჩუანი**

*(გაგრძელება იქნება)*

# „მე თუ ვიტყვი, რომ არის პოლიტპატიმარი, უნდა მივაღწიო კიდეც მის განთავისუფლებას“

**დავით სალარიძე** — სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) ინსტიტუტის ხელმძღვანელი. ამ პოსტზე დანიშვნამდე მან განვლო თანამდებობათა მთელი რიგი — შინაგან საქმეთა ორგანოში მინისტრის პირველ მოადგილემდე, ქალაქის პროკურატურაში განყოფილების უფროსი, ბოლოს საგადასახადო ინსპექციის უფროსი, ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე. თანამდებობათა ნუსხა მართლაც შთამბეჭდავია. რამდენად შესძლებს ომბუდსმენის ინსტიტუტის „შეფი“ ჩვენს ქვეყანაში წამოჭრილ მთელი რიგი პრობლემებისათვის თავის გართმევას, ამას მომავალი გვიჩვენებს.



**— ბატონო დავით, შინაგან საქმეთა ორგანოებში მიღებული გამოცდილება ალბათ, გეხმარებათ ახლანდელი სამუშაოს სიძნელეების დაძლევაში?**

— როგორ გითხრათ, ზოგჯერ მეხმარება და ხელსაც მიშლის. მეხმარებია იმაში, რომ ვიცი რა პრობლემებია და ხელს მიშლის, რადგან გათვითცნობიერებული მაქვს, რა ობიექტური სიძნელეებია. და თან მე არ შემიძლია პირდაღებულმა ვილაპარაკო ამ ობიექტურ სიძნელეებზე. მაგალითად, მე ვიცი, რომ პატიმარს საკვებში კალორიები აკლია. სხვას შეუძლია ამის თაობაზე „განგაში“ ატეხოს. მე ამას ვერ ვლაპარაკობ და არც ვილაპარაკებ, რადგანაც ვიცი რა ობიექტური სიძნელეებია. არ არის ამის ფინანსები, სახსრები არ გაგვაჩნია, დახმარებით კი უცილობლად მეხმარება, რადგანაც მე ვიცი, სად რა დევს და რაც გვჭირდება, ადვილად ვპოულობ.

**— საქართველოში არსებობს ადამიანთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია, რომელიც გაეროსთან და ეუთოსთან არის კავშირში, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციები. რითი განსხვავდება თქვენი და მათი მიდგომები ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროსადმი?**



— საქართველოში 300-ზე მეტი არასამთავრობო ადამიანთა უფლებების დაცვის ორგანიზაციაა რეგისტრირებული. რა თქმა უნდა, განსხვავება დიდია, მათ თავისი კონკრეტული მიმართულებები გააჩნიათ. ჩვენ ვართ ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით და სახალხო დამცველის შესაბამისი კანონით ვმოქმედებთ, კონკრეტული და გარკვეული უფლება-მოვალეობებით. ეს კანონი მიღებული იქნა 1995 წელს და პირველად საქართველოს ისტორიაში შეიქმნა სახალხო დამცველის სისტემა. მე ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ კანონით ჩვენი უფლებები განსაზღვრულია. მისი სიძლიერე იმაშია, რომ ის არ მიეკუთვნება ხელისუფლების არც ერთ შტოს. ეს არის ნეიტრალური ორგანიზაცია და განეკუთვნება როგორც მომრიგებელ ინსტიტუტს ხელისუფლებასა და ხალხს შორის.

**— გიორგი კერვალიშვილმა პროტესტი გამოთქვა თქვენი ინსტიტუტის მისამართით და მარაზმი უწოდა, რომელიც შევარდნაძის ქარგაზე მუშაობს.**

— მე გავეცანი ამ ინფორმაციას. უნდა მოგახსენოთ, რომ სახალხო დამცველი შემნდობი კაცი უნდა იყოს, თუ ჩაერთვება პოლემიკაში და ხმებს აჰყვება, ის უკვე სახალხო დამცველის ფუნქციებს ველარ შეასრულებს. რა კომენტარი შეიძლება გავუკეთო მის აზრს იმის შესახებ, რომ „ჩინოვანი“ ვერ დაიცავს ადამიანის უფლებებს და ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში ეუთოს და გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტი, უბრალოდ, რეკომენდაციებს იძლევა და მათ პოლიტიკა მართავს, — ეს მას მიაჩნია და მისი უფლებებია, რაც უნდა, ის ილაპარაკოს. ასე რომ, კერვალიშვილს მარტო სახალხო დამცველის მიმართ არა აქვს პრეტენზიები, არამედ გაეროს ორგანიზაციების მიმართაც.

**— თქვენი აზრით, არსებობს თუ არა დღეს საქართველოში რწმენისა და პოლიტიკური ტერორის გამო ადამიანთა დაპატიმრება?**

— ეს თავისებური და რთული საკითხია. სახალხო დამცველი არ განეკუთვნება იმ კატეგორიას, რომელიც გააკეთებს განცხადებას და მასზე პასუხს არ აგებს. ჯერ ასეთი მონაცემი და კონკრეტულად შესწავლილი ფაქტი არა მაქვს. მე თუ ვიტყვი, რომ არის პოლიტპატიმარი, უნდა მივაღწიო კიდეც მის განთავისუფლებას. არის განცხადებები იმის თაობაზე, რომ აბსანძე პოლიტიკური პატიმარია. მე როგორ შემიძლია ვთქვა, რომ ასე მარტივად არის ეს საქმე, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ამ საკითხს უფრო ღრმად ჩახედვა უნდა. ჩვენ ეს პროცესი დაწყებული გვაქვს, რათა გავარკვიოთ, მართლა არის თუ არა პოლიტიკური მოსაზრებებით შერაცხული ბრალი კონკრეტული პიროვნებების მიმართ. თუ ეს ასეა, იქნება ჩვენ გამბედაობაც გვეყოს, რომ ეს საკითხი მოვაგვაროთ.

**— რომელი სოციალური ფენა მიგაჩნიათ ყველაზე დაუცველი საქართველოში?**

— ჩვენ გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ვართ და ამდენად, უამრავი პრობლემაა. პენსიონერებს, რომელთა რიცხვი მილიონამდეა, 10 ლარს ვუხდით, როდესაც საარსებო მინიმუმი 100 ლარის პარამეტრებშია. გვყავს მთლად დაუცველი 300 ათასი ლტოლვილი, უმუშევართა რიცხვიც დაახლოებით ამდენია. ამიტომ ის პრობლემები, რომლებიც ეკონომიკაშია, ძალზედ რთული გადასაწყვეტია. ჩვენ ნელ-ნელა მივდივართ უკეთესობისაკენ, მაგრამ ეს პროცესი მტკივნეულია. ამიტომ საქართველოში ომბუდსმენის პრობლემები უფრო რთულია, ვიდრე სხვა ქვეყნის სახალხო დამცველისა. ჩვენ ადამიანის გამოკვებების საშუალება არა გვაქვს და, როდესაც, მეუბნება ადამიანი, რომ მისი უფლებები ირღვევა, გამოსაკვებად არ ყოფნის 10 ლარი, მე უძლური ვარ რაიმე ვუპასუხო.

ესაუბრა **ქეთინო გეჯაძე**

## მსოფლიოს გარშემო

### ლატვიას საერთაშორისო იზოლაცია ემუქრება

ეუთოს უმაღლესმა კომისარმა ლატვიის ხელისუფლება ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებების სისტემატიური დარღვევის გამო ლატვიის საერთაშორისო იზოლაციის შესაძლებლობის შესახებ გააფრთხილა.

ეუთოს უმაღლესი კომისრის, მაქს ვან დერ სტუპის თქმით, რიგამ უნდა შეასრულოს ევროპაში მიღებული ჰუმანიტარული სამართლის ნორმები, თუ მას საერთოევროპულ სტრუქტურებში მონაწილეობის სურვილი გააჩნია. თვით „არამოქალაქეთა“ სტატუსი ლატვიაში, საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე ნონსენსს წარმოადგენს. ამჟამად ლატვიაში ამ განსაზღვრების ქვეშ მოხვდა 650 ათასი ადამიანი, რაც მოსახლეობის მესამედს წარმოადგენს. ამ დღეებში ლატვიაში მოქალაქეობის საკითხზე არსებული უთანხმოებების გამო მთავრობა ლამის გადადგა.

### გროზნოს 4 აპრილის შეხვედრასთან დაკავშირებით

აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ ოფიციალური წერილით მიმართა ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მოვლადი უდუგოვს, სადაც იგი უკმაყოფილებას გამოთქვამს, 4 აპრილს გროზნოში კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლების შეხვედრაზე სოხუმის მთავრობის არმიწვევასთან დაკავშირებით.

როგორც ვიუწყებოდით, შეხვედრაში მონაწილეობას საქართველოს დელეგაცია მიიღებს.

ს. შამბას წერილში ნათქვამია, რომ ეს არის კავკასიის ზოგიერთი ხალხის, კერძოდ, აფხაზების მიმართ სუბიექტური პოზიციის გამოვლინება და ხელს უშლის კავკასიის ხალხების კონსოლიდაციას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, „იფრინდა“-ს ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს ს. შამბას მიერ მათთვის წერილის გაგზავნის ფაქტი. თუმცა, დაწვრილებით კომენტარზე უარი განაცხადეს.

როგორც „იფრინდა“-ს ჩეჩნეთის საგარეო უწყებაში კარგად ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, აღნიშნული ნაბიჯი მხოლოდ იმითაა ნაკარნახევი, რომ ჩეჩნეთს ვ. არძინბას ხელისუფლების მიწვევით, სოხუმის რუსეთთან უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება არ სურდა, რადგან ჩეჩნეთმა კარგად უწყის მოსკოვსა და სოხუმს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების შესახებ.

როგორც „იფრინდა“-სათვის გახდა ცნობილი, საქართველოს დელეგაციამ გროზნოს შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად ოფიციალური მიწვევა მიიღო. დელეგაციის შემადგენლობა 3 აპრილისათვის იქნება ცნობილი.

### კირიენკო სექტანტია?!

რუსეთის პრესაში გავრცელდა ინფრმაცია იმის შესახებ, რომ სერგეი კირიენკო ერთ-ერთი ტოტალიტალური სექტის წევრია, რომელიც ამერიკელმა მწერალმა-ფანტასტმა, რონ ჰაბარდმა ჩამოაყალიბა. ეს ფაქტები ცნობილი გახდა გერმანულ გაზეთ „ბერლინერ ცაიტუნგის“ კორესპონდენტის მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების შედეგად.

1994 წელს კირიენკო სწავლობდა „ჰაბარდ-კოლეჯში“, რომელიც ჰაბარდის „საიენთოლოგიური ეკლესიის“ საერო ფილიალია. ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში ამ სექტის მოღვაწეობა სასტიკადაა აკრძალული. „ჰაბარდ-კოლეჯის“ მსმენელებს ასწავლიან ადამიანის ფსიქიკის მანიპულირებას და სხვა პიროვნებების საკუთარი პიროვნებისადმი სრულ მორჩილებაში მოყვანას. სექტის ამჟამინდელი ლიდერები არც უარყოფენ, რომ მათი ჭეშმარიტი მიზანია – მსოფლიოში გაბატონება.

# რატომ მოკლეს გოჩა ესებუა?!

[illegible]

გადაგდებული, ცრუიმედებით დახუნძლული სატყუარა. საფიქრებელია, შერიგებაზე ხმამაღალი საუბრები სახელისუფლებო ტრიბუნებიდან ასეთივე სატყუარა აღმოჩნდეს და გარკვეულ ეჭვს ამის შესახებ კიდევ უფრო აძლიერებს მიმდინარე წლის 31 მარტის მოვლენები, ანუ პრეზიდენტის გამოსვლა მოსწავლეთა სასახლეში 31 მარტის რეფერენდუმის თაობაზე, სადაც კვლავ გაიჟღერა შერიგება-შემორიგების ტონალობამ და ამავე დროს, ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა მანიფესტაციის მკაცრმა აღკვეთამ და დაშლამ.

ყოველივე ამან ბევრში ერთგვარი ასოციაციები შექმნა ამ ახლო წარსულიდან, ანუ იმ პერიოდიდან, როცა ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა ერთი ნაწილი ყვავილების სროლით „აშინებდა“ მათ მოწინააღმდეგეთა შეიარაღებულ რაზმებს. 31 მარტსაც, მიმდინარე წელს, ქვეყნის პრეზიდენტი ხმამაღლა საუბრობდა რეფერენდუმის (1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი დამოუკიდებლობის შესახებ) დიდ მნიშვნელობაზე ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში (რაც წინა ხელისუფლების დამსახურებაა) და ამავე დროს, მისი სამართალდამცავი ორგანოების სხვადასხვა რაზმები სრულიად უცერემონიოდ შლიდნენ ყოფილი ხელისუფლების მომხრეთა მანიფესტაციას.

კაცობრიობის ისტორიაში, მოყოლებული ჩვენთვის ცნობილი ფაქტებიდან და დამთავრებული დღევანდელობით, ყოველ პოლიტიკოსს, იქნებოდა ეს დიქტატორი თუ დემოკრატი, სახელმწიფოს მართვის საკუთარი ხელწერა ახასიათებდა. შევარდნაძის პოლიტიკასაც, შეიძლება ითქვას, საკუთარი ხელწერა ახასიათებს და მისი არსი, ისე ჩანს, მდგომარეობს იმაში, რომ სიტყვით გაკეთდეს ერთი საქმე და საქმით კი, — მეორე. პოლიტიკა თამაშიაო, ნათქვამია, მაგრამ თამაშსაც გააჩნია და თამაშსაც, ანუ ყველა თამაშს თავის კანონები აქვს და ამ კანონებში, ალბათ, ყველაზე აუცილებელი პირობაა პატიოსნება. ექვსი წელი მიიწურა მას შემდეგ, რაც შევარდნაძე ქვეყნის სათავეშია და მის ყოველგვარ პოლიტიკურ თამაშსა თუ სვლებს, არ ვიტყოდი მთლიანად — მეთქი, მაგრამ მეტწილად ქვეყნისათვის საზიანო რამ მოჰქონდა. არ არის იმისი ჩამოთვლა აუცილებელი, თუ რა ფაქტები და მოვლენები იგულისხმება ამ საზიანო რამის ქვეშ, ეს თავად მკითხველმაც დიდებულად უწყის, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, არ დადგა დრო პრეზიდენტმა კი არ ითამაშოს, არამედ ის პოლიტიკა განახორციელოს, რომელიც მართლაც შეგვარიგებს ქართველებს და დაგვრაზმავს ერთი მიზნისკენ: ქვეყნის აღმშენებლობისა და მისთვის [illegible] თავისუფლების მოპოვებისაკენ.

თავის დროზე ზვიად გამსახურდიას მისი ოპონენტები უკიჟინებდნენ, ავტორიტარულ მმართველობას ამყარებ, კლანურ სახელმწიფოს ქმნიო და ა. შ. მაშინდელი ოპონენტები პრეზიდენტისა დღეს პირში წყალს იგუბებენ და კრინტსაც არ ძრავენ იმაზე, რომ დღესაც მიმდინარეობს ერთ კაცზე მორგებული ქვეყნის მშენებლობა, დღესაც გარკვეული კლანების ხელშია სახელმწიფო და რაც დრო გადის, ეს პროცესი კიდევ უფრო ღრმავდება. იმ ადამიანთა უმრავლესობაში, ვინც თავის დროზე ტაშით შეხვდა შევარდნაძის დაბრუნებას ხელისუფლების სათავეში და მასზე გარკვეულ იმედებს ამყარებდა, დღეს სრულმა უიმედობამ და პესიმიზმმა დაისადგურა. ბევრ მათგანს არ სჯერა შევარდნაძის უთვალავი დაპირებებისა და საოწარკვეთილი ეძებს საკუთარი ქვეყნისა და თავის გადარჩენის გზას. მე მესმის, რომ ერთი ხელის მოქნევით არც ქვეყანა აშენდება და არც სოფელი, მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს: არნახულმა კორუფციამ, ცალკეული პირების ანუ კლანების მიერ გარკვეული სფეროების სრულმა მონოპოლიზებამ, ბიუროკრატიის ზღვარდაუდებელმა პარპაშმა და მთელი ერის კუთვნილი ქონების, უცხოური კრედიტების დიდი ნაწილის იგივე კლანების მიერ მითვისებამ ქვეყანა დააქცია და გაამათხოვრა. დღეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ქვეყანაში საშუალო ფენა არ გაჩნდეს, იყოს მხოლოდ უსაშველოდ მდიდარი და ასევე უსაშველოდ ღატაკი. თუ ჩემი არ გჯერათ, გაიკითხეთ და დარწმუნდებით, თუ რა დღეშია ქართველი მეურნე სოფელში, მეწარმე და ბიზნესმენი ქალაქში, რომელსაც თავისი მცირე ბიზნესი ვერ აუწყვია იმის გამო, რომ მას სახელმწიფო არც ეხმარება და მეტიც, უსაშველო გადასახადებით, ოფიციალურ-არაოფიციალური რეკეტით ახრჩობს და ძირშივე კლავს წამოწყებულ საქმეს.

ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობა მატერიალურადაც დაბეჩავებულია და სულიერადაც უძლური. ბევრ შემთხვევაში, ადამიანს წინააღმდეგობის, საკუთარი უფლებების დაცვის არც ძალა შესწევს და არც სურვილი ამოძრავებს. ეს კი შესაძლებელს ხდის ქართული მენტალიტეტისათვის, ცნობიერებისათვის მიუღებელი პროცესების განვითარებას და თუ არ ჩავთვლით ცალკეულ საზოგადო მოღვაწეთა, პრესისა და ზოგიერთი სხვა საინფორმაციო საშუალების ფხიზელ კრიტიკას (რომელიც ხშირად რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა) ხელისუფლების შიგა თუ საგარეო პოლიტიკის მისამართით, შეიძლება ითქვას, ქვეყანა სრულ ჭაობშია ჩაფლული და ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ჭაობი დღითიდღე უფრო ღრმავდება და ფართოვდება.

ერთგან ვწერდი, რომ ქართველებს გენში გვაქვს გამჯდარი მაქსიმალიზმი ანუ ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავარდნა-მეთქი. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ამჯერადაც ასე გვემართება. ადრე თუ რუსეთზე ამოგვდიოდა მზე და მთვარე, ახლა ამერიკანიზმისაკენ, ევროპეიზმისაკენ ვიხრებით და საკუთარ ეროვნულ ნიშან-თვისებებს დღითიდღე უგულვებელვყოფთ. მყვირალა სარეკლამო პლაკატები თუ



სატელევიზიო კლიპები გამუდმებით გვიჩიჩინებენ, ჩაწვდით ამერიკის სულსო და ა. შ. თუ ჩამოყალიბებულ მოქალაქეს, ასე თუ ისე, აქვს იმისი უნარი, რომ მსგავსი რეკლამისაგან დაიცვას საკუთარი ფსიქიკა, მოზარდებს ჯერ ეს წინააღმდეგობის უნარი გამომუშავებული არა აქვთ და ყველა რეკლამას თუ მიზანმიმართულ, მის ფსიქიკაზე გათვლილ სატელევიზიო კლიპს თვალის დაუხამხამებლად „ყლაპავს“. საბოლოო ჯამში ამ მოზარდისგან მივიღებთ მოქალაქეს, რომელსაც მართალია, სისხლი და ხორცი ქართული ექნება, მაგრამ მისი სულიერი ფასეულობანი ეროვნული ნიშნით არ იქნება ნასაზრდოები.

ალბათ, ასეთი მოქალაქეები არიან სწორედ ის ჯგუფი ადამიანებისა, რომელთაც დაუშვეს იმისი პრეცენდენტი, რომ ქართველის პასპორტში ეროვნება არ ეწეროს და მათს ეროვნულ იდეებზე უფრო მაღლა ე. წ. „დემოკრატია“ და ცხოვრების ამერიკულ წესზე გადასვლის დაუოკებელი სურვილი დევს ამერიკელებიც, გერმანელებიც, ფრანგებიც, რუსებიც და სხვა ერები თავიანთი ტრადიციების, ადათ-წესების მიმდევრები არიან და მათი ქცევა, ცხოვრების წესი მათივე ეროვნულობის ნიშნითაა აღბეჭდილი. ჩვენ ჩვენი, რაც კარგი გვაქვს და ღირსეული, უნდა შევინარჩუნოთ და საკუთარ სულიერ სამყაროს გავუფრთხილდეთ. ამაში არც ამერიკელი დაგვძრახავს, არც გერმანელი, არც ფრანგი და არც სხვა რომელიმე ერი. იმისათვის, რომ ეს გაკეთდეს, სახელმწიფო იდეოლოგიაა საჭირო და ამ იდეოლოგიის მიზანსწრაფული გატარება, მაგრამ ვეჭვობ, ეს შეძლოს ამ ხელისუფლებამ, რომელიც თავადვე ზრუნავს იმისათვის, რათა ქართველს პასპორტში მისი ეროვნულობის დამადასტურებელი გრაფა არ ჰქონდეს. გარდა ამისა, ეს საკითხი სხვა, კიდევ უფრო მტკივნეულ პრობლემებთანაა გადაჯაჭვული და ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

მივუბრუნდეთ შერიგების თემას. ამ დღეებში ტელევიზიით გადმოიცა ინფორმაცია, რომ ზუგდიდის რაიონში, ს. ონარიის ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში მყოფ გოჩა ესებუას და მისი ჯგუფის წევრებს პოლიციამ ალყა შემოარტყა და ხუთწუთიანი სროლების შემდეგ დაჭრილი ესებუა გარდაიცვალაო. ეს ინფორმაცია ოფიციოზის სატელევიზიო არხმა გადმოსცა და მისი სიზუსტის შემოწმების საშუალება ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ ტერორისტი, რომელსაც თავად სახელისუფლებო სტრუქტურებმაც კი ლამის ქება-დიდება შეასხეს იმ პერიოდში მის მიერ გამოვლენილი ჰუმანური დამოკიდებულების გამო მძევლების მიმართ, ასე უმოწყალოდ და შეუბრალებლად იქნა მოკლული. შესაძლოა, ესებუა ფლობდა გარკვეულ ინფორმაციას და ამიტომაც მოიშორეს თავიდან, ანდა, შესაძლებელია, ამ მკვლელობას სულ სხვა სარჩული და საფანელი ედოს. ყოველ შემთხვევაში, ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ საკითხავია, თუ 9 თებერვლის ტერაქტში მონაწილენი გაანთავისუფლეს გაუსვლელობის ხელწერილით, თუ 29 თებერვლის ტერაქტის მონაწილეთა დიდი ჯგუფიც ასევე მშვიდობიანად დააბრუნეს საკუთარ სახლებში, რატომ არ შეიძლებოდა გოჩა ესებუას ასევე სხვა ხერხებით აყვანა და მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება თუნდაც იმიტომ, რომ ქვეყნის მოსახლეობას მართლაც ერწმუნა ხელისუფლების მიერ უფრო ადრე განხორციელებული ჰუმანური აქტებისა? ყველაფერი ეს ბევრ საეჭვო, ურთიერთგამომრიცხავ კითხვას ბადებს, რომელსაც ალბათ, დროთა განმავლობაში გაეცემა პასუხი.

**სერგო ჯანაშია**

SPORT **სპორტის სამყარო** SPORT



# გაიმართა საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალების კენჭისყრა

მიუხედავად იმისა, რომ გაზეთ „11X11" საპირველაპრილო ხუმრობა უმრავლესობამ სერიოზულად მიიღო, საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალების კენჭისყრა ფედერაციის მიერ დანიშნულ დღეს შედგა.

ამჯერად ფეხბურთის ფედერაციამ სიურპრიზი შემოგვთავაზა, კენჭისყრა ფედერაციის შენობის გარეთ რესპუბლიკის მოედნის მიწისქვეშა კომპლექსში, კინოთეატრ „ივერიის" ფოიეში ჩატარდა, სადაც ამჟამად ტოტალიზატორი „ტოტო ბამბოა" განთავსებული. სწორედ „ტოტო ბამბო" მოგვევლინა ჟურნალისტებსა და ფეხბურთის სპეციალისტებს მასპინძლად, რასაკვირველია, ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად. იქ მისულ აუდიტორიას მშვენიერი საფეხბურთო ატმოსფერო დაგვხვდა. კედლებზე დამონტაჟებულ ტელევიზორებში გვაჩვენა ჩემპიონთა თასის ნახევარფინალების ამსახველი ფრაგმენტები. აღსანიშნავია, ჩვენთვის ის კეთილმოსურნე დამოკიდებულება რაც დარბაზში სუფევდა, მასპინძლებმა შემოგვთავაზეს ლუდი, კოკა-კოლა, ყავა და საერთოდ ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს მასპინძლები ჩვენი ყველა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მზად იყვნენ, რაც ჩვენთვის ძალზე სასიამოვნო ფაქტორი გახლდათ. მასპინძლების კეთილგანწყობის მიუხედავად, ჩვენ კენჭისყრის პროცესი გვაინტერესებდა. გაზეთ „ალიას" კორესპონდენტმა მერაბ მამულაშვილმა შეამოწმა ბარაბანში მოთავსებული კაფსულები. ვერ გეტყვით რომელი კრიტერიუმებით სარგებლობდა მერაბი, მთავარია იგი კმაყოფილი დარჩა. კენჭისყრის პროცესი სფფ-ს საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ბატონმა ნოდარ კობერიძემ გახსნა, მან აღნიშნა, რომ მომავალში კენჭისყრისა და პრესკონფერენციების უმრავლესობა აქ ჩატარდება, რაც ჩემი აზრით ფედერაციის მიერ კიდევ უფრო წინ გადადგმული ნაბიჯია საზოგადოებასთან გულისხმიერი კონტაქტების მხრივ.

დავუბრუნდეთ უშუალოდ კენჭისყრას. ბატონმა დავით კვინიკაძემ შემოგვთავაზა კენჭისყრის პროცედურის ორი ვარიანტი, გუნდების ნუმერაცია ყოფილიყო ჩემპიონატში დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით ან თითოეული გუნდი თვითონ აირჩევდა კენჭისყრის მიხედვით საკუთარი გუნდის ნომერს. საბოლოოდ მეორე ვარიანტმა გაიმარჯვა და გუნდები შემდეგნაირად გადანაწილდნენ: №1 შეხვდა თსუ-ს გუნდს. №2 — ბათუმის „დინამოს", №3 — თბილისის „დინამოს" და №4 — გორის „დილას". შემდგომ გუნდების წარმომადგენლებმა კენჭისყრის შედეგად გაარკვიეს თუ ვინ ვის შეხვდებოდა თასის გათამაშების ნახევარფინალში.

გუნდები ასეთნაირად განაწილდნენ: ბათუმის „დინამო" შეხვდება თბილისის თსუს. ხოლო მეორე ნახევარფინალში თბილისის „დინამო" — გორის „დილას". (პირველი დასახელებული გუნდები 14 აპრილს მასპინძლის როლში მოგვევლინებიან გათამაშების პირველ ეტაპზე, ხოლო განმეორებითი მატჩები შედგება 26 აპრილს).

კენჭისყრის შემდეგ ჩვენ გავესაუბრეთ გუნდების წარმომადგენლებს.

**თსუ:** ახლა უკეთესი ვარიანტი ჩვენნაირი შესაძლებლობების გუნდთან შეხვედრა იყო, მაგრამ თბილისის „დინამო" არ შეგვხდა და „დინამოს" გარდა ყველა გუნდთან შეიძლება თანაბრად თამაში. შანსები 50\50-ზეა. ეს მაინც თასის გათამაშებაა და რაც არ უნდა სუსტ გუნდს შეხვდე, ყველას შეუძლია მობილიზაციის გაკეთება და არავინ იცის როგორ დამთავრდება ეს თამაშები.

— **როგორ სიტუაციაში ჩატარდა კენჭისყრა და რაიმე პრეტენზიები ხომ არა გაქვთ დღევანდელი პროცედურის გამო?**

— ყველაფერი ნორმალურად იყო. მე ისეთი არაფერი შემიმჩნევია. ბედმა რაც გვარგუნა, იმით უნდა დავკმაყოფილდეთ.

**თბილისის „დინამო":** პრინციპში კმაყოფილი ვართ. ისე ჩვენთვის სულერთი იყო, თუ ვის შევხვდებოდით. როცა მაღალი მიზნებისათვის ფიქრობ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ვის შეხვდები. წელს „დინამოს" დუბლი აქვს დაგეგმილი და მოწინააღმდეგე გუნდის არ უნდა გვეშინოდეს.

**გორის „დილა":** რა მნიშვნელობა აქვს ვინ შეგვხვდებოდა. 4 გუნდი იყო სულ და ჩვენთვის სასურველი ვარიანტი „დინამოს" გარდა ყველა გუნდი გახლდათ. მაგრამ ბედმა რაც გვარგუნა, იმას ვერსად გავექცევით.

თემის გაგრძელება

## კენჭისყრის შემდეგ ჩვენ დავინტერესდით კლუბ „ტოტო ბამბო"-თი და გავესაუბრეთ მის პრეზიდენტს

— **ბატონო დავით, კოტა უცნაურია თასის გათამაშების კენჭისყრის ჩატარება თქვენს კლუბში. აქამდე კენჭისყრა ფედერაციის შენობას არ გასცილებია. ჩვენ გვაინტერესებს რითი დაიმსახურა ესოდენ დიდი პატივი თქვენმა კლუბმა და რას წარმოადგენს „ტოტო-ბამბო"?**

— თვითონ კლუბის დასახელებაში „ტოტო-ბამბო" იგულისხმება საკლუბო სისტემა და აქედან გამომდინარე ჩვენი ბიზნესი სპორტზეა აგებული. ბიზნესის გარდა გვინდა, რომ სპორტული სამყაროს პატარა ნაწილიც იყოს ჩვენს კლუბში. დღეს ძალიან სასიამოვნო ფაქტი მოხდა, ჩატარდა თასის გათამაშების კენჭისყრა და ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც ასე იქნება. კლუბის მესვეურები მოხარულნი იქნებიან მოემსახურონ ასეთ ღონისძიებებს და თვითონაც ჩაებნენ სპორტულ ცხოვრებაში, რაც ჩვენს ინტერესებში შედის და ჩვენ ყოველთვის ვეცდებით, რომ მხარში დავუდგეთ ფეხბურთის ფედერაციას. ჩვენი მიზანი მარტო ფულის გაკეთება კი არ არის, არამედ ქართული სპორტის სამსახურში თანადგომაა.

— **თბილისში ბევრი ტოტალიზატორი არსებობს, მათგან განსხვავებით თქვენთან ბევრად უფრო სასიამოვნო სიტუაციაა, მოქმედებს ბარი, ყოველ კუთხეში ჩამოკიდებულია ტელევიზორი, სადაც გულშემატკივრებს შეუძლიათ უყურონ თამაშებს.**

— მე მესმის რისი თქმაც გინდათ, ჩვენი ტექნიკური მხარე გვაძლევს საშუალებას, კლუბის წევრების მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ უმაღლეს დონეზე და არა მარტო სპორტით. ჩვენთან შეუძლიათ დადონ ფსონები, მაგალითად, თუ ვინ გახდება 1999 წელს „ოსკარის" მფლობელი ან 2000 წელს რუსეთის პრეზიდენტი და ასე შემდეგ. ამ მხრივ ჩვენთან შეზღუდვა არ იქნება. მითუმეტეს ჩვენ ვთანამშრომლობთ მსოფლიოს ყველა წამყვან ტოტალიზატორებთან და საბუკმეკერო კანტორებთან. ინფორმაციის უზარმაზარი მოცულობაც გვაქვს. ჩვენ ვამუშავებთ ამ ინფორმაციას და ჩვენი კლუბის წევრთ ვთავაზობთ თამაშსა და თამაშის პირობებს. გარდა ამისა თუ სპორტული ცხოვრების შეფასებას დავიწყებთ, ტოტალიზატორი სარკეა ამ სპორტული ცხოვრებისა. თუნდაც ფეხბურთი რომ ავილოთ და მასზე გავამახვილოთ ყურადღება, როგორც არ უნდა იკამათონ სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა, ყველაფერი მაინც ყველაზე ზუსტად ასახულია ტოტალიზატორების მიერ შემოთავაზებულ კოეფიციენტებში, თუნდაც თითოეული გუნდის ან სპორტსმენის ირგვლივ ჟურნალისტების დისკუსიები შეიძლება სუბიექტური იყოს. სამაგიეროდ ტოტალიზატორი ამას უარყოფს, რამეთუ მთელი მისი ბიზნესი ამაზეა დამყარებული, მის სწორ შეფასებაზე. შენ თუ სწორად არ განსაზღვრავ გუნდისა და სპორტსმენის შესაძლებლობებს, შენ მეორე დღესვე გაკოტრდები. ასე რომ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ტოტალიზატორი არის სპორტული ცხოვრების სარკე. ამით უნდა ისარგებლონ იგივე ჟურნასლიტებმა, სპეციალისტებმა და თუ გნებავთ გუნდის მწვრთნელებმაც.

— **ე. ი. რაღაც კატალიზატორის როლს ასრულებს ტოტალიზატორი?**

— დიახ, ყველაფერი აისახება იმ კოეფიციენტებში, რომლებსაც გთავაზობთ ტოტალიზატორი.

— **აქ მოსულ კაცს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ინგლისის ტოტალიზატორში, დადოს ფსონი თუნდაც დოლზე როგორი იქნება ანგარიშსწორება ამ პიროვნებასთან?**

— პიროვნება, რომელიც გადაწყვეტს უცხოურ ტოტალიზატორთან თამაშს, სასურველია იყოს ჩვენი კლუბის წევრი. რათა უფრო მეტად დავიცვათ ამ პიროვნების ინტერესები და მეც დაინტერესებული ვიყო თქვენი მოგებით, ვინაიდან მე არაფერს ვაგებ. როდესაც იმ ტოტალიზატორს ეთამაშებით, პირიქით, თქვენი მოგებით მეც მოგებული ვარ. ასე რომ, ასეთი სურვილის დაკმაყოფილების მსურველი უნდა გახდეს კლუბის წევრი. ამის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობა გააცნობს ნებისმიერი ტოტალიზატორის გათამაშების წესებს, მის პირობებს და თვითონ მოთამაშე აირჩევს მისთვის სასურველ ტოტალიზატორს. რაც შეეხება გადახდისუნარიანობას, მისი თანხის ოპერაციების ჩატარებაზე პასუხს ჩვენ ვაგებთ. ვიცავთ მის ინტერესებს იმ ტოტალიზატორზე. ჩვენთან მაღალ დონეზეა ფინანსური ოპერაციების ფაქტორი, მითუმეტეს ხელს გვიწყობს სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი" და კერძოდ, საკრედიტო ბარათების მომსახურების დეპარტამენტი ბატონი გუგა ბიბილაურის სახით. ასე რომ ფინანსური სირთულეები ჩვენთვის და მით უმეტეს მოთამაშისათვის არ არსებობს. ჩვენ რამდენიმე წუთში ვახდენთ მსოფლიოს ნებისმიერ ტოტალიზატორში ფსონის დადებას, ასევე ყველანაირ პირობას ვუქნით მოთამაშეს, რომ მან მოგებული თანხა მიიღოს მოგების ფაქტის დადგენიდან მეორე დღეს. მითუმეტეს, რომ არიან ტოტალიზატორები, რომლებიც მოგებიდან 10 დღის შემდეგ გასცემენ თანხებს.

— **ახლოვდება მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში და ყველაზე დიდი აუდიტორია სწორედ მას ჰყავს. ახალს რას სთავაზობთ თქვენს კლუბის წევრებს?**

— ჩვენი ტექნიკური მხარე იძლევა იმის წინა პირობას, რომ ფეხბურთი იქნება, თუ ნებისმიერი სპორტის სახეობა, ვაჩვენოთ პირდაპირ ეთერში. ჩვენ გვაქვს კინოდარბაზი შვიდმეტრიანი უზარმაზარი ეკრანით, სადაც მოხდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისა და მითუმეტეს ფეხბურთის მატჩების ჩვენება. დამერწმუნეთ, ეს დიდ ეფექტს იძლევა, შთაბეჭდილება გრჩება თითქოს უშუალოდ სტადიონზე ზიხარ.

— **ვიცით, რომ საზღვარგარეთ კეთდება უზარმაზარი ეკრანები მათთვის, ვინც ვერ ხვდება სტადიონზე. თქვენ გვთავაზობთ ანალოგიურ ვარიანტს, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ქვეყანაში ვცხოვრობთ?**

— ჩვენი უპირველესი მიზანი კლუბის გახსნიდან და გახსნამდე იმაში მდგომარეობდა, რომ პატივი გვეცა გულშემატკივართათვის, მაქსიმალურად დაგვეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნები. თუ როგორ გამოგვივა, ამას დრო გვიჩვენებს.

**დათო ავალიანი**

# ამ კვირაში გაიმართა ევროპის თასების გათამაშება

### ჩემპიონთა ლიგა

მადრიდში მატჩი დაგვიანებით დაიწყო. ამის მიზეზი მადრიდელთა ფანების მეტად ორიგინალური მოქმედებების ბრალი იყო. მათ კარების



მატჩის გმირი

უკან მოედანსა და ტრიბუნას შორის გაკეთებული გისოსები გადაამტვრიეს, ზედ მიმაგრებული კარებიც ზედ მიაყოლეს და მატჩის ორგანიზატორებს თავსატეხი გაუჩინეს. მთელი ერთი საათი დასჭირდათ კარების შესაცვლელად. მატჩი დაიწყო. სიმართლე გითხრათ, თამაში უინტერესოდ მიმდინარეობდა. „რეალმა" თითოეულ ტაიმში თითო გოლი გაიტანა და განმეორებით თამაშისათვის ასეთი დონის თამაშების შესაფერისად საკმაოდ კარგი ბურთების მარაგი დაიბევა.

რაც შეეხება მონაკოს თამაშს, აქ აშკარა ფავორიტმა საკმაოდ იოლად მოუგო ევროთასებზე ფრანგების უკანასკნელ იმედს. ამჯერადაც გაიბრწყინა იტალიელთა ახალმა ვარსკვლავმა დელ პიერომ. მან თამაშში ჰეთ-თრიკი შეასრულა და ნაკრებში თამაშისთვის საკმაო ქულები დაიწერა. როგორც შარშან, წელსაც „იუვენტუსი" ჩემპიონთა თასის ალების უპირველესი კანდიდატია, მაგრამ არა მგონია „რეალი" ზრდილობის გულისათვის გავიდეს ფინალში. მოკლედ, წინ მეტად საინტერესო საფეხბურთო ბატალიები გველოდება, ფეხბურთის გულშემატკივრები ბევრ სასიამოვნო წუთებს განიცდიან ამ თამაშებიდან. ჩვენც ვიმედოვნებთ რომ თასებს ღირსეული მფლობელები ეყოლება.

### უეფას თასი

ნახევარფინალების პირველ მატჩებში უეფას თასზე, ყველაზე საინტერესო მილანის „ინტერისა" და მოსკოვის „სპარტაკის" შეხვედრა იყო. პირველ რიგში გვაინტერესებდა „სპარტაკის" თამაში. ეს გუნდი მართლაც ასე ძლიერი იყო თუ „აიაქსთან" აჩვენა თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი. სამწუხაროდ, ამ თამაშმაც გამოცანად დაგვიტოვა „სპარტაკის" სიძლიერე.



ზე ელიასმა „ინტერს" უშველა

ანგარიში 2:1 უფრო „ინტერის" სუსტ თამაშზე მეტყველებს, ვიდრე „სპარტაკის" გააზრებულ და დახვეწილ თამაშზე. „ინტერი" ფეხბურთელების ინდივიდუალობის ხარჯზე თამაშობდა. ამ გუნდს საერთოდ მწვრთნელის ხელი არ ეტყობოდა. ჩემი აზრით გუნდს ნორმალური მწვრთნელი რომ ჰყავდეს, ალბათ მსოფლიოში მისი მომგები გუნდი არ იქნება.

რაც შეეხება მეორე მატჩს, „ატლეტიკო" — „ლაციო" აქ სტუმართა უპირატესობა აშკარა იყო. მათ უკვე პირველ ტაიმში შეეძლოთ მინიმუმ სამი ბურთით დაწინაურება, მაგრამ „ატლეტიკოს" იმ დღეს ბედი სწყალობდა. „ლაციო" კლასით აშკარად უფრო მაღლა იდგა თავის მოწინააღმდეგე გუნდზე და სწორედ კლასის ხარჯზე მიაღწია დიდ უპირატესობას. სამწუხაროდ, ანგარიშში ეს ვერ აისახა. თუმცა, როგორც ეტყობა, ფინალში გასვლაში „ატლეტიკო" მას ხელს ვერ შეუშლის. თუ პირველი თამაშებით ვიმსჯელებთ, უეფას თასის ფინალი იტალიური გამოვა და როგორც თავიანთ ჩემპიონატში, ისე ფინალშიც წინასწარ გაურკვეველი იქნება წლევანდელი თასის მფლობელი.

# ჩვენც თქვენსავით გვინდა ნორმალური კვება და ადამიანური ცხოვრება...

# ღია წერილი

## საქართველოს პრეზიდენტს, ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბ-ნ ზურაბ ქვანიას

**ბატონო ედუარდ!**

შრომის ფედერაციის მთაწმინდის რაიონული კომიტეტი მოგმართავთ თქვენ, რესპუბლიკის პრეზიდენტს, დაგვეხმაროთ ამჟამად ჩვენთვის მეტად საჭირობოროტო საკითხების თქვენებურად გადაწყვეტაში. ჩვენ გვჯერა თქვენი თანადგომისა, მხარდაჭერისა, ჩვენი თაობისადმი პატივისცემისა და ამიტომ გაწუხებთ და გთხოვთ ყურად ილოთ ჩვენი გასაჭირი, უმწეო მდგომარეობა, გულის ტკივილი და ჩვეული გულისხმიერებით მოგვისმინოთ.

გაცნობებთ, რომ 1996 წლის 21 მარტს შრომის ფედერაციის მთაწმინდის რაიონულმა კომიტეტმა, გაითვალისწინა რა სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა უაღრესად უკიდურესი ცხოვრების პირობები და მათ მიმართ კანონიერების დარღვევის შემთხვევები, ხელისუფლებას წარუდგინა რამდენიმე აუცილებელი მოთხოვნა, რაც სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვდა. პარლამენტიდან მივიღეთ პასუხი: „...გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს და შენიშვნებს ჩვენ ვიზიარებთ", იგივე მოთხოვნები გამოქვეყნდა გაზეთ „კავკასიონის" 1996 წლის 1 მაისის ნომერში. ამ მოთხოვნების ზოგი რამ, მართლაც გაკეთდა. უმრავლესობა კი შეუსრულებელი დარჩა, რის გამოც 1997 წლის 24 აპრილს შრომის ფედერაციის მთაწმინდის რაიონული ორგანიზაციის აქტივის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც 250-ზე მეტი კაცი ესწრებოდა, მათ შორის პარლამენტის, სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს, გამგეობის, შრომის ფედერაციის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხელისუფლების წინაშე კვლავ დააყენა მოთხოვნები, რომელიც ჩვენი რაიონის დეპუტატის ბატონ მამუკა არეშიძის მეშვეობით გადაეცა პარლამენტს განსახილველად, რაც განიხილეს და შეგვპირდნენ დროდადრო, ეტაპობრივად დააკმაყოფილებდნენ ჩვენს მოთხოვნებს. ამ ორი წლის მანძილზე იმედის თვალით შევსცქეროდით ჩვენ მიერ წაყენებული მოთხოვნების შესრულების მიმდინარეობას, და აი, ამ სამიოდე თვის წინ დიდი სიხარულით მივესალმეთ მთავრობის დადგენილებას ომის მონაწილეთა გათანაბრებულ კატეგორიისათვის პენსიის მომატების შესახებ. თუმცა გათანაბრება თანაბარ უფლებას ნიშნავს, ჩვენ მაინც არ ვიყავით გათანაბრებული მათთან: პენსიაც ნაკლები გვქონდა და მეტროს უფასო მგზავრობის ბილეთიც არ გვერგო. ამას შევურიგდით, რას ვიზამთ „ძალა აღმართსა ხნავს", მაგრამ დღეს თუ ეს ძალა უფრო დიდ ტკივილს მოგვაყენებდა, ამას ნამდვილად არ მოველოდით. ჩვენი სიხარული ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა, სარწმუნო წყაროები გვატყობინებენ, 4 აპრილიდან მომატებული პენსია აღარ იქნებაო.

**ბატონო ედუარდ!**

კარგად ვიცით, რომ დღეს ქვეყნის მართვის ყველა სფეროში დიდი სიძნელეები და ეკონომიკური კრიზისია. და ამიტომაც რაც შეგვიძლია ვითმენთ, რასაც კარგა ხანია შევეჩვიეთ. მაგრამ, როგორც ყველაფერს, მოთმენასაც ხომ აქვს საზღვარი. ჩვენ გვპირდებოდით, პენსიებს მოგიმატებთო. ჩვენც ვფიქრობდით, ეგებ გვეშველოს, ადამიანებმა ადამიანურად მოვითქვათ სულიო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ჩვენი სიხარული რაღაც სამი თვე (იანვარი, თებერვალი, მარტი) გაგრძელდა და ფოჩიანი კამფეტებით რომ ატყუებდნენ, იმ ბავშვების როლში აღმოვჩნდით.

ჩვენს თაობას ასეთი მოპყრობა არ დაგვიმსახურებია, რადგან არა ერთხელ დავამტკიცეთ ხელისუფლებისადმი თანადგომა და მხარდაჭერა, გამოვიარეთ ის სასტიკი დიდი სამამულო ომის წლები, დღედაღამ ვშრომობდით დარში თუ ავდარში, ჩვენთვის ნორმალური ძილი არ იყო და მოსვენება. ფრონტსაც ვკვებავდით და ქვეყანასაც. შეგვქონდა წმიდათაწმიდა წვლილი ომით დანგრეული ქვეყნის აღდგენაში, ვმონაწილეობდით მძიმე ხუთწლედებში, ერთი სიტყვით, პატიოსნური შრომით მოვიხადეთ ვალი სამშობლოს წინაშე. მოვედით დღემდე იმ შეგნებით, რომ მთავრობა იზრუნებდა მრავალ ჭირვარამგადახდილ, შრომაში გაჭაღარავებულ ამაგდარ ადამიანებზე, რომ სიბერის წლები ადამიანურად გაგვეტარებინა. თუ უცხოეთის ქვეყნებს ვბაძავთ ყველაფერში, მაშინ იმაშიც მივბაძოთ, რომ მოხუცებულები, ინვალიდები, ბავშვები იქ უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე ჩვენთან მოსამსახურეები.



განეული შრომისთვის ბევრმა პერსონალური პენსიაც დაიმსახურა. კომუნისტების დროს (რასაც ასე აუგად იხსენებს ისიც კი, ვინც კომუნისტებმა აღზარდა, აცხოვრა და კაცად გამოიყვანა) შრომასაც ფასი ჰქონდა და მშრომელსაც. ამიტომაც პერსონალურ პენსიონერებს ჩვეულებრივი პენსიონერებისგან განსხვავებით შეღავათები გვქონდა: უფასო მგზავრობა, უფასო მკურნალობა, უფასო დასვენება და ა. შ, რაც ახლანდელმა მთავრობამ, უკეთეს ცხოვრებამ რომ გვპირდება, ყველა შეღავათი მოგვისპო. მხოლოდ ერთი დაგვიტოვა მეტროთი უფასო მგზავრობის უფლება და, ბოლოს ისიც შეგვიწყვიტეს. თუ ყველაფერი, რაც კარგი იყო, გაგვიუქმეთ, მაშინ რად გვინდა ასეთი სამართლებრივი და დამოუკიდებელი სახელმწიფო?!

ვფიქრობთ, ზემოაღწერილ ჩვენს მდგომარეობას კომენტარი არ ესაჭიროება, რადგან კალამს ყოველთვის არ ძალუძს ყველაფრის ისე გადმოცემა, რასაც ადამიანი განიცდის...

დღეს ვგრძნობთ, ხანდაზმულები აღარავის ვჭირდებით, მაგრამ ჩვენც ხომ ვიყავით ახალგაზრდები და თქვენც დაბერდებით და თუ ისე მოგექცევიან, როგორც დღეს ჩვენ გვექცევით, მაშინ მიხვდებით, რომ ჩვენც ისეთი ადამიანები ვიყავით, როგორც თქვენ ხართ და ჩვენც თქვენსავით გვინდოდა ნორმალური კვება და ადამიანური ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში ჩვენ თაობას არ დაუმსახურებია შიმშილით სიკვდილი, რისი მაგალითები არა ერთია. ბოლოს და ბოლოს, კარს მომდგარ XXI საუკუნეს (თუკი მივაღწიეთ მანამდე) შიმშილით დაუძლურებული, გაუბედურებული ადამიანებით ხომ არ უნდა შევხვდეთ. ამიტომ თუ გვინდა სამართლიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენება, მათ, ვისაც სახელმწიფოს მართვის საჭე ხელთ უპყრიათ, გამონახეთ სახსრები სოციალურად დაუცველი ადამიანების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ხომ ამბობთ, ახლა ეკონომიკურად აღარ გვიჭირსო (ღმერთმა ქნას ასე იყოს), მართალია, ფინანსები შემოდის, უცხოელებიც გვეხმარებიან — მილიონობით თანხას გვირიცხავენ, ბანკებშიც ადგილობრივი გადასახადებისაგან შემოსული თანხებიც გროვდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ თანხებს ან არადანიშნულებისამებრ იყენებენ, ან იტაცებენ, რისი კონტროლი და მეტი მომთხოვნელობა რომ იყოს და დამნაშავეები ისჯებოდნენ, მსგავსი შემთხვევები არ განმეორდებოდა, ბანკებში თანხებიც საკმარისი იქნება და პენსიებიც დროულად გაიცემა. რაც შეეხება „საოჯახო დახმარებას", 6-7 თვეა არ გაცემულა. ეს თანხა 1998 წლიდან არ მიეცა იმათ, ვისაც პენსია მოემატა, მათ შორის ომის მონაწილეთა გათანაბრებულ კატეგორიას და თუ ამჟამად ამ კატეგორიის პენსიონერებს პენსია არ მიეცემათ, გამოდის, რომ მათ 9 ლარის მიღების უფლებაც დაკარგული ექნება, რადგან ამ წლის ბიუჯეტში ისინი შესული არ არის.

ახლა ისიც კი გავიგეთ, რომ თურმე ომის მონაწილეთა გათანაბრებულ კატეგორიის წარმომადგენლებს პენსია შეცდომით დაენიშნა, პარლამენტს იგი არ დაუკანონებია. საინტერესოა, მთავრობას შეცდომები რატომ მაშინ მოსდის, საქმე ხალხის კეთილდღეობას რომ ეხება, ერთხელ მთავრობის იმ შეცდომებზეც ილაპარაკონ უამრავ თანხას არადანიშნულებისამებრ რომ ხარჯავენ.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობას არ უნდა სჭირდებოდეს იმის შეხსენება, რომ სოციალურ ამოცანათა შორის პრიორიტეტი ადამიანის ეკონომიკურად უზრუნველყოფას უნდა დაეთმოს, ამიტომ ფინანსებს თუ გავუფრთხილდებით, ყველასათვის საკმარისი იქნება. თუ არა და დიდი ხელფასების მქონეთ ჩამოაჭრელით ცოტა თანხა და ჩაურიცხეთ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს ომის მონაწილეთა გათანაბრებულ კატეგორიისა და პერსონალური პენსიონერების სასარგებლოდ (ბოლოს და ბოლოს პარლამენტში უმრავლესობას ბევრი არაფერი გაუკეთებია ქვეყნისათვის, ახლაც მაინცდამაინც არ იწუხებენ თავს, ერთმანეთის კინკლაობასა და ლანძღვა-გინებაში ატარებენ დროს და თან მაღალ ხელფასებსაც ღებულობენ).

ჩვენ აქ ერთი საკითხი კიდევ გვაწუხებს: ყველას, ვისაც ათეული წლები უმუშავია და იმათაც, საერთოდ რომ არ უმსახურია, ერთნაირი პენსია რატომ უნდა ჰქონდეს. პენსია დამსახურებისა და სტაჟის მიხედვით უნდა გაიცეს. დროა ხელისუფლებამ უფრო ენერგიულად იფიქროს ხალხის კეთილდღეობისათვის, მარტო ნავთობისა და აბრეშუმის გზების ძებნა არ გვეყოფა. ეს მომავლის საქმეა. დღეს რა მოგველის, რით ვუშველოთ ხალხს — ამ გზების პოვნაზე უნდა ვიფიქროთ, უმართებულოა ასეთ მდიდარ და პერსპექტიულ ქვეყანაში ადამიანი შიმშილის გამო თავს იკლავდეს.

ჩვენი შრომის ფედერაცია საზოგადოებრივ საწყისებზე ემსახურება მარტოხელა პენსიონერებს, ინვალიდებს, უმუშევრებს, ომისა და შრომის ვეტერანებს, საერთოდ სოციალურად დაუცველ ფენას მოსახლეობისა.

ჩვენ, როგორც დამოუკიდებელი პროფკავშირი, მთავარ ამოცანად ვისახავთ ადამიანის ინტერესების დაცვას. ერთხელ ისიც კი ვიფიქრეთ, თუ ხელისუფლება ჩვენი მოთხოვნილებების მოგვარებაში არ დაგვეხმარება, საერთაშორისო პროფკავშირებს ჩავრევთ, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უარვყავით იმ მოსაზრებით, რომ იმ ქვეყანაში, სადაც, ბატონო ედუარდ, თქვენ რესპუბლიკის პრეზიდენტად გიწამეთ, რატომ უნდა დაგვჭირდეს სხვისი დახმარება და ისიც უცხოელებისა, ვიცით, თქვენ თუ მოინდომებთ, შეუძლებელს შეძლებთ. უცხოელებს აქვთ თქვენი დახმარების იმედი და ჩვენ რატომ არ უნდა გვქონდეს თქვენი იმედი.

მართალია, დროდადრო გვეხმარებიან სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო, მთაწმინდის გამგეობა, მთაწმინდის აღორძინების ფონდი, პირადად რაიონის დეპუტატი ბატონი მამუკა არეშიძე და სხვა კეთილი ადამიანები, მაგრამ ათასეული უმწეო, უქონელი, გაჭირვებული ადამიანების ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად მათ ბიუჯეტებში წინასწარ განსაზღვრული მცირედი ფინანსები, არ არის საკმარისი, რაც მთავარია, არ არსებობს სახელმწიფოებრივი მიდგომა სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მიმართ.

ომის მონაწილეთა გათანაბრებული კატეგორიისა და პერსონალური პენსიონერების სახელით მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, დაგვიტოვოთ ის პენსია და უფლებები, რაც მოგვანიჭეთ. ამასთანავე გაითვალისწინეთ ის არასწორი გადაწყვეტილება, რომლის შედეგად ვინც განთავისუფლებულია გადასახადების გადახდისაგან, მაინც რომ ახდევინებენ ელექტროდენის გადასახადს და თუ ვართ განთავისუფლებული, მართლა, გაგვანთავისუფლეთ...

გვწამს, თუ ჩვენს თხოვნას ჩვეული გულისხმიერებითა და ჩვენი თაობის პატივისცემის ნიშნით გადაწყვეტთ, ჩვენი თაობის დიდ სიყვარულსა და ყოველ საქმეში ჩვენს თანადგომასა და მხარდაჭერას დაიმსახურებთ.

შეგახსენებთ, ხანდაზმულებს ისედაც ცოტა დრო დაგვრჩენია.

მეორეჯერ ამ ქვეყანაზე არავინ მოსულა, არც ჩვენ მოვალთ და სანამ ვარსებობთ, უნდა ვიარსებოთ. მოგვეცით საშუალება ვიცხოვროთ ადამიანურად.

ჩვენს თაობას არ ეკადრება მიტინგების, აქციების, მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლები, მაგრამ თუ ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს არ შეგვისრულებთ, იძულებული ვიქნებით, ვიკადროთ...

ღმერთი იყოს თქვენი, ჩვენი და სრულიად საქართველოს შემწე.

**ალექსანდრა აროშელიძე**

***შრომის ფედერაციის მთაწმინდის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, პერსონალური პენსიონერი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.***

# ახალი ამბები

## რეგისტრაცია გაიარო, ეს ნიშნავს, აღიარო

„თენგიზ კიკაჩეიშვილსა და მის ე.წ. „მრგვალ მაგიდას" მხარდაჭერა პრაქტიკულად არ გააჩნია" - განაცხადა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრმა, ავთანდილ დავითაიამ. მან კიკაჩეიშვილი იმაში დაადანაშაულა, რომ 20-100 ათასკაციანი მიტინგი 100-200 კაცამდე დაიყვანა და ამის შედეგად შეკრებებს დარბაზებში ატარებს.

როგორც დავითაია თვლის, კიკაჩეიშვილის შეცდომა ისაა, რომ „მრგვალმა მაგიდამ" რეგისტრაცია გაიარა საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებაში. მან გაკვირვება გამოთქვა ამასთან დაკავშირებით. „როგორ გაიარეს რეგისტრაცია ისეთმა ორგანიზაციებმა, რომელშიც 2-3 ადამიანი შედის? რეგისტრაცია გაიარო, ეს ნიშნავს, აღიარო ეს წყობა, ეს ხელისუფლება და ეს კონსტიტუცია" - განაცხადა დავითაიამ.

## კანონპროექტი ეროვნულ-დემოკრატებმაც დაიწუნეს

საპარლამენტო ფრაქცია ედპ-ის პრინციპული შენიშვნა „საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების" მიმართ ის იყო, რომ მასში მოცემულია აბსოლუტური უპრინციპობა. ფრაქციის აზრით, ცვლილებები არ უნდა ხდებოდეს წლის განმავლობაში, ისინი არ უნდა აუარესებდეს გადამხდელის მდგომარეობას, არ უნდა იწვევდეს დამატებით შეღავათებს და განთავისუფლებებს, ერთი და იგივე ტიპის გადასახადი სხვადასხვა პირისთვის განსხვავებული არ უნდა იყოს, ექსპორტ-იმპორტში მონაწილე სუბიექტები თანაბარ მდგომარეობაში უნდა იყვნენ.

**გეა**

## შეცდომის გასწორება

გაზეთ „საქართველოს" ოცდამეორე ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში თამარ ჩხეიძესთან, სათაურით: „ხელისუფლებას ძალზე გამოკვეთილი კურსი აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან არ გამომდინარეობს" — გაიპარა უზუსტობანი. დაბეჭდილი იყო ფრაზა: 1) „ქალბატონ თამარ ჩხეიძეს მკითხველი იცნობს, როგორც ილია მართლის საზოგადოების ყოფილ თავმჯდომარეს" — უნდა იყოს: „მკითხველი მას უკვე იცნობს, როგორც ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრს". 2) „თურქ-მესხების ჩამოსახლების პროცესი სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოხდეს და ვეცადოთ, რაც შეიძლება თავი დავიზღვიოთ პროვოკაციებისაგან", უნდა იყოს: „მაჰმადიანი მესხების ჩამოსახლების პროცესი ამ ხელისუფლების პირობებში შესაძლებელია ქვეყნის და თვით ამ გაწამებული ხალხის საზიანოდ პროვოკაციებისათვის იყოს გამოყენებული, ამიტომ ამ პროცესის ადეკვატურად და ფრთხილად მოგვარება ეროვნული ინტერესების გამომხატველ ხელისუფლებას შეუძლია". 3) „ვერ ვიტყვი, 31 მარტი რაიმე ღირსშესანიშნავი თარიღია-მეთქი ჩემთვის, ჩვენ თავისუფლება ამ დღეს არ მოვიპოვეთ, რეფერენდუმი დაკარგული თავისუფლების აღდგენისათვის ჩატარდა, თუმცა არ უარვყოფ, რომ რაღაც ეტაპი თავისუფლების დაბრუნებისთვის ნამდვილად იყო", უნდა იყოს: „1921 წლის ოკუპაციის შედეგად საქართველოს მიერ დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის უფლება ჩვენ რეფერენდუმის გარეშეც გვქონდა, მაგრამ რეფერენდუმი მაინც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, როგორც რაღაც ეტაპი დამოუკიდებლობის დაბრუნებისათვის".

# თავისუფალი სამუშაო ადგილები

| პროფესია | პროფესიონალური თვისებები | ასაკი | მინ. ხელფასი | რაოდ. |
|---|---|---|---|---|
| ფინანსური მენეჯერი | კაცი. უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, სასიამოვნო გარეგნობით, ინგლისური და კომპიუტერის ცოდნა აუცილებლად. სტაჟი არანაკლებ 2 წლისა. იცოდეს GAAP დასავლური ბუღალტერიის ბალანსი, აღრიცხვა. | 23-30 წ. | 400 ლარი | 1 |
| ფსიქოლოგი | ქალი/კაცი უმაღლესი ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური განათლებით ინგლისური სპეციალისტის დონეზე. კომპიუტერი მომხმარებლის დონეზე. ჰქონდეს ფსიქოლოგად ან სოციოლოგად მუშაობის გამოცდილება. | 22-40 წ. | 300 დოლარი | 1 |
| სარეკლამო აგენტი | ქალი ახალგაზრდა, ენერგიული, სასიამოვნო გარეგნობით, კომუნიკაბელური, ერუდირებული, საჭიროა ინგლისურის კარგად ცოდნა. სიმაღლე არანაკლებ 170 სმ. | 18-25 წ. | 500 ლარი | 5 |
| მენეჯერი | ქალი. ენერგიული, კომუნიკაბელური, სასიამოვნო გარეგნობის, რუსულის კარგად მცოდნე, პასუხისმგებლობის გრძნობით. მოვალეობა — სარეკლამო წერტილებთან კლიენტების მოზიდვა. | 25-35 წ. | პირველი თვე 60 ლარი, შემდეგ 100 ლარი | 1 |
| მარკეტინგის დირექტორი | კაცი უმაღლესი განათლებით, სასიამოვნო გარეგნობის, კომპიუტერისა და ინგლისურის ღრმა ცოდნით, მოვალეობა — ბაზრის შესწავლა, სარეკლამო საქმიანობა, საქმიანობის სტიმულირება. სტაჟი 2-3 წ. | 23-35 წ. | 400 ლარი | 2 |
| ოპერატორი | კაცი უმაღლესი განათლებით ინგლისური მომხმარებლის დონეზე. ჰქონდეს ოპერატორად მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 3 წელი. შეეძლოს დაკაბადონება. | 22-20 წ. | 100 ლარი | 1 |
| მდივან-რეფერენტი | ქალი სასიამოვნო გარეგნობით, უმაღლესი განათლებით, უცხო ენის სპეციალისტი, ინგლისური, რუსული და კომპიუტერი ბრწყინვალედ. მოვალეობა — ინგლისური საბუთების თარგმნა, ტელეფონის ზარებზე პასუხის გაცემა, კომპიუტერზე მუშაობა, სტაჟი 1-3 წ. | 24-35 წ. | 150 ლარი | 1 |
| კურიერი | კაცი ინტელექტუალური, სასიამოვნო გარეგნობით, პასუხისმგებლობის გრძნობით, რუსული ენის კარგად მცოდნე მოვალეობა — ფოტო-მიმღებ პუნქტებში სხვადასხვა შეკვეთების ათვისება. | 20-25 წ. | პირველი თვე 60 ლარი, შემდგომში 100 ლარი | 1 |
| მდივან-რეფერენტი | ქალი უმაღლესი ჰუმანიტარული განათლებით, იცოდეს ინგლისური და კომპიუტერი ბრწყინვალედ (OFFICE 97) მოვალეობა — დოკუმენტების, საქმიანი წერილების წარმოება, სტუმრების მიღება. სტაჟი 2 წ. სამუშაო დრო 10-00-18-00 | 24-40 წ. | 250 დოლარი | 1 |

**ახალგაზრდული ფონდი „მოსახლეობის დასაქმების ცენტრი"**
ქ. თბილისი, უ. შარტავას 7 ტელეფონი: 38-94-68 ფაქსი: 38-14-43.
**დასაქმების ცენტრი №2,** მარჯანიშვილის ქუჩა №5
III სართული, ოთახი 42 ტელეფონი: 95-11-92.


## ექსპრეს აუდიტ სერვისი

*ლიცენზია №091*

*გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურებას*

*ზოგად აუდიტში*

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
ქონების შეფასება-გადაფასება;
ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. 5, მე-2 სართ. ტელ.: 93-15-89

## რეკლამის განთავსების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველო" თავისი ნომრის ერთ გვერდს
უთმობს სარეკლამო განცხადებებს.
რეკლამა კეთდება შეღავათიან ფასებში.
ყოველი მესამე გამოშვება თქვენთვის
**უფასოა**

დაგვიკავშირდით ტელ.: 93-18-41, 93-20-36 ან მობრძანდით მისამართზე:
თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული,
გაზეთ „საქართველოს" რედაქცია.



## გიწვევთ!

გაზეთ „საქართველოს" სარეკლამო განყოფილება სამუშაოდ გიწვევთ 19-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს.

მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული, ტელ: 93-18-41, 93-20-36

*გამოიწერეთ გაზეთი*

## „საქართველო"

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს" ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:
- მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
- გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
- დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
- ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
- ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
- აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
- რ.თაბუკაშვილის ქ. №12
- ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
- ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე"-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.


# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. უცხოური ავტომობილი; 3. საწოლის სახესხვაობა; 5. რაც ერთმანეთთან მიჯრით, მტკიცედ დაკავშირებული ნაწილებისგან შედგება; 8. ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე, აშშ ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში; 9. მანძილი ავტომობილის აგრეგატების ყველაზე დაბალ წერტილებსა და გზის ჰორიზონტალურ სიბრტყეს შორის; 10. ტყავი სამხედრო ფეხსაცმლისათვის, ჩექმებისათვის... 11. ჯგუფი, რომელსაც მინდობილი აქვს საკითხის წინასწარ გარკვევა და შესწავლა; 13. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი (თანამოსახელეებს შორის რიგით მეორე); 16. ხმის გამაძლიერებელი; 17. [illegible] წყრომა, აღშფოთება; 18. მსხვილი მიწათმფლობელი ყოფილ პრუსიაში; 21. სოფელი ირკუტსკის ოლქში, სადაც გადასახლებული იყო პოლიტპატიმარი მერაბ კოსტავა; 24. თავსაბურავი; 26. სასაფლაო გამორჩენილ ადამიანთათვის; 27. უკანასკნელი მეფე ბაგრატიონთა სამეფო ტახტზე; 28. კ. გამსახურდიას რედაქტორობით თბილისში 1922-23 წლებში გამომავალი ჟურნალი; 29. ევროპის ერთ-ერთი უძველესი და უმშვენიერესი ქალაქი; 30. შუბის სახესხვაობა.

**შვეულად:** 1. ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი; 2. ომისდროინდელი ქართველი ბიჭების „გამოგონება", ბურთის სანაცვლოდ — დედისეულ წინდაში გამოკრული ერთი მუჭა ლობიო ან სიმინდი; 3. სატყორცნი იარაღი (ბარჯი) ვეშაპებზე და დიდ თევზებზე სანადიროდ; 4. ფილმი ოთარ კობერიძის მონაწილეობით; 6. ძველქართული საცხოვრებელი სახლი, რომლის დამახასიათებელია დედაბოძი და გვირგვინი; 7. თვალთმაქცი, მატყუარა (სასაუბრო სიტყვა); 11. წარმართული ღვთაების ქანდაკება; 12. ძველქართული „მიჭრიტანას" თანამედროვე შესატყვისი; 14. სახელმწიფო, იმპერია (გერმანიისა); 15. ერაყის მოსაზღვრე ქვეყანა; 19. კოშკის ან კედლის მუსიკალური საათი; 20. ცნობილი ჩეჩენი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე; 22. გარკვეული მდგომარეობისა და მიმართულების მქონე სწორხაზოვანი მონაკვეთი; 23. სისხლდენის შესაჩერებლად ჭრილობაში ჩასადები მარლა; 23. სკკპ-ს ერთ-ერთი „უდღეური" ბელადი; 25. ცეცხლსასროლი იარაღი.

# განცხადებები

## ბინები

**ქირავდება**

ვაქირავებ სარდაფს (საცხოვრებლად შეიძლება). მისამართი: ტყვიავის ჩიხი № 4. ფასი 40 დოლარი. ტელ: 96-49-05.

ვაქირავებ ერთ ოთახიან ბინას პატარა სამზარეულოთი, ტელეფონით, მეორე სართულზე. მის: ტყვიავის ჩიხი № 4 (ვორონცოვზე), ტელ: 96-49-05 ფასი: 120 დოლარი.

ქირავდება ორ ოთახიანი ბინა მეტრო „გოცირიძესთან" ავეჯით, ტელეფონით, ცხელი წყლით. ფასი 200 დოლარი. ტელ.: 39-47-23 39-87-73.

ქირავდება სამოთახიან ბინაში ერთი იზოლირებული ოთახი, აუცილებელი ნივთებით, მეტრო „პოლიტექნიკურთან". მის: გამსახურდიას გამზ. მე-4 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-81-58.

**იყიდება**

ვყიდი ორ ოთახიან, სუფთა, ტელეფონით უზრუნველყოფილ, პრივატიზებულ ბინას ორი ლია აივნითა და რკინის კარებით. შუქი მუდმივადაა. საერთო ფართი 60 კვ.მ. (აქვს მიშენების პერსპექტივა 40 კვ. მეტრის). ფასი 27000 დოლარი. მის: კოსტავას ქ. № 50 (რესტორან „ევროპის" პირდაპირ), მე-3 სად., მე-8 სართ., ბინა 65 (ლიფტი სულ მუშაობს) ტელ.: 98-78-17. ქუთათელაძე.

იყიდება ორ ოთახიანი ბინა ლოჯით, ტელეფონით, 8 სართულიანის მე-8 სართულზე (კინოთეატრ „საქართველოსთან"). ფასი 11000 დოლარი. ტელ.: 68-71-46.

იყიდება ორ ოთახიანი ბინა 15X12 ფართით, საერთო ფართი 42 კვ.მ. პირველი სართული, ტელეფონით. მისამართი ალმაშენებლის 137. ფასი 10000$.

## სწავლა

ვასწავლი ჭრა-კერვას მოდელირების გარანტირებული მეთოდებით. სწავლის ხანგრძლივობა 4 თვე. ტელ.: 98-34-65.

შევასწავლი რუსულ ენას და ლიტერატურას სკოლის მოსწავლეებს. ფასი 20 დოლარი. ტელ.: 63-03-47.

## სხვადასხვა

ვიყიდი კარკასს (მშენებარე ბინა) 1500$ ფარგლებში. ტელ.: 78-69-06

იყიდება სუფთა შალის, რუსული წარმოების „დაროშკები". ფასი შეთანხმებით. ტელ.: 98-34-65 66-80-11.

იყიდება ძველი ბუფეტი კარგ მდგომარეობაში. ფასი 1500 დოლარი. იყიდება ძველი აბაჟური. ფასი 500 დოლარი. ტელ.: 29-12-03 34-40-75.

იყიდება ძველებური ხელით საკერავი ორი მანქანა „ზინგერი". ფასი 70 ლარი, საბეჭდი მანქანები (ქართული და რუსული შრიფტით) „ორტექსი" — ფასი 80 ლარი, „ერიკა" (რუსული შრიფტით) — 100 ლარი, ელექტრო კარდიოგრაფი, ფასი 200 ლარი, ტრანზისტორი „ოკეანე" — 50 ლარი და „ჰიტაჩი" — 80 ლარი, „გლუკომეტრი" — 100 ლარი, სამკურნალო ბიოკორექტორები — 40 ლარი, გრამფირფიტების ალბომი სტალინის გამოსვლა მე-18 ყრილობაზე — 150 ლარი, სანადირო და სათევზაო ჩექმები 43-44 ზომა — 40 ლარი, ქირურგიული ინსტრუმენტები თავისი სტელიზატორით — 150 ლარი. ტელ. 30-53-80


## მიცვალებულთა დამკრძალავი ფირმა „მემია"

თითოეული ჭირისუფლის გვერდითაა და შესაძლებლობების ფარგლებში ცდილობს შეგიმსუბუქოთ გასაჭირი.

მაღალკვალიფიციური ექიმი-პათოლოგ-ანატომები, რომლებიც მხოლოდ ჩვენს ფირმაში მუშაობენ, მიცვალებულის დაბალზამებას მოახდენენ. ამისათვის გათვალისწინებული ყველა წესის სრული დაცვით.

თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ შეუკვეთოთ დაკრძალვის სხვა ატრიბუტებიც: კატაფალკი, სასახლე, სუდარა, სამგლოვიარო მუსიკა, ავტობუსები, ქელეხის დარბაზი და სხვა შეკვეთების მიღება მხოლოდ სადისპეტჩერო სამსახურის ტელეფონებზე.

დაგვირეკეთ: 38-40-02, 98-43-44, 34-50-01, 96-91-43.


**წინა ნომრის კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. კაფია 5. პანტა 8. რიონი 9. პინკი 10. კარტი 11. არიფი 14. ოკეი 15. გალი 16. ავყია 17. ილია 20. სიმი 22. დრაკონი 24. ვალე 25. „აიაქსი" 28. ნაივ 29. ფონი 30. ვოიაჟი 31. ტომი 32. ტივი 33. ბილიკი.

**შვეულად:** 1. კაპრონი 2. ფანტელი 3. არია 4. როლი 5. პიკი 6. ნორმალი 7. ანილინი 12. რევმატიზმი 13. ფეიხოა 18. ლიანოსი 19. ადენიტი 20. სია 21. მის 23. ნილოსი 26. ქსანი 27. ირისი.


მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444